

K 215 610  
3



მონკაემონ  
ჩიკამასუ

ზეყვარებულთა  
თვითმკვლელობა  
სიურ ბადეთა  
კუნძულზე





მონქაემონ  
ჩიკამასუ

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



---

---

ზეყვარებულთა  
თვითმკვლელობა  
სიურ გადეთა  
კუნძულზე

• ღრამაძული პოემა •

---

თარგმნა

ჯემალ აჯიაშვილმა



მონძემონ ჩიკამაცუ (1653—1724) შუა საუკუნეების იაპონური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია, ხოლო მისი დრამატული პოემა „შეყვარებული თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“ საუკეთესოა ჩიკამაცუს ე. წ. „ქალაქურ დრამებს“ შორის.

ნაწარმოებში მოთხრობილია სასიკვდილოდ განწირული წყვილის — ჯიპეისა და კობარუს სევდიანი სიყვარულის ამბავი. ამასთან, მოქმედება გაშლილია იმდროინდელი იაპონიის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე, რაც გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს იაპონელთა ზნე-ჩვეულებებზე, მათი ყოფა-ცხოვრების თავისებურებებზე.

© „ნაკადული“, 1991 წ.

70404 — 43

M \_\_\_\_\_ 113—91

M 603 (08)—91

ISBN 5—525—00437—2

სპეგ-2000  
შემოწმებულია

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## წინათქმა

იაპონური თეატრის ისტორიაში პირველად 1703 წელს გამოჩნდა აფიშებზე დრამატურგის გვარი. ეს დიდი პატივი მონძემონ ჩიკამაცუს ხვდა წილად. არსებითად, აქედან იწყება იაპონური დრამატურგია, როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი. აქამდე თეატრში დრამატურგის როლი მოკლე სიუჟეტების სასცენო გადამუშავებით ამოიწურებოდა.

ჩიკამაცუმ თავისი შემოქმედებით ძირეულად განსაზღვრა იაპონური დრამატურგიის განვითარების გზები და მხოლოდ თეატრის რეპერტუარი უკვდავი შედეგებით გაამდიდრა.

მისი ცხოვრების შესახებ მცირე ცნობებია შემონახული.

სუგიმორი ნობუმორი (ჩიკამაცუ მისი ლიტერატურული ფსევდონიმი) დაიბადა 1653 წელს ხელმოკლე სამურაის ოჯახში. ბავშვობა პროვინციაში გაატარა. ლექსების წერა ადრევე დაუწყო.

1665 წელს ოჯახი კიოტოში გადმოსახლდა საცხოვრებლად. ქალაქში ამ დროს სწრაფად ვითარდებოდა ხელოსნობა და ვაჭრობა, აღმავლობის გზაზე იდგა ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, თეატრი. ყოველი თვის დასაწყისში იმართებოდა საზეიმო სახიობანი, რომლებშიც მონაწილეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი ლამაზმანები — ე. წ. „მხიარული სახლის“ პეტერები. ბაღებსა და ხეივნებში ანთებდნენ ნაირფერად მაშ-



ხლებს, სეირნობდნენ ნავებით, „კაბუკისა“ და „ნოსტრადეო“ რები წარმოდგენებს მართავდნენ. ეს პერიოდი (ე. წ. „გენროკუ“) ოქროს ხანად ითვლება იაპონური კულტურის ისტორიაში.

ახლგაზრდა ჩიკამაცუ ჯერ დიდებულთა კარზე მსახურობდა. მერე ბუდისტურ მონასტერში განწესებულა, ბოლოს კი უბრალო მოქალაქე გამხდარა და პიესების წერა დაუწყია.

თავდაპირველად ისტორიულ დრამებს წერდა (ე. წ. „გიდაიმონო“). ეს პიესები ოსაკას სცენებზეც იდგმებოდა, სადაც იმჟამად მოღვაწეობდა ცნობილი მთხრობელი-დეკლამატორი ტაკემოტო გიდაიუ. დიდმა მსახიობმა იმთავითვე შეიცნო ჩიკამაცუს ნიჭი და ხშირად უკვეთავდა მას პიესებს თავისი სპექტაკლებისათვის. გიდაიუს არაჩვეულებრივი ხმის ტემბრი, თხრობის განსაკუთრებული მანერა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. მოგვიანებით „გიდაიუ“ იაპონურ პიესებში მთხრობელის ზოგად სახელად იქცა.

1683 წელს ჩიკამაცუმ — პირველად იაპონური ლიტერატურის ისტორიაში — შექმნა ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „სოგას მემკვიდრეები“. პიესას დიდი წარმატება ხვდა წილად.

ჩიკამაცუს სულ ოთხმოცდაათი ისტორიული დრამა დაუწერია. მათში ასახულია სახალხო გმირების კეთილშობილება და ვაჟკაცობა, განდიდებულია მათი საგმირო საქმეები. მოქმედი პირები ზეადამიანური თვისებებით გამოირჩევიან. ალაგ-ალაგ გვხვდება ყოფითი სცენებიც, უმეტესად მესამე მოქმედებაში. მკვლევართა აზრით, სწორედ მესამე მოქმედებაში ჩაისახა ჩიკამაცუს ე. წ. „ქალაქური დრამა“ („სევამონო“), რომელმაც თანდათანობით დამოუკიდებელი არსებობის უფლება მოიპოვა და არნახული დიდება მოუტანა იაპონურ თეატრს.

ჩიკამაცუმ ოცდაოთხი ქალაქური დრამა შექმნა. მათ შორის საუკეთესოდ ითვლება 1720 წელს დაწერილი პიესა „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“.

ნაწარმოებში რეალური ამბავია მოთხრობილი: 1720 წლის 14 ოქტომბერს ვაჰარმა ჯიჰეიმ და მხიარული სახლის პეტერამ — კოჰარუმ თავი მოიკლეს ოსაკას გარეუბანში, კუნ-



ძულ ამიჯიმაზე. ოსაკას მკვიდრნი დღესაც უჩვენებენ მათ საფლავებს დაიჩიოს ტაძრის მიდამოებში.

ჩიკამაცუს დრამის პრემიერა შედგა 1720 წლის 4 დეკემბერს — შეყვარებულთა თვითმკვლელობიდან დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ.

შეყვარებულთა თვითმკვლელობა (ანუ „სინჯიუ“, რაც სიტყვასიტყვით „გულის სიწრფელეს“ ნიშნავს) ხშირი მოვლენა იყო იმდროინდელ იაპონიაში. ფეოდალური ყოფა-ცხოვრების პირობებში იგი თავდაცვის უკანასკნელ, განწირულ ცდად ითვლებოდა. ხელისუფალნი ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ ამგვარი შემთხვევები: თვითმკვლელობა დასახიჩრებული გვამები ხალხის თვალწინ გამოჰქონდათ, უპატიო სიტყვებით იხსენიებდნენ, შემთხვევით გადარჩენილებს კი სამაგალითოდ სჯიდნენ თვითმკვლელობის ცდისათვის. მაგრამ ყოველგვარი ცდა ამო იყო...

ჩიკამაცუს დრამის სათაური („სინჯიუ ტენ-ნო ამიჯიმა“) სიტყვათა თამაშზეა დაფუძნებული: „ამიჯიმა“ თარგმანში „ბადეთა კუნძულს“ ნიშნავს. ჩიკამაცუმ დაუმატა სიტყვა „ტენ“ — ცა, ასე რომ, საბოლოოდ, „ციურ ბადეთა კუნძული“ მივიღეთ. ასეთი ვარიაციის საშუალებას იძლეოდა ძველ ჩინურ ფილოსოფიურ წიგნში, „დაო-დე ძინში“ გამოთქმული აზრი: „ციური ბადე ფართოა, მეჩხრადაა ნაქსოვი, მაგრამ მაინც ვერავინ დაუსხლტება“. შემდეგში ეს გამონათქვამი იაპონურ ანდაზად ქცეულა და ჩიკამაცუსაც ოსტატურად გამოუყენებია ნაწარმოების სათაურში.

დრამა ვითარდება იმდროინდელი იაპონიის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე და გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს იაპონელთა ყოფა-ცხოვრების თავისებურებებზე. პირველ ორ მოქმედებაში, ძირითადად, ყოველდღიური ყოფითი ამბებია ასახული. ამას მოითხოვდა იმეამად გაბატონებული მხატვრული პრინციპი, რასაც ყველაზე სრულყოფილად გამოხატავდა საყოველთაოდ გავრცელებული მიმდინარეობა „უკიო-ე“. მაგრამ ჩიკამაცუს ყოფითი სცენები მოკლებულია ნატურალისტურ სიმშრალეს. „ხელოვნება, — ამბობს ჩიკამაცუ, — არსებულისა და გამონაგონის მიჯნაზე





დგას. პიესაში ყოფითი ამბავი სცილდება ყოველდღიურ ცხოვრების საზღვრებს და ხელოვნების საგნად იქცევა“. ამ დებულების სისწორე ყველაზე დამაჯერებლად გამოქვლავნდა ნაწარმოების მესამე მოქმედებაში. განსაკუთრებით კი — „მიჩიუკიში“, რომელიც წინ უძღვის პიესის ტრაგიკულ ფინალს.

„მიჩიუკი“ სიტყვასიტყვით „გზებზე ხეტიალს“ ნიშნავს. ესაა შესანიშნავი დრამატული ხერხი, რომელიც ჩიკამაცუმ ტრადიციული თეატრის — „ნოს“ რეპერტუარიდან ისესხა: კონფლიქტური სიტუაციები არსებითად ამოიწურა. სადაცაა გაიხსნება კვანძი, საჭიროა მაყურებლის ემოციური შემზადება. ავტორი საგანგებოდ ანელებს ნაწარმოების დრამატულობას და ლირიკულ პასაჟებში აგვიწერს გმირების ამ ქვეყნიდან გაქცევას. კოპარუ და ჯიპეი თავის მოსაკლავად ოსაკას გარეუბნისკენ გარბიან. გარეუბნამდე თორმეტი ხიდი აქვთ გასავლელი. შეყვარებულები გადადიან ხიდიდან ხიდზე და თანდათანობით შორდებიან მშობლიური ქალაქის სანახებს. ყოველ ხიდზე გადასვლისას სულ უფრო მძაფრდება წუთისოფელთან განშორების ტრაგიზმი. ჩიკამაცუ თითოეული ხიდის სახელწოდებას თავისებურ პოეტურ გააზრებას აძლევს. უკანასკნელ, ე. წ. „ფერისცვალების ხიდზე“ გადასვლა სიმბოლურად ამქვეყნიური მგზავრობის დასასრულს მოასწავებს.

ეს დრამა, როგორც ჩიკამაცუმს დრამების უმრავლესობა, „ჯიორურის“ ჟანრს განეკუთვნება. სახელწოდება „ჯიორური“ ხალხური ბალადებიდან შემოვიდა. მათში მოთხრობილია პოპულარული გმირის — იოაიციუნესა და სილამაზით განთქმულ ჯიორურის სიყვარულის ამბავი, რომელსაც მონეტიალე მთხრობელები ამღერებდნენ ეროვნული მუსიკალური საკრავის — სიამისენის ხმაზე. ზოგჯერ მოსათხრობი ამბების საილუსტრაციოდ თოჯინებსაც იყენებდნენ. ამის გამო შემდეგში ხალხი თოჯინების ყოველგვარ წარმოდგენას ჯიორურის ამბავთან აიგივებდა. ასე გადაიქცა ერთი ქალიშვილის სახელი მთელი თეატრალური ჟანრის სახელწოდებად.

„ჯიორურის“ დრამატული მოვლენები ვითარდება მთხრობელის დეკლამაციის ფონზე — ესაა წამღერებული თხრობა, რომელიც სიამისენის თანხლებით ხდება. ეს განაპირობებს ნაწარმოების თავისებურ ფორმალურ სტრუქტურას: პროზაული



ტექსტი („კოტობა“), რიტმული, რეჩიტატივის მაგვარი თხრობა („ჯი“), მისამღერი („ჰუსი“), სიმღერა („უტა“) და სხვა ელემენტები მისი შესრულების თავისებურ მანერაზე მიუთითებენ. მთხრობელი კომენტარებს უკეთებს ნაწარმოებში მომხდარ ამბებს, მისი ხმის ინტონაცია ხშირად იცვლება სიტუაციების მიხედვით. სცენაზე თოჯინები თამაშობენ.

თოჯინების მოძრაობას საგანგებოდ შერჩეული მსახიობები აწესრიგებენ. მსახიობები შავად არიან შემოსილნი, პირისახეზეც შავი ნიღბები აქვთ აფარებული. შავი ფერი ბედისწერის, განგების ატრიბუტია იაპონურ ფერთა კლასიფიკაციაში. მსახიობები არ ერიდებიან სცენური ილუზიის დარღვევას — პირდაპირ მაყურებლის თვალწინ მოქმედებენ. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს: მთავარი მსახიობი — „ომიძუკაი“ თოჯინის თავის, ტანისა და მარჯვენა ხელის მოძრაობას აწესრიგებს, „ჰიდარიძუკაი“ — მარცხენა ხელისას, და ბოლოს — „ასიძუკაი“ ფეხების მოძრაობას განაგებს. იაპონელთა აზრით, ეს ურთულესი ხელოვნებაა: სულ ცოტა, ათი წლის პრაქტიკა მაინც არის საჭირო, რომ ასიძუკაი გახდეს; მეორე ათწლეული — ჰიდარიძუკაის ხელოვნების შესწავლას სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია იფიქრო ომიძუკაის პროფესიის დაუფლებაზე.

საინტერესოა „ჯიორურის“ სიტყვიერი ქსოვილი. ძველი პოეტების ამაღლებული ტონი აქ ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებას ენაცვლება; ლექსებში ხშირია სიტყვათა თამაში, პოეტური განმეორებები, ბგერწერა, რითმები. საზოგადოდ, წიგნიერ იაპონურ პოეზიაში იშვიათია რითმა, მაგრამ ხალხურ სიმღერებში იგი თითქოს თავისთავად ჩნდება. ამგვარი მოვლენა შეინიშნება ჩიკამაცუს დრამებშიც.

„ჯიორური“, — ამბობდა ჩიკამაცუ, — არსებითად, მუსიკალური ნაწარმოებია; ამიტომაც ლექსების ზომას საერთო ინტონაცია განაპირობებს. ყველგან რომ ერთი მეტრი დამეცვა თანმიმდევრულად, პიესის სცენური შესრულება გაჭირდებოდა; ამის გამოა, რომ სალექსო საზომები ხშირად იცვლება ჩემს დრამებში“.

წინამდებარე თარგმანში შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, სწორედ ნაწარმოების მუსიკალურ მხარეზე გამემახვილებინა



ყურადღება. წიგნზე მუშაობისას, ძირითადად, ჩიკაგოს უნივერსიტეტის თხზულებათა რუსულ გამოცემებს ვეყრდნობოდი, რომელთა თარგმანი, ვრცელი წინასიტყვაობითა და კომენტარებითურთ, იაპონური ლიტერატურის ცნობილ მთარგმნელს ვერა მარკოვას ეკუთვნის. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ იაპონური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს მაია გერასიმოვას, რომელმაც, თავის მხრივ, მომაწოდა საგულისხმო ცნობები ჩიკაგოს უნივერსიტეტის სპეციალისტს და უფრო ცხადად მიმანიშნა მისი პოეტური აზროვნების სპეციფიკა.

ჭ ე მ ა ლ ა ჯ ი ა შ ვ ი ლ ი

მომავლი პირნი

მთხრობალი.

კოპარუ — სიუვარულისუბნელი ქალიშვილი, 19 წლისა.

ჯიჰანი — ქალღმერთ მოვაქრე, 28 წლისა.

ო-სანი — ჯიჰეის ცოლი.

მაგომომონი — ჯიჰეის უფროსი ძმა, ფქვილეულით მოვაქრე.

გოძამომონი — ო-სანის მამა, ჯიჰეის სიმამრი.

მამილა ჯიჰეისი — ო-სანის დედა.

ტაჰანი — მეთსახელად „თავისთავადი“, 30 წლისა.

დემბანი — „მხიარული სახლის“ მეპატრონე.

ბერი-მასხარა.

დინასხლისი — საჩაიე „კავასიოსი“.

სიუვარულისუბნელი ქალიშვილი.

სუბი — კოპარუს პირისფარეში.

მსახური ქალი — „ქინოკუნის“ სახლისა.

ტამა — ო-სანის პირისფარეში.

სანგორი — ჯიჰეის შვირდი.

პანტარო — 6 წლისა

ო-სუე — 4 წლისა

} ჯიჰეის შვილები.

ღამის გუშაგები, უსაქმურების ბრბო, მეთევზეები.

მოქმედება მიმდინარეობს ქ. ოსაკაში.



## პირველი მოქმედება

სიყვარულის უბანი სონეძაკი

### I სურათი

მთხრობელი

„დამელოდეთ ხიდის ბოლოში!“

ბაკა-ჰუნგორო — ხიდის ბოლოში!

ყრუდ ჩამეკითხა — დამელოდები?

ჰუნგო-ნოკორო — დამელოდები?

ჰაგა-ვანკარა — წვიმას აპირებს,

მოაქვს ღრუბელი ქარს და ბორიოს!

ქოლგა არა მაქვს, ნეტავ მოვიდეს

და საწვიმარი მოიყოლიოს!

ბაკა-ჰუნგორო, ჰუნგო-ნოკორო —

მოაქვს ღრუბელი ქარს და ბორიოს!

მოიყოლიოს, — ვაკა-სანკარა, —

მოიყოლიოს! მოიყოლიოს!..

ბანკარა-ვანკარა-ჰუნგორო,

ბანკარა-ვანკარა-ჰუნგორო!“



„ტრფობის უბანში“ გულუბრყვილოდ ვინმე მოდგება  
 და, რა თქმა უნდა,  
 ყველაფერი ესამოთხება.  
 მაგრამ აქ სხვაა გოგონების ზნე და ბუნება,  
 სხვა სიღრმისაა აქაური გამიჯნურება.  
 მოედინება, მოდის სიჯიმი,<sup>3</sup> —  
 ზვირთებს მოარწვევს ნიყარების ცელქი მდინარე,  
 თუმც ნიყარებმა როგორ ჩააცხრონ ჟინმორეული  
 ტალღის თარეში,  
 რას დაიტევინ მათი გულები ამ სიყვარულის  
 ოკეანეში?

აქ სიყვარულის მოლოდინში თრთიან გულები,  
 სწამთ სიყვარული — სიკვდილამდე  
 ნაერთგულევი.

მიეთ-მოეთიც მრავალია სონედაკიში,  
 მუდამ ღიაა სტუმრებისთვის მისი კარები;  
 ხმებს იბოხებენ მიმწუხრიდან განთიადამდე  
 გზად მოყიალე ვიგინდარები.  
 ხტიან, მღერიან, იმტერევიან, იღმიჭებიან,  
 მანჭვა-გრეხაში გააქვთ ცხოვრება, —  
 რომ მსახიობთა მსგავსად შეიძლონ  
 სახიობათა განსახოვნება.

ზოგჯერ სხვაგვარი გამვლელებიც გაერევიან, —  
 გულთან არ მიაქვთ უსაქმური ხალხის ყაყანი,  
 თუმცა იტყუებთ უცნაური სახელწოდება:  
 „სანდომიანი სურვილები თავშესაყარი“;  
 მოდიან სახლთან, ყუჩღებიან ჩუმი კაეშნით,  
 ზოგი წასვლასაც დააბირებს ერთი პირობა,  
 მაგრამ მალლიდან შაცდუნებლად ისევ ჩაესმით  
 სიამისენთა<sup>4</sup> სიმღერების სიამტკბილობა.

ამის შემყურეს, რა თქმა უნდა, უჭირს გაძლება,  
 თავს დაადებს და... ნელი ზოზონით შევა კარებში,  
 შეიზღაზნება.

ამას ზოგიერთ ღვთისნიერზე მოგახსენებდით...  
ზოგა კი — სინდისის ნიშანწყალი ისე უქრება,  
სულ ავიწყდება შენი „მომბი“,<sup>5</sup>  
შენი ზეიმი,  
ჩანს, ეძნელება გოგონების დასაჩუქრება.

„მომბი“ ლხინია აქაური ქალიშვილების,  
თუმც საწყლებისთვის, — უნდა ითქვას, —  
ლხინზე მეტია,

ხოლო ზოგ-ზოგი სტუმრის ჯილაგი,  
ჩვენში დარჩეს და,  
გასაწყვეტია!

აბა, რას ფიქრობს, — სინდისია ასე გაქცევა?  
აქ რომ ღრეობდა ყოველდამე ისეთი ყინით, —  
სად ჯანდაბაში მიიკაკევა

უჩინმაჩინის ფარული ჩინით?!

ფულს უფრთხილდება? იყოს, ირბინოს,  
მაინც მოძებნის კიოს ჩანგალი,  
რომ აატყავოს ერთიათასად თავის ნაქუნწარ-  
ნაკრეყანგალი.

მოახლე კიო გაქნილია ამისთანებში,  
კიომ, იცოცხლე, იცის მიტყევა,  
კიოს რომ ნახავ, კიო კი არა, თვით კავეკიო<sup>6</sup>  
წარმოგიდგება.

„სკუპს! — მოიხელთებს — აქეთ მობრძანდი!“

მე შენ გეტყვი და,

მორჯულდება ხვეწნა-მუდართით!

კართან მიაგდებს, მისიკვდილებს თავის  
ნაქურდალ-ნაცუღლუტართით.

იქ კი... გიყვარდეს, ჰეტერები კარგად გაქნიან,  
უყვართ ჰეტერებს კვანტის დადება,  
არც შეეშლებათ თავსაბურავის ჩამოჩაჩვა და  
ჩამოფხატება.

ხომ დაითრიეს, გააპანლურეს,  
ხომ ააღლიტეს ღდინზე ფულები! —



ახლა, სადაც სურს, იქით წაბრძანდეს

ასე ნაგლახავ-ნაბამპულევი!



უკვე მიმიხვდით, იმედია,  
რატომ ტარდება,  
რისთვის ტარდება „მომბის“ ზეიმი:

რომ გაიძვერამ ჰკუთხა ისწავლოს,  
ნახოს გემო და თვალისსიერი,  
რომ არ იკადროს უკადრებელი, —  
მიტომ ტარდება „მომბის“ ზეიმი.

ან, უფრო სწორედ, ჰეტერების დღესასწაული.

ამასაც ისე, სხვათაშორის მოგახსენებდით...

აქ ყველა ხიდი მორთულია ყვავილწუნულებით,  
ყველგან მიმოდის გაზაფხულის უცხო ნათელი:  
„ალუბლის ხიდი“,  
„ქლიავის ხიდი“<sup>7</sup> —  
ყველა ასეა სახელნადები.  
და მოზეიმე ყვავილების სინარნარეში  
ერთი ვარდიც ფშვენს — სათნო და მჭევრი, —  
იცნობთ, ცხადია: ჩვენი კოჰარუ, —  
„ქინოკუნის“ ჯალაბის წვერი.  
დააგდო თურმე გარეუბნის აბანოები,<sup>8</sup>  
შემოიძარცვა უწინდელი თხელი სამოსი  
და — ჰეტერების საზეიმო კაბით მორთული —  
აქ დაესახლა —  
„სიყვარულის კარმიდამოში...“

მაგრამ რას ნიშნავს ქალიშვილის უცხო სახელი,  
რას მოასწავებს იღუმალი მისი მშვენება:  
„კოჰარუ“ — ანუ მიწურვილი შემოდგომისა,  
ან გაზაფხულის წუთიერი ამომშეგება.

რაკი ასეა, დათვლილია მისი დღეები,  
წლის მეათე თვეს განქარდება მისი ხსენება,  
„კოპარუ“ ნიშნავს — ჩაეშვება სხივი სიცოცხლის  
და გაზაფხულის შარავანდიც ჩაესვენება.  
გარდავა ქალი, დაუტევებს მიჯნებს სოფლისას,  
თუმცა ამქვეყნად დარჩებაო მისი სახელი —  
ჩირქმოცხებული, მოყივნებული,  
დასაგმობი და  
დასაძრახველი.

გარინდებულა ცათა ქვეშეთი.  
მაგრამ ვის უხმობს შორით გუგული ამ ღამეული  
კაფე-თესეთი?<sup>9</sup>  
ვინ გამოიხმო ნეტავ კოპარუ,  
რა ვინ აღუნთო ბედის კანდელი,  
რას მოასწავებს მისი გამოსვლა, ეს პაემანი  
ამალამდელი?

ნისლიან გზაზე მოირხევა მისი ხატება,  
ფეხდაფეხ მოსდევს მსახური სუგი, მოდის,  
ძლივს მოდის,  
მოებლატება.  
კიდევ სხვაც მოჩანს — საღამეულ სიმყუდროვეში  
მათ შესახვედრად მოგოგმანებს ტურფა სახება;  
ლამპიონის ქვეშ პირისპირად შეიყრებიან...  
უცხო ასული იცნობს კოპარუს და მხიარულად  
შეგზრახება.

სიყვარულისუბნელი ქალიშვილი

ო, ეს შენა ხარ?..  
წუთით დაიცა,  
ასე საითკენ მიგიჩქარია?  
არ შევკრებილვართ მეგობრებში სამუხაიფოდ,  
არც სალალობოდ შევხვედრივართ დიდი ხანია.

ცოტა არ იყოს — მიძნელებდა ასე ცხოვრება,  
მიძიმე ლოდივით დამწოლია გულზე იარა...  
შენ კი... სად მიხვალ, გამაგებინე, რა სატკივარმა  
აგაწრიალა?  
რამ ჩამოგახმო, საცოდავო, ასე უღმერთოდ,  
იქნებ, შეგიჯდა ეჭვის ობობა!  
ან კაეშანი შემოგეჩვია!  
ან მოგეძალა ავადმყოფობა!

იცოცხლე, ვილაცა მეუბნებოდა შენზე, მთელი ეს უბედურება ქალღმერთის  
მოვაპრე ჭიჭისგან სჭირსო. ის კი არადა, მასთან შეხვედრაც აგი-  
კრძალეს თურმე. რა ვიცი, ისიც კი თქვეს, თითქოს შენი მებატრონე გა-  
ფაციცებით უთვალთვალეზღეს ყოველ მომსვლელს, არიქა, ამდენ  
მუშტრებში ჭიჭე არ შემოგვეპაროსო. თურმე ათასში ერთხელ თუ  
გაგზავნიან სადმე. ეჰ, რაღა გითხრა, სახარბიელო ცხოვრება კი  
გქონია, ღმერთმანი!

მართლა. — ტაჭის განუზრახავს შენი გამოხსნა,  
გაუქირდება, მე შენ გეტყვი, ფულის გაღება!  
ფეხში გეღება თურმე ტაჭე, გებლანდება და  
გეარტახება.

გითხრეს? — იტამის პროვინციაში წასვლას აპირებს  
კარგა ხანია.

თურმე ამიტომ ოინბაზობს ასე უმსგავსოდ,  
თან ბონზასავით<sup>10</sup> ბუტბუტებსო სალიტანიოს, —  
სურს შეგიტყუოს თვალსატყუარით და მძევალვით  
წავიტანიოს...

ეს ყოველივე მართალია?  
თუ...

### კოჭარუ

ო, კმარა!.. კმარა!..  
ნულარ მისხენებ ხელმეორედ იტამის ჯახელს!  
აქ ხომ ცრემლია ჩემი მეგზური, მუდამ ტკივილი, მუდამ  
წამება!

და იტამიც ხომ ტკივილს გვიქვია, რა მესატკივარ-

მეიტამებია!



ქართული  
საქმიანო

ღმერთო, რა უბედური ვარ! ისეთი რა დავაშავეთ ნეტავი, რომ ეს ყბედი, ეს კორმაჰაკალა ტაჰეი მოგვდგომია და ასეთ ბინძურ ხმებს გვივრცელებს. არადა, ხომ იცი, რა ძნელია სახელის გატეხვა თუმცა, მართალს ამბობ: ხეირიანი მუშტარი რახანია თვალით არ მინახავს. ჰოდა, კიდევ ამიკრძალეს ჭიჭეისთან შეხვედრა — ყველაფერი მისი ბრალიაო. ამ ბოლო დროს მიწერ-მოწერაც არა გვაქვს, ნებას არ გვრთავენ. ხომ ხედავ, რას მოვესწარიო!

ახლა კი... რა ვთქვა გოცებულმა: —

სიტყვაც არ მითქვამს, ისე ამიშვეს, თითქოს გასრულდა ჩემი კირთება,

რა ყურადღებით გამომაცილეს, რომ გაგიცხადო,

გაგიკვირდება:

— შაბაშ, გასწიო „კავასიოში“,

იქ სამურაი გელოდებო, მოგვილხინეო ღირსი სტუმარი.

ხმა ვერ გავიღე გოგნებულმა,

ანდა, რა მქონდა დასამღურავი!

და, ჰა, მივდივარ, მაგრამ ფიქრი მაქვს, — არ შევეყარო სადმე ტაჰეის!

იქნებ, ეშმაკად გეში აიღოს,

ეს გზაც, წყეული, როდის მორჩება!

იმ დალოცვილსაც ახლა მოუნდა ჩემთან შეყრა და

შეავხორცება.

ვერც აღელვება დამიძღვევია, შიშის ზარსა მცემს ჩქამი

ყოველი,

თითქოს ტაჰეი ჩემი მტერია — უსულგულო და

დაუნდობელი.

თუმცა დაიცა!.. იქნებ ის არის: —

მოდის ლოთების მთელი კრებული,

წინ ნაგიჟარი ბონზა მოუძღვით, ამ ღრიანცელით

გაბეზრებული.

მართლაც, გამოჩნდნენ ყოყლოჩინა ბედოვლათები  
და ღრიანცელით დააყრუეს მთელი კვარტალი:  
არც საყვედური ეჭაშნიკებათ, არც გამვლელების  
ენის ტარტალი.

წინ მონავარდობს ბერი-მასხარა,  
რა უხამსია მისი სურვილი:  
ბონზას ქირდაეს და ვითომ ბონზაობს —  
ბონზასნაირად ტანშებურვილი:

ჰაითა და  
ავაითა,  
დედაითა,  
მამაითა, —  
ყველას ლანძღავს ნამაიდა,  
ნამაიდა-ბოძუ!<sup>12</sup>

ლოთი და ფოთი, — ერთმანეთში ყველა ირევა,  
ისიც მოდგება — საქმით გართული  
და საყლაპავში გაეჩხირება  
ხმა —  
უკმეხი და უკულმართული.

სიყვარულისუბნელი ქალიშვილი

კი, ტაპეია!  
ჩქარა გავარდი,  
თორემ ყველანი აქეთ მოდიან!

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მაგრამ კოჭარუმ განრიდება ველარ მოასწრო:  
გაიშხუილებს სიბნელეში მწვანე მამხალა  
და გაღეშილი არამხადებით შემოვარდება  
ბერი-მასხარა.

ქუდის მაგივრად ტაფა ახურავს,  
ქუჩას მოარღვევს, მოდის აშარი,  
ტაკიმასხარას ანაფორაში ყბედობს შლეგი და  
ნაგიჟმაქარი.

გონგის გუგუნზე ლექსებს ბურტყუნებს,  
მთლად ბანჯგვლიანი ბობლაგს დათვივით,  
თან მიუმღერებს სალიტანიოს  
თავისებური რეჩიტატივით:

„— ძინ-ძინ-ძინ,  
რარა-რარა-ძინ!“ —  
მოდის ბერი-ნამაიდა,  
მობუქნაობს წინ.

### ბ ე რ ი - მ ა ს ხ ა რ ა

ძინ-ძინ-ძინ!..

ასე იტყოდა გმირი კოკსინგა<sup>13</sup>  
დიდი ბრძოლების წინ!

ჩინთა მხარეში ცხოვრობდაო ვინმე ჰან კაი,<sup>14</sup>  
ფიცხი იყო და მიმდევარი გულისწადილის,  
ბჭეს ჩამოვშლიო, — დაიქადებდა,  
ძალიც შესწევდა თურმე ქადილის.

მაგრამ ნაკლები ასაჰინაც<sup>15</sup> არა ყოფილა,  
აბა, სცადე და ხმალში შეები!

მის დაძახილზე ჩამომხობილა ცად აღმართული  
კარიბჭეები.

ჰა, გამძვინვებით მოიქცევა მტრისკენ კოკსინგა,  
ვინ დაუოკოს რისხვა, ნეტავი!  
თამაშად უჩანს ყველა საკეტი

და საკლიტენი საჭურჭლეთანი.

მორებს მოარღვევს, ერთიანად აურ-დაურევს,  
ბჭეს ჩამოიდებს, მეყსეულად დაშლის ჯებირებს,

აქეთ უროკოს,  
იქით საროკოს<sup>16</sup>  
თავს წააცლის და წააგდებინებს.  
გამარჯვებული მიჰკივის სივრცეს,  
ღრუბლებს მიაპობს უდრეკ და ფიტხელ,  
რომ შეაჩეროს რონინი მთვარის და ელვასავით  
აიჭრას მზისკენ.<sup>17</sup>

ასე დაწესდა დასაბამიდან:  
ძველთუძველესი ზარები რეკვენ,  
აწ, მწყალობელო, დაგვამწყალობე, ყოვლადძლიერო,  
მეოხად გვექმენ!

დედაითა,  
მამაითა,  
გვადღეგრძელე ჩვენ!  
შეგვიწყალე, ნამაიდა,  
ძენ-ძენ-ძენ!..

აჰა, ვანკიუ ჩამოგლეჯილი,<sup>18</sup>  
ფულიც იავარ, სახლიც იავარ!  
საით გარდახდა ყრმობის ჯეჯილი, სად გარდაეგო  
მატუიამა!

მიმორბის ბრბოში, მოელის შველას,  
თან ნანდაურის დასდევს სახება,  
ხან სულელივით უცინის ყველას,  
ხან ბედისწერას ევახვახება:  
— ხა-ხა-ხა-იო, ო-ხო-ხო-იო,  
ზევრი ჰყვავისო ვარდი სარტოვე,  
თუმც შენნაირი ვბოვე რომელი, ვინ დავლანდე და  
დავიმარტოვე!

გონწართმეული ასე ღალადებს,  
ხან გარდასულზე სევდა მოიცავს,  
დაედევნება ღარიბ-ღატაკებს  
და მოუყვება საწუთროისას...

ასეა, ასე... მხოლოდ ნაცარი, მხოლოდ მტვერია  
ბოლო ცხოვრების:

ვინ იფიქრებდა, — ნადიდკაცარი  
გზას გაჰყვებოდა გამათხოვრების...

ვაითა და  
ავაითა  
მწუხრის ვანში შევიდა,  
შეგვიწყალე, ნამაიდა,  
წყალობითა შენითა!..

ეი-ეი-ეი-ეი!

ახლა ვახსენოთ ლამაზი ფუსა

და ტოკუბეი:<sup>19</sup>

ზეთს და საღებავს ანზავებდა ყრმობის დროიდან,  
საზრდოს სულისას ღებულობდა

სამღებროიდან.

ეჰა, რამდენი ივაგლახა და იფუჟფუსა! —

ქსელა და ქსელა ოქროქსოვილი, ღება ოქსინო —

მშვენებით სავსე,

მაგრამ უეცრად შემოხვლა ფუსა

და სიყვარული წაეცხო ტანზე.

ეს საღებავი სხვაგვარია,

მოგეხსენებათ,

ვერ ამოშანთავ მწველი წუთებით,

ვერც ნასაპნარით დაშლი ფენებად,

ვერც ამოიყვან ნაცარტუტებით.

მასაც რა ექნა, — ბედი ეწია,

მაგრამ ვერ შესძლო მისი მოვლა და

ერთხანს იპეწა,

იბედოვლათა.

... მერე გაკოტრდა, გემახსოვრება,

აქეთ ვალები,

იქით ნისია,

გაუძლისია ასე ცხოვრება,

გაუძლისია... გაუძლისია!..



ნამაიდა!.. ნამაიდა!..

შეგვიწყალე, მწყალობელო, წყალობითა შენითა!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ჰა, როგორც იქნა,  
მოამთავრა აურზაური...

მსახურმა სუგიმ ახსენა ღმერთი, —  
ამოაძვრინა სახელოდან ორი შაური  
და კადნიერად ჩასჩარა ხელში.

### ს უ გ ი

ბონზავ, მისმინე!

### ბ ე რ ი-მ ა ს ხ ა რ ა

რაო, რა გნებავს?

### ს უ გ ი

რალაც ავბედად დაგვჩხავი თავზე!

კარგ რამეზე გახსენი პირი — რალა ამ უბედურებაზე მღერი! რალა  
შაინცდამაინც ტოკუბეის თვითმკვლელობა გაგახსენდა? მით უმე-  
ტეს ახლა, როცა ამ ჩვენს უბანში რა ხანია არ გაგვიგია ამგვარი  
ამბები! სჯობს კოკსინგას სახელოვან ბრძოლებზე გვიმღერო, მის  
საგმირო საქმეებზე გვასმინო რამე!

### ბ ე რ ი-მ ა ს ხ ა რ ა

რისთვის ირჯებით, გამაგებინეთ,  
ან ეს გროშები ვითომ რისია! —  
სამიათას რის<sup>20</sup> რატომ გავივლი, თუ გასამრჯელო  
უკმარისია?

... შეგვიწყალე!.. შეგვიწყალე!..

ესე არაკი — ფრიად საჩინო,  
ჩინს ქვასა ზედა მართლაც სწერია,  
მაგრამ, ჩინო და უჩინმაჩინო, იქ გამგზავრება  
ძნელზე ძნელია!..

გვიჯობს ვიხმით მწყალობელი, განვადიდოთ ბუღაო,  
ფიქრი გულზე დაგვეხლართა,  
დაგვეაბლაბუღაო,

შეგვიწყალე, შეგვიწყალე, შეგვიწყალე, ბუღაო!..

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ბუ-ბუ-ბუ!..  
ჩაიბუხბუხა ბონზამ თავისთვის,  
ხელში აიღო მწვანე მაშხალა  
და გაბღენძილი ბედოვლათებით თვალს მიეფარა  
ტაკიმასხარა.  
ხოლო კოპარუ...  
ბრბოს შეერია, — ბუზიყლაპიებს თითქოს ჩაუქრო  
თვალში ნათელი  
და შემოვარდა „კავასიოში“  
ნაჩქარევი და  
ნაუცბათევი.

### დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი

საოცარია, რა მალე მობრძანდით! არადა, კარგა ხანია სიტყვაც არ  
გვსმენია თქვენზე. მართლაც რომ სასუკეარო სტუმარი ბრძანდებოთ,  
ქალბატონო კოპარუ! რა ხანია არ გვინახიხართ, ქალბატონო  
კოპარუ! კეთილი იყოს თქვენი ფეხი, ქალბატონო კოპარუ!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ენაქარტალა,  
მოცლილი ქალი!  
იმის ნაცვლად, რომ აქეთ-იქით თვალი აცეცოს, —

დგას და მის სახელს ახსენებს რიხით,  
ყვირის „კოპარუ უძვირფასესოს!“

### კოპარუ

ჩუმად, რა მოგდით! ყველამ გაიგო!

ძალიან გთხოვთ, ხმამაღლა ნუ იტყვიot ჩემს სახელს, — გარეთ  
სისხლისმსმელი რი ტოტენი<sup>21</sup> დგას კარებთან. მგონი, მიმიხვდით,  
რას გეუბნებით!

ცოტა ხმადაბლა, გემუდარებით!

### მთხრობელი

კიდევ ცდილობდა ეთქვა რალაცა,  
მაგრამ კარებთან ატყდა ბრუხუნი  
და შემოვარდა სამი მუტრუკი, — ღვინით გამომტყვრალ-  
გამობრუყული.

### ტაპეი

აჰა! თურმე, ნუ იტყვიot, — რი ტოტენი ვარ! ბოროტმოქმედი რი  
ტოტენი! ვერაფერს ვიტყვი, — დიდი პატივია, მე და ჩემმა ღმერთ-  
მა! მადლობელი ვარ, ქალბატონო, დიდად მადლობელი!.. აბა, მე-  
გობრებო: იცნობთ ამ პატიოსან ქალბატონს? სწორედ ამაზე გელა-  
პარაკებოდით. გახსოვთ, რა სასოებით გაგანდეთ გულსნადები? ეს,  
სწორედ ეს გახლავთ სახელგანთქმული კოპარუ, პატივითა და დი-  
დებით მორჭმული, ჭკუითა და გონებით ცხებული, გულკეთილი და  
გულუხვი კოპარუ. ახლა სარეცელს არ იკითხავთ? ამაში ხომ, —  
მოგეცეთ ღხენა! — შეუდარებელია პირდაპირ! საცაა ჩემი ცოლი  
უნდა გახდეს, თუ ქალღლით მოვაჭრე ჯიჰეიმ არ დამასწრო და არ  
გამოისყიდა. რას იზამ, — ტაცებაზეა ხალხი! ის კი არადა, ლამისაა  
შუაზე გაგლიჯონ საწყალბ გოგო. ძმანო ჩემნო! შეიყვარეთ და შე-  
ითნეთ ეს ღირსეული მანდილოსანი! აბა თქვენ იცით, ნამეტნავად  
ნუ მოეხათრებით, — მოუშინაურდით და შიგადაშიგ ასიამოვნეთ  
კიდევ!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ყბედობს ტაპეი, თავს არ იზოგავს, ბრანზმორეული  
რას არ ედება,  
ახლოს მოდგება, მოეჭიდება,  
ეტმასნება და  
ეთავხედება.

## კ ო შ ა რ უ

მე ვერ მოგისმენთ! გამიშვით ხელი!

ოქვენ გგონიათ, დიდი გმირობაა ასე უღვთოდ ლაპარაკი? კაცს არ იცნობდე და უსირცხვილოდ ცილს სწამებდე? სწორედ რომ ვაყ-  
კაცის საკადრისია! ილაპარაკეთ, რაც გნებავთ, ღმერთმა ხელი მო-  
ვიმართოთ, მაგრამ მე გამიშვით, არა მცალია!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

აჰა, გაუსხლტა!..  
ისევ ჩაავლო,  
იწევ აეკრა, როგორც ხვიარა,  
ქისა იძრო და უზალთუნები ნიშნისმოგებით  
აუჩხრიალა.

## ტ ა შ ე ი

ა-ჰა! არ გნებავს ჩემი მოსმენა?..

ასეა ხომ, ქალბატონო! მაგრამ თუ კაცი ვარ. გაიძულე, მე თუ ვე-  
რა, ჩემი ოქროები მოგიყვანს ჭკუაზე! კაი საქმისთვის კი მოგიცი-  
დია ხელი, ღმერთმანი! შენივე ხელით ითხრი სამარეს, შე საცო-  
დავო! რალა იმ გაქუტულ ჯიჰეის მიადექი, იმ ქალაღლის ვაჭარს,  
მთელი ოსაკა ვაყკაცებითაა სავსე! კარგად კი გაგიმართლა, შენმა  
მზემ! ოჯახის ბატონი კაცი, — აქეთ ცოლიო, იქით ორი შვილიო,  
ჭკუა რომ ჰქონდეს, ბაწარში უნდა უყრიდეს თავს. მერედა, რა  
ოჯახი! ცოლად მამიდაშვილი უზის, მკვიდრი მამიდის ქმარი სიმამ-



რად ერგება. ასე ადვილად კი ვერ დააღწევს თავს! არადა, მაგრა-  
ბაში მაინც იყოს ხელმომართული, ერთი გახრეკილი დუქანი აქვს  
და ისიც აგერ-აგერ წაექცევა. საქონელი რომ შემოიტანოს, იმის  
შეძლებაც არა აქვს, ვალებშია ყელამდე. ახლა შენ თვითონ თქვი,  
გამოსყიდვას რომ გიპირებს, რაო, ათი კამეს<sup>22</sup> დამდებია ეგ ჭიბე-  
გალღეტილი?! კარგი ერთი, სასაცილოა და მეტი არაფერი. კუმ ფე-  
ხი გამოყო და მეც ნახირ-ნახირაო, — ეგაა სწორედ!

მე კი... რა გითხრათ, — ტაპეი მქვია,  
თავისუფალი, უცოლშვილო ტაპეი მქვია!  
ჯერ თავო, თავო, — აი რაა თავი და თავი, —  
თავისთავადი ტაპეი მქვია!  
არ ავყოლილვარ არასოდეს მავანთა ნებას,  
მე ზომ თავნება ტაპეი მქვია!  
ჩემი თავისთვის ვპოულობ შვებას,  
თავაშვევბული ტაპეი მქვია!

კუდაბზიკობაში კი, რაც მართალია, მართალია, ჭიპის ვერ გავე-  
ჯიბრები. მაგრამ აი თუ ფულზე მიდგა საქმე, აქ ტყუილად ნურავინ  
შეიწუხებს თავს, ტაპეის ვერავინ დაეტოლება. კი, კი, ასეა! ერთი  
ჭიბეზე არ გავიკრა ხელი, თორემ წინ რა დამიდგება! მთელ  
ქვეყანას ვიყიდი!.. ეჭვიც არ მეპარება, ოს გაიძვერა ჭიპე გამოიხ-  
მობდა ამაღამ კოპარუს, აბა, სხვა ვინ იქნებოდა! მაგრამ, თუ კაცი  
ვარ, წავართმევ, ჩემკენ გადმოვიბირებ. თავაშვევბულს ტყუილად კი  
არ მეძახიან, ასე ადვილად ვის დაუთმობ რამეს!

ღვინო მოიღე, ღვინო დაგვისხი,  
ღვინო გვასმიე, დიასახლისო!

### დი ა ს ა ხ ლ ი ს ი

როგორ გეკადრებათ, ბატონო ტაპეი, როგორ გეკადრებათ! არა და  
არა! ამაღამ კოპარუს თქვენთვის არა სცალია. აგერ საცაა მობრძან-  
დება ღირსეული სტუმარი, ორი მახვილით აღჭურვილი<sup>23</sup> კეთილ-  
შობილი სამურაი. მიბრძანდით, ბატონო, სადმე სხვა საჩაიფში შეიქ-  
ციეთ თავი!

ამას კი ამბობს დიასახლისი,  
მაგრამ ტაჭეი  
მაინც არ იშლის თავის ყბედობას.

ტ ა ჭ ე ი

რას მიედ-მოედებით! სტუმარი სტუმარია, ვინც არ უნდა იყოს!  
რა ბედენაა, ორი მახვილი უჭირავს თუ რამდენი, მოქალაქეა თუ  
სამურაი! ბოლოს და ბოლოს, რა გააჭირვებთ საქმე, ორი თუ არა,  
თითო მახვილი ხომ ყველას გვკიდია! ჰმ!..

რომ გაიძახი — სამურაი, სამურაიო,  
დაგიყვლებია თანაც თვალები, —  
მეც რომ დამკიდო ორი მახვილი, მყის სამურაის  
დავემგვანები.

დაგიუინია — ორი მახვილი!  
უჭირვებოდეს მაინც რამეში!  
ერთი არ არის, — ორი ექნება, რვა ექნება თუ  
ოცდათვრამეტი?..

ერთი მოკლე ხმალი ხომ აქვს, — აქვს! ერთ გრძელსაც დაიკიდებს  
და ესეც შენი ორი მახვილით აღჭურვილი სამურაი!

მიმყავს კოპარუ, თუმცა, ცხადია, უნდა შეზავდეს  
მადლი მარლით:

რაკი ასეა, მივაყოლებ სამურაისაც, —  
ზედ დაუუსართებ ნამზითვარივით...  
როგორ გგონია — გამექცევი სადმე, კოპარუ?  
ან როგორ ფიქრობ — უძღურია ჩემი ქონება?  
ბედი თუ ბედობს ბედის დავთარში, გნახავს ისარი,  
შეგეწონება.

ვერა, ვერ შეცვლი, მშვენიერო, შენი მცდელობით,  
რაც ბედისწერამ ერთხელ გაზომა.

ახლა თუ გპოვე, მერეც მოგაგნებს ბერის ჭკუა და  
ოინბაზობა.

მე კი...

რას ფიქრობთ, ღირსეულო მანდილოსნებო,  
ვითომ რითი ვარ ბერზე ნაკლები?  
თუ დამჭირდება, — ღმერთო, დამიცევ! —  
ლოცვა-კურთხევად ჩაგეკაკლები...  
იქნებ, რა ვიცი, — გიყიც გგონივართ,  
სიდან სადაო, საყვარლებო,  
სიდან სადაო!

აბა შემხედეთ: — „გეაჯები, ყოვლადძლიერო“,  
„გვედრებ, სუტრების დიდო ძალაო!“  
გონგის ხმა გნებაეთ? — მოითმინეთ, აგერ ტაფა მაქვს,  
საღვთო ბოლი გსურთ? — ესეც თუთუნი!  
რატომ არაფრად გეპიტნავებათ ნაზარხოშალი ბერის  
კრუტუნნი:

ბუმ-ბუმ-ბუმ!  
ბრუნავს, როგორც ბუმბული,  
ბუმბერაზი ჯიპეი, —  
ღვინით გამორუმბული.

სად მოგსწრებიათ ამისთანა თვალისსეირი:  
მომეწყინაო ცოლის ყურება,  
აჰკიდებია საწყალ კოჭარუს და უსირცხვილოდ  
ეკურკურება.

— მაგრამ, თუ გიყვარს, ძმაო ძვირფასო, ცოტა სხვა რამეც  
უნდა ითავო!

— ოქრო არა მაქვს, ვაი-ვაი!..

გადი, გამწორდი,

ქალო, ფულების გამომლლიტავო!

— ოქრო არა გაქვს? არა უშავს...

— მაგრამ, თუ გიყვარს, ძმაო ძვირფასო, ცოტა სხვა რამეც  
— მხოლოდ მტვერი მაქვს, ჩემო კარგო, მხოლოდ ნაგავი,  
ნამუსრალეები ჩემი ცოლ-შვილის და ქალაღლები  
თავზე საყარი.

ქალაღლებიო?!

გაგიგონია მარტო ამისთვის თავის ატყენა!

ცხვირს თუ მოიხოც...  
თუმცა, მგონია,  
არც მოსახოცად გამოგადგება.

რბის ჯიჰეი-ჰანაგამი,<sup>24</sup>  
ყბედობს ენა-ლაქარდი,  
დააქვს პირიანახავი —  
შმორიანი ქალღი.

ვაი გაყიდულ პატოსნებას —  
ფულის მაგივრად შერჩა დოზანა!  
მერე აფრინდა,  
ნამთვრალევეზე აპყვა ოცნებას,  
ჯერ შეეპებლა საწყალ კოპარუს, მერე სხვებთანაც  
შეიფრთოსანა.

ნამაიდა!.. ნამაიდა!..  
შეგვიწყალე, შეგვიწყალე წყალობითა შენითა!..

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ვიდრე ტაჰეი წინ და უკან ასე წრიალებს,  
ვიდრე კვლავ ისმის სიბნელეში მისი ქაღება —  
კარს მოადგება უცხო სტუმარი და შესასვლელად  
შეემზადება.

პირსაბურავად ამიგასა ჩამოუფხატავს,<sup>25</sup>  
მეც... რა ხელი მაქვს, — უყოყმანოდ ვემორჩილები.  
ორი ჭრილი აქვს პირსაბურავზე,  
ჭრილში ჩინობენ თვალის ჩინები.  
„ჩანს, ჯიჰეია! — გულმოსული ფიქრობს ტაჰეი —  
თვალსატყუარად აუბლანდავს შავი საპირე  
და სიბნელეში მოიკრიფება ჩემი მტერი და  
მოპირდაპირე!“

ჩააშტერდება შმაგი თვალეებით,  
რა ჰქნას, — არ ძალუძს მშვიდად ყურება! —  
მერე მისწვდება გამძვინვარებით და კარებისკენ  
ეჯაჯვურება.



აა, ჯიჰეი!.. მობრძანდა ქალაღდი, შმორიანი ქალაღდი! ნეხესა და ნაგვის ორმოში ნათრევი ფარატინები! პირდაპირ აამყარალა აქაურობა, აღარ შემიძლია, დავიხრჩვე კაცი!.. რაო, კიდევ მიძალიანდები?

მხღალო, გამოტყდი, გაშინებენ ჩემი ლოცვები!

აბა წარმოთქვი: — „იყავნ წყალობა!“

წაიჰურჩულე: — „იყავნ წყალობა!“

წაიგალობე: — „იყავნ წყალობა!“

თქვი: — „შეგვიფარე, ამიტაბაო!<sup>26</sup>“

თქვი: — „შეგვიბრალე, ამიტაბაო!“

თქვი — „შეგვიწყალე, ამიტაბაო!“

ანღა:

„ყოვღადღღიერო, გვიხსენ, ბუღაო!“

„ყოვღადქებულო, გვიხსენ, ბუღაო!“

ისევ და ისევ: — გვიხსენ, ბუღაო!“ —

ჩქარა თქვი-მეთქი, ამოშაქრე შენი სათქმელი, თორემ მოგდგები, ეშმის ზიარო, რომ აგავლიჯო პირსაბურავი და გღახაკივით აგაღრიალო!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ტაჰეი ცღიღობს —

ააღღიჯოს პირსაბურავი.

ღამპიონების სინათღეზე დახეღავს სტუღმარს,

რომ უქეთესად გააღრიოს მწიკვღი და ხენჯი,

მაგრამ, რას ხეღავს —

ჯიჰეის ნაცვღად

თეით სამურაი შემორჩა ხეღში!

წვეღრმომახული ორი მახვიღი

და სამურაი შემორჩა ხეღში!

მახვილი მოკლე...  
მახვილი გრძელი...  
და სამურაი შემორჩა ხელში!  
რა ჰქნას ტაპეიმ — უბღვერს სტუმარი,  
რამეს უზამ თუ...  
ბიჭი ხარ და, — მიდი, უქენი:  
მუგუზლებივით უბრწყინავს ჭრილში განრისხებული  
თვალისგუგები.

რა ჰქნას — კანკალებს, უმიძის ყურება,  
მაგრამ ეს ზაფრა როგორ შებუროს,  
ვერც „შეგვიწყალეს“ ელულულდება, ვერც ეუბნება  
„ყოვლადქებულოს“.  
თვალებს აცეცებს აქეთ და იქით, უჭირს, ცხადია,  
ნიშნის მოგება,  
მაინც არ იმჩნევს, მოდგება რიხით  
და გაბრექილი  
ეროხროხება:

### ტ ა პ ე ი

ჰმ... დიახ, დიახ... აჰა, ეტყობა, შემეშალა. რა გითხრათ, ქალბატონო კოპარუ, მე ერთი ქალაქელი კაცი ვარ, ქამარ-ხანჯალი რა ჩემი საქმეა! სამაგიეროდ, ოქრო-ვერცხლი მიყრია შინ, ყელამდე მაქვს ფული და ქონება. ახლა, როგორ ფიქრობთ, ოქროს ბრჭყვიალი სჯობს თუ რკინისა? მიბრძანეთ ერთი!..

ჯიპეიზე კი... ჯიპეიზე ამას გეტყოდით:  
მისი ადგილი, მე რომ მკითხოთ, სანაგვეშია,  
თუმც, რა თქმა უნდა, ზედმეტია კითხვა ამისი:  
თქვენი ჯიპეი ძაღლის ლეშია — უსარგებლო და  
მოუხმარისი.

რა გააჩნია — ამიხსენით:

— მხოლოდ ქალაქელი!

გახვეულია ქაღალდებში მისი ღირსება.

ისე, იცოცხლე, ერთი თუ არის, ათასნაირად  
გაგებლინძება.

დაძრწის კარდაკარ, ქოფაკივით დაეხეტება,  
სახლში ცოლ-შვილი დაუგდია შიშველ-ტიტველი!  
სიდან სადაო! — ვინ ტაპეი და

ვინ ქაღალდების გადამყიდველი!

წავიდეთ, ძმებო, გავეცალოთ აქაურობას,

„ნაკამაჩიმდე“<sup>27</sup> კიდევ დაგვრჩა ცოტა სავალი!

გზად, იმედია, შეგვეჩეხება ეს გახრეკილი ქვეწარმავალი.

ერთიც ვნახოთ და, ვინ რა იცის, — იქნებ, გვამდიდრებს,

იქნებ, ქაღალდიც მოგვცეს გირაოდ!

ო-ჰო! —

მივდგეთ და ქაღალდიანად

სადმე ტლაპოში ჩავაყიროთ!

აბა, წავიდეთ!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მიდის ტაპეი, შიშნაქამი მიიძურწება...

— როგორ ვიმარჯვე,

როგორ ვიმარჯვე,

ალარც ვაცალე კრინტის გაღება! —

საამაყო მისი სიმარჯვე

და, რა თქმა უნდა, ეამაყება.

მიდის ტაპეი, მისდევს ამაღა,

რას ტრაბახობენ, ღმერთო ძლიერო!

მე შენ გეტყვი და, დიდი რამე აქვთ გასაბღენძი და  
საკადნიერო.

ხოლო კოჰარუ?..

როგორ იქნება საცოდავი, წარმოიდგინეთ,

ცრემლში ცურავენ წამდაუწუმ მისი თვალები,



საწყალს დარდი ჰკლავს გულისსწორისა, ზის თავდახრებულ  
ნაფერმკრთალევი.

ხედავთ — როგორ თრთის, როგორ ღელავს,  
როგორ კანკალებს,  
ასე ვასინჯეთ, — დაავიწყდა სტუმრის მიღება  
და ოცნებათა სამკვიდროიდან კვლავ ჯიპისკენ  
მიიღრიკება.

ამასობაში:  
„ქინოკუნის“ სასახლეში ჩაქრება შუქი,  
აქეთ მოიწევს ფერმიხდილი ქალის სახება —  
შემოვარდება მსახური ჯუფი  
და სამურაის შეეზრახება.

**ს უ გ ი**

მაპატიეთ, გეთაყვა! ქალბატონ კოპარუს აქეთ რომ მოვაცილებდი,  
პატივცემული სტუმარი ჯერ არ გახლდათ მოზრძანებული. ჩემმა  
ბატონებმაც, — ღმერთო, ღმერთო! — რომ იცოდეთ, როგორ გამ-  
თათხეს: რატომ ყურადღებით არ შეათვალიერე, იქნებ სამურაი  
კი არა, სულაც გადაცემული ჯიპია შემოპარულიო?

და, როგორც ხედავთ, —  
ვალდებული ვარ შეგამოწმით, ჩემო ბატონო!  
გთხოვთ მომიტევოთ ამნაირი გულახდილობა!  
თუმცა, რომ ითქვას, იმათ ისურვეს, თორემ მე რა მრჯის —  
რა თქვენ და რა ის! —  
კი, — ვენდობითო, — ასე მითხრეს, —  
მაგრამ რას იზამ,  
გულდაჯერება გვიჯობსო მაინც.

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

ამ ლაპარაკში წამოხადა პირსაბურავი  
და შუქფარანი შეანათა სახეში სტუმარს.

პი..

ეს ბატონი, რა თქმა უნდა, ჯიპის არ ჰგავს...

გთხოვთ, მომიტევეთ!..

მაშ, ქალბატონო! მე გტოვებთ ფრიად სასიამოვნო  
 მეურვის ხელში.

აბა, თქვენ იცით!

არ მოგვიწყინოთ უმიზეზოდ ჩვენი სტუმარი,

ლმერთმა არა ჰქნას — უცაბედად ატყინოთ რამე!

ჩვენში დარჩეს და, ვიცი ნამდვილად ქარიშხლიანი გექნებათ  
 ღამე.

მაგრამ რა უშავს! —

ეს სხვანაირი ქარიშხალია,

სხვაფრივ იწვიმებს... მე შენ გეტყვი და, არ მოგიწიოთ  
 დგომა ქოლგებით!..

თავს ნუ შეაწყენთ უადგილო კოკობზიკობით,

ნურც ნამეტნავად მიებორკებით!

იგრძნოს სტუმარმა გაზაფხულის იავარდობა, —

გადაუფურჩქნეთ უზრუნველად თქვენი მარაო!

ძნელი საქმეა მისი გართობა, თქვენ არ გეგონოთ სამასხარაო.

კარგად შეამყავ-შეაცხარეთ თქვენი ბურახი,

მთლად დამორცხვებაც ჩაგეთვლებათ ზედმეტ სირბილედ.

ძმრით შეუზავეთ ბალახბულახი, შეამწნილეთ და

შეაპილბილეთ!

სხვა კი თქვენ იცით... აბა, წავედი!...

ღამე ნებისა, ჩემო გვრიტებო, ღმერთმა გალხინოთ, სიტკბო  
 განახოთ!

თქვენ კი ხვალ განახავთ, ფიქრი ნუ გაქვთ, დიასახლისო,

გამთენიისას შემოგივლით ულაპარაკოდ.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ცდილობს საწყალი, ასწაირად ენაკვიმატობს,

სალაღობოსაც ჩაიმღერებს ალაგ-ალაგ და...

მაგრამ გაიხსნა ღუმილის კარი  
და სამურაი ალაპარაკდა.

გესმით, რას ამბობს? ჰოი, ღმერთებო,  
ბუდავ დიადო, ბუდავ ზვიადო!  
რადაც არ მოსწონს, — ვატყობ აშკარად,  
გაბღვერილი ჩანს,  
უხასიათო.

### ს ა მ უ რ ა ი

რა ამბავია, მართლა და მართლა! ასე ხედებით ხალხს? რა ჭირვე-  
ული მუშტრებივით მიკირკიტებთ, თითქოს გასაყიდი საქონელი ვი-  
ყო! რას მატრიალებთ წადმა-უკულმა! მამასხარავებთ, თუ რა არი!  
ამისთვის მოვედი აქ?! ცოტა ჯაფა კი არ დამდგომია: ჩემი ბატონ-  
ნის ციხის გალავნიდან<sup>28</sup> დღისითაც კი ვერ გამოაღწევეს კაცი. ლა-  
მეზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია: წუთით რომ მოგინდეს გამოსვლა,  
თვით დაცვის უფროსი უნდა შეაწუხო. ამასაც ვინ დაგაჯერებს, —  
საგანგებო დავთარში უნდა მოუწერო ხელი! რას იზამ, მკაცრი  
კანონები გვაქვს, მეტისმეტად მკაცრი; მაგრამ ქალბატონ კოჭარუს  
სილამაზე რომ შევიტყვე, ყველაფერზე ხელი ავიღე, აქეთ გამო-  
მიწია გულმა. ამ ცოტა ხნის წინ ჩემი ფეხით მოვედი და პაემანი  
დავთქვი, ჩემი ფეხით! არადა, ხომ შემეძლო მსახური გამომეგზავ-  
ნა. ქალბატონო კოჭარუ! თურმე რა მიამიტი ვყოფილვარ! მეგო-  
ნა — თუნდაც ერთი ღამე რომ გამეტარებინა თქვენთან, ეს შეხვე-  
დრა ტკბილ მოგონებად გამყვებოდა სიკვდილამდე; მაგრამ რა: ერ-  
თი ღიმილიც ვერ გამოიმეტეთ, სალამი რომ სალამია, იმის ღირსა-  
დაც კი არ გამხადეთ... რა ძირს დაგიშტერებიათ თვალეზი, დაკარ-  
გეთ რამე? კისერი მაინც არ აგტკივდათ ამდენ ხანს? დიასახლი-  
სო, გამაგებინეთ ერთი, ეს რა ამბავია! კაცი საჩაიფი მოხვიდე ამი-  
სთანა ლამაზ ქალთან და ბუსავით იჯდე? ესლა მაკლია, — ავდგე  
ახლა და ბებიქალივით დავუწყო ფერობა! ვის გაუგია ასეთი ამ-  
ბავი!

აი, ხომ ხედავთ, როგორაა გაცეცხლებული.

დი ა ს ა ხ ლ ი ს ი

სწორი ბრძანდებით, სწორი ბრძანდებით! მართებულია თქვენი გულსწყრომა, ჭეშმარიტად მართებულია! მართლაცდა, უცნაური ჩანს ყველაფერი. მაგრამ მადროვეთ — ახლავე აგიხსნით: ქალბატონ კოპარუს ერთი გამორჩეული სტუმარი ჰყავს: ჯიპეიზე ფიქრობს დღედაღამ, სულ მისი სახელი აკერია პირზე. წუხელის ჯიპეი, ამალამაც ჯიპეი, სულ ჯიპეი და ჯიპეი!.. სხვა მუშტარი დასანახავადაც არ უნდა: არადა, მისი შიშით ხალხი ვერ გაკარებია. თუ ვინმე ცოტა მდიდარი და ხეირიანი იყო, სუყველა შემოეცალა. არ ვიცი, — სანამდე გასტანს ასე! ხომ გაგიგიათ, მეტისმეტმა სიყვარულმა და ვნებათაღელვამ ჩათრევა იცის. ისე კი, ცოდვა გამხელილი სჯობს და, ეს ამბავი ყველაზე მეტად ჩვენ გვაფიქრებს. რას იზამ, ასეა. მეპატრონეებს, მოგეხსენებათ, მუდამ ერთი თავსატეხი გვაქვს: ასეთ სიყვარულს ყოველნაირად უნდა შევეუშალოთ ხელი. ამიტომ — ყოველ შემომსვლელს ასე ვაფაციცებთ ვუთვალთვალვით.

ღმერთმა არა ჰქნას — წამოგვადგეს თავზე ჯიპეი!

სწორედ ამიტომ, მართებული გახლავთ სრულიად —

პირდაღრეჯილად შეეგებოს სტუმარს კოპარუ,

ქუშად შეხვდეს და ბაგემღუმრიად;

მაგრამ სტუმრისთვის მართებული სულ სხვა რამეა:

სტუმარს, ცხადია, უნდა გართობა!

ო, ეს სიფრთხილე, მართებულობა,

ო, ეს შიში და უკუღმართობა!..

მე კი... მე, როგორც მასპინძელი, ასე ვიტყვოდი:

მართებულობა სამართლიან სამართალშია, —

არც თვით ივნო და ისიმძიმელო,

არც სხვას მოავლო სევდის არშია!..

აბა, რას უცდით, გაინძერით, დასცალეთ თასი!

ქალბატონო კოპარუ, ქალბატონო კოპარუ! გამოცოცხლდით...  
ეთ თავი! გაიღიმეთ, ძალიან გთხოვთ!..

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

თავგამოდებით ელიქნება დიასახლისი,  
ტკბილმოუბარი, ენაწყლიანი...  
მაგრამ კოპარუ მიქცეულა ბაგემდუმრიად, —  
ღუმს ღამეული მგზავრი გვიანი.  
რას ფიქრობს ნეტავ, — ემზადება სალიტანიოდ  
თუ განჩინებას ბედისას სწყევლის?..  
აჰა, ასწია დაღლილი თავი და დამწუხრებულ  
ლაწვისთავეებზე  
მარგალიტები გაბრწყინდა ცრემლის...

### კ ო პ ა რ უ

ნება მიბოძეთ, ერთი რამე გკითხოთ, ბატონო სტუმარო! მომისმინეთ:

ქვეყნად სიკვდილი — კარგად იცით — არვის ასცდება.

მაგრამ ამბობენ —

მოკვდავი, ვინაც

„წმიდა ღამეთა ათეულში“<sup>29</sup> აღესრულება, —

ცოდვილიც იყოს,

ცოდვათაგან განიწმინდება.

თურმე ზესკნელში ხელმეორედ იწყებს ცხოვრებას,

სასიამოა, რა თქმა უნდა, ასე დაწყება:

ბუდად იქცევა ზეგარდმობის საბრძანისებში

და ღვთაებათა მოზიარედ შეირაცხება...

ხომ მართალია, ნეტავ, ყოველი?



## ს ა მ უ რ ა ი

მე რა გაუწყობ, აბა, ამისი?  
უმჯობესია მოიკითხოთ ვინმე მისანი,  
ყოვლისმაუწყე ბერები იხმით.

## კოჭარუ

მეც სწორედ ისე მოვიქცევი,  
როგორც მითხარით...  
კიდევ ერთს გკითხავთ, თუ, რა თქმა უნდა,  
თავს არ შეგაწყენთ შესაკითხავით:  
ვთქვათ — ცხრა მთას იქით მავანი და მავანთავანი  
სიკვდილს ნატრობს და შავბნელ დღეშია:  
თქვენ რას ურჩევდით, — ყელის გამოჭრას,  
თუ სახრჩობელა უმჯობესია?

## ს ა მ უ რ ა ი

რა უცნაური ვინმე ხართ! ნეტავ მე საიდან უნდა ვიცოდე! მაღლობა ღმერთს, ჯერ არც თავის ჩამოხრჩობა მიცდია და არც ყელის გამოლაღვრა. სჯობს რამე სამხიარულო ვთქვათ! მეომარი კი ვარ, მაგრამ ასეთი ამბები რომ მესმის, გუნება მიფუჭდება.

## დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი

ქალბატონო კოჭარუ, ქალბატონო კოჭარუ! ეს უკვე ნამეტანია. გაგიგონიათ ასე ლაპარაკი?! ცოტა აზრი მოიკრიბეთ, კაცი პირველად ჩვენთან!

თქვენი რა ვთქვა და — ჩემთვის აჯობებს,  
ჩემს ქმარს მივხედო, მივუბრუნდე თვალისჩინს ჩემსას.

დავლიოთ ღვინო, უკუვეყაროთ გულთა ნაღველი,  
უმჯობესია მებრუვეთა მცნებას წარბაძოთ.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ბნელ დარბაზონში შედიან უხმოდ, წინ მიუძღვებათ დიასახლისი.

ცაზე კი... უკვე აღმოენთო მიმწუხრის მთვარე,  
ყრუდ შემოიქცა ვარსკვლავი მიღმის,  
კვლავ მდუმარებამ მოიცვა არე...  
ნაბიჯების ხმა  
მიწყნარდა თითქმის...



## II სურათი

### მთხრობელი

ბრწყინავს ტემაში<sup>30</sup> უფლის სავანე.  
შიგ მოივანებს, როგორც ამბობენ, ქალაქ ოსაკას შემწე-  
ბატონი,

თვალში გეცემათ მისვლისთანავე  
ცადაზიდული ზაგუმბათონი.

ტემას იცნობენ სავაჭროებით:

ვაჭრებს მფარველობს ტემა ტენჯინი, რისი მრევლიო,  
ვისი მოსავი!

ხან ფირნიშები ამშვენებს დუქნებს, ხან წარწერების  
კრიალოსანი...

თუ შეგივლიათ მოფუსფუსე სავაჭროებში,

იქ ჯიჰეისაც სადმე ნახავდით,

მისი დუქანი, მოგეხსენებათ,

დღე და მოსწრება

ვაჭრობს ქალაღდით;

... ტაძარს ბევრი ჰყავს მოყურადღე,

გუგუნებს მრევლი: — მეოხად გვექმენ! —

თუმც შემალღებულ სამრეკლოებზე ზარის მაგივრად  
ჭორები რეკვენ:

— რა მომხდარაო!

რა მომხდარაო!



დმერთმა დასწყევლოს ზოგ-ზოგების ზნე და ბუნება  
 თურმე, ნუ იტყვით, —

ქალაღლების გადამყიდველი  
 ეტრფის კოპარუს, ებულბულება!  
 იწვის ქვეყანა, არ ჩანს საშველი,  
 მაინც არ ცხრება ეჭვი თავნება,  
 ზარს არისხებენ მოგანგაშენი, მობოლავს კორი,  
 მოიკვამლება:

თუმც უბედობა დაჰყოლიათ ბედის მაგიერ, —  
 სულთამხდომელის მოლოდინში თრთიან ნელიად,  
 დმერთებს როგორღაც მოუბლანდავთ მათი კავშირი  
 და ყაითნებით ჰაიპარად შეუბნევიათ.

მაგრამ უეცრად გაწყვეტილა წმინდა ზონარი,<sup>31</sup>  
 დაზარებიანთ ხელმეორედ თასმის შებნევა...

აწ გაწყვეტილის შესაკვანძავად  
 ვით ღვთისნიერი მოიძებნება?  
 და ჰა, ცხოვრობენ ასე შორიშორ,  
 ფიცით შეკრულნი თუმცა არიან,  
 ცრემლს აწვიმებენ უერთმანეთოდ,  
 სხვას —

ყოველივეს განეკრძალებიან.

... და ყოველ ღამით,  
 ნისლიან ღამით,  
 ჯიჰეი სტოგებს სახლეულს თვისას  
 და ქუჩაბანდებს მიუყვება ფარული ჩქამით.  
 ნათლიერის ხანს

გაყურდება გულთქმა მისი,  
 თითქოსდა შორით სურვილების კარიც იღება,  
 სული ეყრება გატანჯულ სხეულს და მიჯნურისკენ მიიდრიკება.  
 თურმე დაუთქვამთ —  
 პაემანზე შევიყაროთო,  
 ერთმანეთისთვის შეუფიცავთ შესაფიცარი.  
 შეხვდებიან და...

აღსასრულის ჟამიც დარეკავს, —  
 ხმის წაყრუებით ასკვნის მისანი.

აქეთ კოპართ იცრემლება,  
იქით ჯიპეი,  
თუმც, დამერწმუნეთ, — აღსასრული მოდის ნელიად.  
დიდი ხანია, მიელტვიან ერთიმეორეს,  
დღეც სიკვდილისა იმთავითვე დაუდგენიათ...

წედან ჯიპეიმ წაივასშმა  
სამიკიტნოში.

იჯდა თავისთვის, ვისთან რა ჰქონდა საჭორაო და სამუსაიფო,  
მაგრამ „ქალიო“, „სამურაიო“, — ღმერთმა დალახეროს! —  
მაინც გაიგო.

ჰაი დედასა!

ჰაი დედასა!

თურმე რას შვრება ცრუ და რიოში, — სტუმრებს  
ღებულობს

„კავასიოში“.

„— დღეს აღსრულდება! — ფიქრობს ჯიპეი, —  
ერთად ჩაქრება ორი სანთელი,  
შავად მეტყველებს ბედის ვარსკვლავი, ღამე ავს მითქვამს  
ამალამდელი“.

ქუდმოგლეჯილი გავარდება „კავასიოში“,

მე შენ გეტყვი და, უჭირს გაგნება!

სახლს მიადგება ჩვენებასავით

და ფანჯარასთან

აიკლაკნება.

ხედავს, რას ხედავს? —

დაუხრია თავი კოპართს,

ზის ფერმიხდილი, გარინდებული...

იწვის კანდელი, სიჩუმეა დარბაზოვანში,

მხოლოდ ქამიქამ ისმის ფხაკუნნი.

იქით, სიღრმეში

სამურაი დაუნჯებულა, —

პირს თავსაბურავ-ჩამოფხატული.

სახე არ უჩანს... მყუდრო ტალანში

მთვარე მიმოდის ოქროს ფოჩვებით.

დუმს ყოველივე...  
მხოლოდ სტუმარი  
ყბას ამოძრავებს ჟამგამოშვებით.

### ჯიჰეი

ბეჩავო, ბეჩავო კოპარუ!.. როგორ გაფითრებულა! როგორ მისუს-  
ტებულა! წამდაუწუმ პირს იბრუნებს, სანთლის შუქს ერიდება. აღ-  
ბათ, ისევ ჩემზე ფიქრობს საცოდავი. ნეტავი შემეძლოს ჩაეჩუ-  
ჩულო, რომ აქ ვარ, ახლოს ვარ! ან ერთად გაქცევა შეგვეძლოს  
სადმე!.. თუნდაც უმედაში!.. ქიტანოში!..<sup>32</sup>

ნეტავ, რა ხერხით მივანიშნო სანიშნებელი,  
ჩემი აქ ყოფნა რანაირად შევატყობინო?

### მთხრობელი

ჯიჰეის ფიქრი მიიქცევა სატრფოს მხარდამხარ,  
მზის საუფლოსკენ მიიწვევრება...

ხოლო სხეული —

გატანჯული მისი სხეული,

ჩუმად რომ დნება სიყვარულის ტკბილი სამსალით, —

ცხაურს მიკვრია, მიწებებია, ზედ მიკვდომია

პეპლის ფრთასავით.

ჯიჰეი ტირის.

უმზერს კოპარუს, თითქმის სამღურავს ამბობს თვალებით,

ხოლო სტუმარი ჩუმად ბუტბუტებს, თან ასულისას

ისმენს მოქნარებით.

### სამურაი

ო, რა ძნელია შეყვარებულ ქალთან ლაპარაკი! ქუჩაც როგორ  
მიწყნარდა!.. იქნებ აივანზე გავიდეთ, თვალს წყალი დავალღე-  
ვინოთ და გულიც გადავავლოთ ცოტათი!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და აივანზე გამოდიან სამუსაიფოდ.

## ჯ ი ჰ ე ი

ჩქარა! — მოდიან! უნდა გავიქცე!..  
სად დავიმალო?.. ღმერთო, მიშველე!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

თავს დაიღებს და...  
მიიქცევა ფეხაკრეფილი,  
მიიძურწება ჩრდილში მალიად.  
აივანზე კი  
ისე გართულან,  
მის შესამჩნევად სადა სცალიათ!

## ს ა მ უ რ ა ი

დიახ, კოპარუ, თქვენი ნათქვამით შევიტყვე, — თურმე თავის მოკვლას აპირებთ იმ ვაჟბატონთან ერთად — რა ჰქვია? — ჰო, ჯიჰეი, ქალღმერთ მოვატყე ჯიჰეი. მასზე ლაპარაკით არ იყო, წედან ჩვენმა დიასახლისმა რომ გამოგვიტყედა ყურები? კარგად არ მენიშნა მისი ნაუბარი... მაშ, თავის მოკვლა გინდათ, არა? თუ არა ვცდები, ასეა. კი, მართალია, კაცი რომ თვითმკვლელობას დააპირებს, ზედმეტია მისი გადაჯერება: ცალი ფეხი სამარეში უდგას და შენი ლათაიებისთვის სცალია? მართოდენ ბედისწერის კარნახით მოქმედებს და ჩვენთანა უბრალო მოკვდავთათვის დახშულია მისი გული და გონება. მაგრამ მაინც გეტყოდით: დიდი ვერაფერი საქმე გაგირიგლებიათ. უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრეთ? აბა, კარგად დაფიქრდით: თავს რომ მოიკლავთ, როგორ გგონიათ, ჯიჰეის ახლობლების თვალში ვინ იქნება ბრალეული? იქნება ფიქრობთ, ჯიჰეის დაადანაშაულებენ! არა, ჩემო კარგო, იცოდეთ, თქვენს კისერზე იქნება მთელი ცოდო-ბრალი. წყევით მოგიხსენიებთ სუყველა. საფუღავშიც კი არ დაგაყენებენ, — ათასი ძალღი და მამაძალღი წა-





მურტლავს თქვენს უპატიო ცხედარს. აი, ხომ ხედავთ —  
 ცხელი გელით და რა თავლაფის დასხმა!.. ყური მიგდეთ, კოპარუ:  
 მე არ ვიცი, სად არიან თქვენი მშობლები: ცოცხლები არიან, თუ  
 მკვდრები. მაგრამ თუ კიდევ უდგათ სული, მაშინ სხვა სას-  
 ჯელიც მოგელით საიქიოში: დედ-მამის შემარცხვენელი, უღირსი  
 შვილის სასჯელი! მერწმუნეთ, ტყუილად აგიტკივებიათ თავი: ვერც  
 ბუდად იქცევით და ვერც სასუფეველში დაემკვიდრებით. თუ გგო-  
 ნიათ, რომ ორივეს ერთად დაგაბრძანებენ იმქვეყნად, ერთმანეთის  
 გვერდიგვერდ, ხელიხელგადახვეულებს! ჯოჯონეთი რომ ჯოჯონე-  
 თია, იქაც კი არ დაგაწყვილებენ თქვენს გემოზე. ო, რა საშინელი  
 ხვედრია, რა სამწუხარო! აი, რას გეტყვით: მე თქვენ პირველად  
 გხედავთ. მაგრამ მე სამურაი გახლავარ, ასე ხელაღებით ვერ მიგა-  
 ტოვებთ გასაჰირში. იქნებ ფულმა გიშველოთ, ჰა? ხუთი-ათი ოქრო  
 თუკი წაგეხმარებათ რამეში, მზად ვარ, ხელს გაგიმართავთ. დაე,  
 ჰაჩიმანმა<sup>33</sup> შემრისხოს — სამურაების მფარველმა ღმერთმა, თუ  
 ოდესმე სიტყვა წამომცდეს ვინმესთან.

თქვენ შეგიძლიათ უყოყმანოდ მენდოთ, კოპარუ,  
 დაუფარავად განმიცხადოთ საქმე ყოველი.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მშვიდად, გულთბილად ლაპარაკობს საცოდავ ქალთან.  
 თითქოს განქარდა სევდა ულევით...  
 ქალმა მორჩილად დაილო თავი  
 და დაიკრიფა  
 ხელისგულლები...

### კ ო პ ა რ უ

ო, რომ იცოდეთ, როგორ გიმაღლით!  
 თქვენს გულწრფელობას მუხლმოდრეკით ვწირავ მადლობას!  
 თქვენ აღუდექით მზით და სინათლით ჩემს უმზეობა-  
 უსინათლობას.

არც კი გიცნობდით —  
 შემომფიცეთ შესაფიცარი,

თითქოს ამისთვის მოიძიეთ ჩემი გზა-კვალი,  
თუმც არ გვექონია არასოდეს შეყრის მიზანი,  
არც გრძნობა რამე — ტრფობისმაგვარი...  
მადლობელი ვარ, მადლობელი... ხედავთ, ავტირდი, —  
მეტი რა გითხრათ: ვინ რა იცის, ხვალ რა მომელის...  
თქმაც მიძნელებდა... მახრჩობს ცრემლები, ეს ნიშანია  
სამადლობელის.

ამბობენ, სიყვარული კაცს სახეზე აწერიაო. მართალიცაა: ბევრიც  
ეცადო, ვერ დამალავ; სწორედ მიმიხვდით: მე და ჯიჰეიმ მართლაც  
გადავწყვიტეთ ერთად მოვიკლათ თავი. კარგა ხანია, ერთმანეთი  
აღარ გვინახავს. ნეტავი, ჩემი გამოსყიდვა მაინც შეეძლოს! ო, რა  
უბედურებაა, ღმერთო, რა უბედურებაა! მე კი ხუთი წელი მიძევს  
კიდევ წინ. გესმით? — კიდევ ხუთი წელი უნდა ვემსახურო ჩემს  
პატრონებს. თუ ღმერთი გამიწყრა და მანამდე სხვა ვინმემ გამო-  
მისყიდა, მე ხომ შევრცხვები და შევრცხვები, მაგრამ ჯიჰესაც სა-  
ქვეყნოდ მოეჭრება თავი.

„ნაძრახ სიცოცხლეს გვიჯობს სიკვდილი! თავი მოვიკლათ!“ —  
დაფიქრებით მითხრა გულისამ.

„თავი მოვიკლათ! — გულუბრყვილოდ გავიმეორე —  
დღემ შეგვაერთოს აღსასრულისამ!“

სამარცხვინოა ასე ცხოვრება! —

ერთად შევეფიცეთ ზენაარი ზესთა კრებულებს,

ეს საფიცარი წამდაუწუმ გვესახსოვრება

და სასიკვდილოდ გვაგაღლებულებს.

ჰოდა, კიდევ დავთქვით და ხელსაყრელ შემთხვევას ველოდებით.  
საიდუმლო ნიშნებზედაც შევეუთანხმდით ერთმანეთს. როცა ბატონი  
ჯიჰეი მანიშნებს: გამოიპარეო, — ეს იმისია, სიკვდილს უნდა  
შევეგებოთ ორივენი. და, აი, ვცოცხლობ ამ დღის მოლოდინში,  
ვცოცხლობ... და არცა ვცოცხლობ.

დედაჩემი კი ცოცხალია.

ცხოვრობს ბნელ ქოხში — გულჩამკვდარი, შეჭირვებული.

გავა ჟამიყამ,

მოიძიებს პურსა და სითბოს  
და სადღეურო ნაცოდვილართ არსობის წყაროს <sup>შეშლილ</sup> ~~შეშლილ~~  
თითქოს.

მე რომ მოგკედები, ელდისაგან ჩაიკეცება,  
ზარდაცემული შეიქცევა კუთხეში გლოვად,  
ან გამოვა და გაოგნებული

გზას გაუყვება შორითი შორად.

მაგრამ სად წავა განკიცხული, თავლაფდასხმული,  
სად აღმოხდება სამდურავი კრულვით და წყევით?

— სადმე ქუჩაში უბატრონოდ აღესრულება  
ნასუფრალისთვის გაწვდილი ხელით.

ო, სათქმელადაც სამძიმოა ესე ყოველი!

... ერთსაც გეტყოდით დაუფარავად:

თუმც აღსასრულის მოლოდინში დღეები მიგვდის, —  
ახალგაზრდა ვარ, ჯერეთ უფრჭვნელი, და სიძულვილით  
ვუყურებ სიკვდილს.

ვიცი, უბადრუკ მატყუარად მოგეჩვენებით. ო, როგორ მრცხვენია,  
რომ იცოდეთ! მაგრამ სირცხვილს არ შეეუშინდები, მთავარია —  
ცოცხალი გადავრჩე!

აწ მუხლმოყრილი გევედრებით — წყალობა ჰყავით,  
თქვენგან მოველი უბედური ნუგეშს და შევბას,  
ვიდრე ცოცხალ ვარ, — ცოცხალი თავით  
მე თავს ვერ მივცემ სიკვდილის ნებას.

ვიდრე ცოცხალ ვარ,

სიცოცხლეზე უნდა ვზრუნავდე,

კვლავ გეაჩებით: — განმარიდეთ სიკვდილის ხელი!..

და გეფიცებით — აღსასრულამდე

მონა-მორჩილი ვიქნები თქვენს!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ასე მეტყველებს ქალიშვილი  
და სამურაი

მიწას უშტერებს ფიქრიან თვალებს.  
ჯიჰეის ესმა ყოველი სიტყვა  
და რისხვისაგან გულამღვრეული  
უფრო და უფრო აეკრა ცხაურს.  
— როგორ შებრუნდა ყველაფერი,  
ჰაი, აჰანდე!

ყურს რომ უგდებდა მიეთ-მოეთებს, ჭურში ყოფილა თურმე  
აქამდე!..

თითქოს გაქვავდა გაოგნებული,  
თითქოს მიაკვდა ცხაურის კიდეც.  
ჯიჰეის ბოდმა მოებჯინა...

გაოცებისგან

ამოიხვნეშა მგონია კიდეც.

ბორგავს, ცოფებს ყრის... სახუმროა? გულზე მოენთო  
ამ გაიძვერა დედაკაცის უღვთო ჭარტალი,  
თითქოს ხეს მოსწყდა მარცხიანი მაიმუნივით<sup>34</sup>  
და მოადინა ქვებზე ზღართანი.

### ჯ ი ჰ ე ი

ჰოი, მაცდურო, ჰოი, მაცდურო!

თურმე — რას ვხედავ —

თვალთმაქცობა იყო ყოველი!

სამი წელია, ასე მატყუებს ეს მელაძეა,<sup>35</sup> ქვე-ქვე მძრომელთ-  
მაშ, მაბრიყვებდა!.. მაცუნდრუკებდა!..

ზნედაცემული სიძვის დიაცი!

უმანკოების ნიღბით ვიდოდა ამ სამარცხვინო კომედიაში.

თურმე, ნუ იტყვი, სიკვდილს გაურბის,

მაგრამ სირცხვილი?!

მოვალეობა?!

როგორ მოვიქცე, მიპასუხეთ,

როგორ მოვიქცე,

რომ სულმა ჩემმა ახლა მაინც სიმშვიდე ჰპოვოს::

მოვაყივნო თუ

ღალატისათვის  
ხმალზე ავაგო ბოლოს და ბოლოს?



### მ თ ხ რ ი ბ ე ლ ი

და ისევ კბილებს აღრჭიალებს, თვალებს აელვებს,  
თან ბოდმისაგან გულმოკლული ცრემლად იცლება.  
მაგრამ რა გვეთქმის, — შელახულია,  
შელანძღულია მისი ღირსება!  
აივანზე კი... მგლოვიარის გულისტკივილით  
მოთქვამს კოპარუ — სათნო და მჭევერი,  
მასაც ცრემლი სდის ღაწვსთავეებზე — მონანიების მწუხარე  
ცრემლი.

### კ ო პ ა რ უ

ვიცი, მფრთხალი და გულმოშიში ვარ და ჩემი თხოვნაც ფრიად  
სამარცხვინოა. მაგრამ, რა ვქნა, არ შემიძლია სიკვდილი, ვერ გავ-  
ბედავ... შემომიარეთ ხშირ-ხშირად... თუნდაც ყოველდღე... ზამთარ-  
შიც... გაზაფხულზედაც...

და მუდამ ასე:  
როცა ჯიჰეი შემოდგება საბედისწეროდ  
და თვითმკვლევლობას მიკარნახებს ცივი თვალებით, —  
თქვენ აღუმართეთ თქვენი მარჯვენი, თქვენ აღუდექით —  
გემუდარებით.  
და მეც... რას ვიზამ, უნდა ვეცადო,  
უნდა ვისმარო, რა თქმა უნდა, ღონე ყოველი,  
ღრო რომ აღუთქვი, უნდა გადავდო, თორემ ახლოა  
სულთამხდომელი.

რა ვი, ხალხნი ვართ, —  
თუ მოხდა და ღმერთმა ინება,  
ხომ შეიძლება გადაიფიქროს ჩვენი შერთვა და შეკავშირება?  
ო, არ იქნება — ამნაირი ბედი გვეწიოს,  
არსთაგანმრიგემ განარიგოს საქმე ამრიგად!  
მაშინ ერთბაშად გასრულდება ჩვენი კირთება:  
მეც ვიცოცხლებ და... ჩემი ჯიჰეიც სამარადყამოდ  
განიტვირთება.

კრულ იყოს ის დრო! — ისე აღვუთქვი,  
არც გამიცია გული სრულებით,  
რომ თუ მოვკვდებით, ერთად მოვკვდებით,  
ერთ სამსხვერპლოზე აღვესრულებით.  
თუმც რანაირად შევუბრუნებ წყვილიაღში ჩანთქმას, —  
დაშვრება სული უთავბოლო წვით და ძიებით...  
ო, ვწყევლი, ვწყევლი ნაჩქარევად მიცემულ აღთქმას  
და ვნანობ, ვნანობ დამნაშავეს მონანიებით.

### მ თ ხ რ ი ბ ე ლ ი

ჩამოეყრდნობა სამურაის მუხლისთავებზე,  
ჩაემხობა და  
შენდობას ითხოვს.

### ს ა მ უ რ ა ი

მე მზად გახლავარ გაგიწიოთ მეურვეობა;  
ჰმ!.. მზად გახლავარ!.. გამოსავალიც,  
ასე მგონია, ვიბოვე თითქოს.  
მაგრამ გავფრთხილდეთ, — აქეთ ქარი ქრის,  
ხალხი ჩაუდის აივნის კიდეც  
და შეიძლება მავანთაგანმა ჩვენი ჩურჩული გაიგოს კიდეც.

### მ თ ხ რ ი ბ ე ლ ი

წამოდგება და ნაჩქარევად მიაჯახუნებს —  
ხის საკეტურებს მიკეტავს ჩქამით.  
ჯიჰვის ესმის, ჯიჰვი ბრდღვინავს — აღბორებულ  
ბოლმით და შხამით.

### ჯ ი ჰ ვ ი

ო, გაიძვერავ, თავლაფდასხმულო,  
მე კი... დანდობას, რახანია, ვისგან მოველი!..  
კაცს უსირცხვილოდ ეავხორცება ამძუნებულ  
დედა-ცხოველი!

ნეტავ, რა ჭირმა დამიბნია ასე გონება,  
ვის ვანდე, ვისა, ჩემი შნო და ჩემი ჯავარი!  
რას ვიფიქრებდი — გამაბახებდა ეს ნაროსკიბალ-ნემეძავარი!  
ხედავ, რას ამბობს! — ვაი სირცხვილო!  
ცოტა დამაცა, — ხანჯლით მოგდგები, პირსისხლიანო  
აფთრის ჯილაგო,  
რომ შელანძღული საშო-შიგანი  
მზის სინათლეზე გადმოგილაგო!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ჰა, ჩარჩოებზე აღიბეჭდა მათი ჩრდილები:  
დგას ქალიშვილი თვალაპყრობილი  
და წაყრუებით ებუტბუტება თანამზრახველის  
დინჯი პროფილი.

### ჯ ი ჰ ე ი

უნდა მივბეგვო!  
უნდა მოგვუღო!  
უნდა ავტეხო ერთი ლიწინი  
და დაწყველილი ქვებუდანვიით ძირს მოვისროლო  
გველის წიწილი.

მაგრამ დავწყნარდეთ, კიდევ გავხედოთ:  
ზის ფეხმორთხმული სამურაი, როგორც ბელადი,  
ერთი ვიცოდე — რაზე ყბედობენ, რას მირეკავენ  
სარეკელათი?  
უხსნის კოჰარუ, გულმოდგინედ ემუდარება,  
ნეტავ, რას შესთხოვს ამისთანას ძუკნა ბინძური?  
ეს ვაეზატონიც რაღას უმტკიცებს —  
ამ სატევრებით წამობრინჯული?  
თავბრუ მეხვევა, მიმიძის ყურება,  
მოსაწევარმა ალბათ მიწია,  
ალბათ ახლოა განადგურება...  
საკმარისია! საკმარისია!..

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ხედავთ, რას შვრება, რანაირად ბორგავს და ბრდღვინავს,  
ვაი ამ სირცხვილს, ამგვარ ყოფას, სამართალს ასეთს!

ანაზღვეულად ქარქაშიდან აიგლეჯს მახვილს,  
მახვილს —

სეკი-ნო მაგოროკუს მარჯვენით ნაჭედს,<sup>36</sup>  
და შეძახილით:

„აჰა, კოჰარუ,

ჰა, შენი გული — უნდო და ურჩი!“ —

უკუმოიქნევს გაშმაგებული და გამეტებით  
უმინებს გულში.

თუმცა გაცუდდა ძალი მკლავისა...

კი, შეანგრია ფანჯრის გისოსი, ფარდაც შეგლიჯა ისე  
ფხიანად,

მაგრამ მოუყვა ხელი ღრიჭოში და გაეჩხირა

სატევრიანად.

საბედნიეროდ, მოშორებით იჯდა კოჰარუ...

ო, როგორ შეკრთა, როგორ შეშინდა, მეხის გავარდნას

ჰგავდა ყოველი,

მაგრამ რაც იყო, — ღმერთის წყალობით, საღი დარჩა და  
ხელუყოფელი...

წამოიჭრება სამურაი,

გადასწევს თეჯირს,

შემოუძახებს ჯიჰვის მჭახედ,

ჩააფრინდება უცებ მაჯებში და ექაჩება აქეთ და აქეთ.

ჰა, შემოდრიკა, მოსწია მძლავრად,

ფიცხლად მოიძრო სატევრის თასმა,

ისე უღმერთოდ მიაკრა კარზე, ხმა ვერ გაიღო

საწყალმა კაცმა.

## ს ა მ უ რ ა ი

მშვიდად, კოჰარუ, საგანგაშო არაფერია!

მადლობა უფალს, გავანელე მისი ქადილი...

ახლა ერთსა გთხოვთ, — განზე გადქეით, ნუ გაგიტაცებთ

ცნობისწადილი!



### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ამასობაში მასპინძლებიც მოვარდებიან.

ეტყობა, ესმათ ჯიჰეის ხმა და  
შიშგარეული ფართო თვალებით:

„— რა ხმებიანო, გაგვაგებინეთ,  
რამე ხიფათში ხომ არ გავებით?“

და სამურაი:

„არაფერია!“ —

ეტყვის დინჯად და თავშეკავებით.

### ს ა მ უ რ ა ი

ვიღაც თავზეხელაღებული დაგვესხა. მეც ავდექი და გავბაწრე. არ  
გაუშვათ, ძალიან გთხოვთ. ახლა მე მომანდეთ ეს საქმე და დანარ-  
ჩენს მერე გაიგებთ!

რა ვქნათ, კოპარუ, როგორ ვარჩიოთ?

მტერმა ისმინა უსაქმური ხალხის ყაყანი.

აქ რომ გავჩერდეთ, დატრიალდება ერთი შფოთი და  
აყალმაყალი.

შევიდეთ სახლში!.. ერთი მოლხენა

არ ჩაგვეთვლება, მგონი, სიავედ...

თან სარეცელსაც ცოტა მივხედოთ, თორემ საკმაოდ  
დავაგვიანეთ.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

„პო!“ — ეუბნება კოპარუ,

თუმცა

შეცბუნებული, ნირწამხდარი თავისას ფიქრობს:

ხმა ეცნაურა რალაცნაირად, ეს სატევარიც

ეცნობა თითქოს.

სხვაგან ჰქრის, სხვაგან, მისი გონება,

გული კი, გული, — საგულეში დაშთა მტირალად.

გული ვერ მოჰკლა სატევარმა...

სამაგიეროდ —

სულს განეწონა გასაგმირავად.

## კოჭარუ

ნეტავი თქვენ, პირველი ხომ არ არის ამ ლოთბაზარა ხალხის ხუს-ტურები. ისევ ისა სჯობს, გავუშვათ თავის გზაზე. წავეიდეს, კისე-რიც უტეხია! მართალს არ ვამბობ, ბატონო კავასიო?

## სამურაი

ო, არა, არა!  
ამას არ ვიზამ არასდიდებით!  
საქმე ისედაც მოგვარდება — ტყუილად სწუხარ.  
აბა, შევიდეთ, —  
მე წინ წარვდგები,  
თქვენ უხმაუროდ მომყევით უკან.

## მთხრობელი

უხმოდ გადიან ოთახებში...  
თვალგაშტერებით ხედავს ჭიპეი, — ყრუდ მინანაობს,  
მიცურავს წყვილო  
და სიბნელეში მიიკრიფება თავსაბურავის  
ფარფატა ჩრდილი.  
მაგრამ რას იტყვის — დაბმულია, ველარ ინძრევა,  
იყოს, ახია! — იწვალოს ასე!  
ვაპ, თუ ხახაშიც მჯილი ჩასჩაარონ და საყბეურიც  
ააკრან ყბაზე!

ჰა, გაიბრძოლებს, ერთიანად დაიძაგრება,  
თუმცა ღირს კია ხელის განძრევა? —  
უფრო ჩაუჭერს თასმისთავეები,  
ჩაეჭდობა და  
ჩაეკვანძება.

როგორ დაეცა!..  
როგორ წახდა!..  
ვაი სირცხვილო,  
ვაი სახელო, ლაფდასხმულო, მოყინებულო!

რაკი ასეა, ურჩევნია თავი დაიღოს,  
 იყოს თავისთვის, უხმაუროდ — ასე არა სჯობს? —  
 რომ სამარცხვინო აღსრულებას მათი ნდომისას  
 პირდაფჩენილი ქოფაკივით დაუდარაჯოს.  
 სხვა რა იღონოს? — ივახვახოს? ისიმძიმელოს?  
 ვინ გაუყუჩებს მტანჯველ იარებს? —  
 ცრემლის წვიმას ღვრის, წვიმას აწვიმებს,  
 სისხლის მდინარეს მოათქრიალებს.

ო, როგორ ბორგავს საცოდავი, როგორ წრიალებს,  
 თუმცა... ვინ ყვირის: ესეც ბედია! —  
 მოდის ტაპეი, — ქუჩა-ქუჩა ნაწოწიალებს  
 ეს უთავბოლო ხეტიალი მობეზრებია.

### ტ ა შ ე ი

ბიჭოს! — რას ვხედავ?!  
 „გავასიოთა“ სახლის რიკულზე ღვედით მიუკრავთ  
 ვილაც მუდრევი.  
 თუმცა, დაიცათ, ჯიჰეია, ჩვენი ჯიჰეი,  
 ჯიჰეი, ჯიბეგაღლეტილი, კოტრი ვაჭარი!  
 უნდა მივდგე და გავაბანღურო ეს ნათრევი და  
 ნაბაცარი.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

რეგვენს ვინ მისცა მეტი გაგება! —  
 ჩააფრინდება ილღიებში საწყალ ჯიჰეის  
 და კარებისკენ ეჩაქჩაქება.

### ჯ ი შ ე ი

ო-ო-ოჰ!.. ო-ო-ოჰ!.

### ტ ა შ ე ი

ჰაიტ, შე მხდალო! რათ, გემწარა, ვაყბატონო? რაღაცას იპარავ-  
 დი, გეტყობა კოჭებში, ამიტომაცა ხარ გაკოჭილი. ჰაიტ, შე ქურდ-  
 ბაცაცავ, შე ყველიპარიავ, შენა! ესეც შენ, მიიღე საკადრისი!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ამას ეტყვის და ხელუკუღმა მოუქნევს ყბაში.

### ტ ა შ ე ი

შე წუწკო, შე წუნკალო, შენა! კარგად კი გაუბაწრიხართ!.. ცოტა დაიცა, — თავსაც წაგაგდებინებენ. ახიც იქნება! ესეც შენ, ესეც შენ!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და წამდაუწუმ მუჯლუგუნით უმასპინძლდება.

### ტ ა შ ე ი

ჰეი-ჰეი-ჰეი!

კართან მიაკრეს ძუკნა ძალლივით  
ჩვენი ძმაკაცი, ჩვენი ჯიჰეი!

ჩინებულია, მეგობრებო, ჩინებულია!

აბა, შეხედეთ, — ქალღმერთის გადამყიდველი, —  
შის კაცობას რომ ასე შეხარით, —

რა სამარცხვინოდ გამოიჭირეს თავის ნაქურდალ-  
ნამუდრეგალით.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ასე უღმერთოდ ყვირის ტაჰეი.

გამოიღვიძეს მეზობლებმა,

მოვარდა ხალხი,

საქმე გაუჩნდა ათას მდაბიოს,

ჩხუბზე თუ მიდგა, ბევრი მოიბრუნს სასეიროდ და  
სადოყლაპიოდ.

სამურაიმიც გაიგონა ტაჰეის ხმა და  
ვანრისხებული გამორბის გარეთ.

ეს შენ ყვიროდი „ქურდიო“, „მაწანწალო?“ აბა, გვითხარი ერთი, რა მოიპარა ჯიპეიმ. ჩქარა გადმოყაჭე, თუ თავი არ მოგბეზრებია!

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ეს თქვა თუ არა, საყელოში წაავლო ხელი,  
თავბირისმტვრევით დაითრია ჩვენი თავნება,  
ძირს დაანარცხებს, მიაგდებს მტვერში, მიაცხრება და  
მიემძლავრება.

ბობლავს ტაპეი, ცდილობს ადგომას, მაგრამ სად შესწევს  
ფხა და უნარი!

ჰა, გაიბრძოლა, წამოდგა ციმციმ,  
მაგრამ მოხვდა და  
ნაპანდურალი  
მიწას გაეკრა ჯიპეის ცხვირწინ.

ს ა მ უ რ ა ი

აბა, ჯიპეი, შეანჯღრიე მამაბაპურად,  
მიდი, უტიე, იცხონე სული!

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და ჰა, ჯიპეი გამძვინვარებით საწყალ ტაპეის გაიგებს  
ფეხქვეშ:

ერთი კეფაზე!

ერთი ყვრიმალში!

ერთიც — უბრალოდ, პანდურად შეგრჩეს!..

ტაპეიმ

წელი აითრია, წამოლასლასდა,

ლაფში და სისხლში ამოთხვრილი ძლიესლა ქანაობს,

მაინც არ ცხრება —

თვალამღვრეული

ისევ ცხარობს და წარამარაობს.

უსაქმურებო! დოყლაბიებო!.. მოდექით ხომ სეირის საყურებლად.  
 მე შენ გეტყვი და, ამომიდექით ვინმე! არამზადებო: გაათელინეთ  
 ხომ ჩემი თავი! დაიცათ, — ყველა თქვენგანის სიფათი მახსოვს,  
 ყველას გაგისწორდებით, თუ კაცი ვარ!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

თუმც გულიანად იცინიან მაყურებლები.

## ბ რ ბ ო

აბა, შეხედეთ!

ცემით თვალეზი დაულილავეს, მაინც ყბედობს და მიეთ-  
 მოეთობს.

სჯობს გამოვნახოთ სხვა რამ წამალი,  
 თორემ შეგვიკლავს თავის წრიბინით ეს გაწრიბული  
 ქვეწარმავალი.

აღბათ, არ აწყენს ნალვინევზე გამოფხიზლება,  
 კარგი იქნება— მდინარეში ვინმე გაბანდეს,  
 გაანელებენ გრილი ტალღები მის სიყალბეს და  
 სიყალთაბანდეს.

მაშ, მოვარჯულოთ, მოვაჭკვიანოთ,  
 ცოტათი შუბლით შევუშვიროთ წყალს და ბორიოს,  
 ცოტაც — ტალღებში გადავუძახოთ,  
 იქნებ, ზეირთებმა შეიყოლიოს.

თუმცა... სად გარბის, —

დაიჭით, ჰეი!

ჰეი, ტაჰეი!

ჰეი და ჰეი!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და მთელი ხროვა ჩაუდგება ტაჰეის კვალში...

სამურაი კი

ჯიჰეისთან შემობრუნდება,

რომ შებორკილი გაუხსნას კვანძი.

აჰა, გადახსნა ნაკევანძარები,  
ბაწრის ბოლო და შესართავისი,  
ჩამოიგლიჯა პირსაბურავი და ვინაობა გასცა თავისი.

### ჯ ი ჰ ე ი

ამას ვის ვხედავ! — მაგოემონი!  
ო, მოდექ, ძმაო, უფროსო ძმაო, მოდი, დამხედე  
უწმინდურ დაღზე,  
მეტი რა გითხრა თავლაფდასხმულმა,  
ან რანაირი პასუხი გაგცე!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ჯიჰეი  
პირქვე დაემხობა თვალცრემლიანი,  
ტირის ჯიჰეი,  
ქვითინებს მწარედ...  
კოჰარუს ეცნო ჯიჰეის ხმა და  
დაფეთებული გამორბინ გარეთ.

### კ ო ჰ ა რ უ

ღმერთო! რა ხდება...  
ნუთუ ეს კაცი...  
თქვენი ძმა არის დანამდვილებით?!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ჯიჰეი მისწვდა კოჰარუს ყელში,  
გამხეცებულმა  
დაითრია მისი ხალათი.  
ხელში მოიგდო, მოისადავა და მოიდრიკა  
ძალისძალათი.  
— უნდა იყაროს გულის ბუხარი,

რისხვა და ბოღმა ანთხის ღვარად!  
კაცი — ქარია თავაწყვეტილი, ქალი — ირხევა ბამბუკის  
ღარად.



### ჭ ი ზ ე ი

მელავ, პირმყრალო, — ქვებუდანო, ბილწო ნადირო!  
უნდა გაგთელო, როგორც ტაპეი, უნდა გატირო,  
მწარედ გატირო!  
იქნებ, გწადია — ისევ დაგვიძვრე,  
სადმე სოროში კუდი მიმალო?..  
აბა მიყურე!  
აბა მიყურე!  
შე ნათრევო და ნაროსკიპალო!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

აჰა, ასწია ფეხი — ვაიმე,  
რას მოიქმედებს, ღმერთო, რა ვიცი!  
მაგრამ — „შეჩერდი!“ —  
მაგოემონმა  
მალლა აღმართა მკლავი თავისი.

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

აი, ხომ ხედავ, რა ღღეში ჩაიგდე თავი! მერედა ვისთვის — იცო-  
დე მაინც! კარგად კი გაგაცურა, ღმერთმანი! აბა, სხვა რა შეუძლია  
ნამუსზე ხელაღებულ დედაკაცს, — ესაა მისი ხელობა. ახლა ხომ  
გაიგე, რა შეილიც ყოფილა. მე, აგერ, ერთი შევხედე და უცებ გა-  
ვიგე ამის ავან-ჩავანი. შენ კი? ეჰ, რა მიამიტი ყოფილხარ! სა-  
მი წელია — გესმის? — სამი წელი, ამასთან ხარ და რიგია-  
ნად ვერ გაგიგია, რა ეშმაკებიც უზის გულში; ჭკუა რომ გქონდეს,  
ამას რას ემართლები! — საკუთარ თავში უნდა იცემდე ხელებს.  
ბოლოს და ბოლოს, ოცდაათი წლის კაცი ხარ, ორი შვილის მამა!  
უფროსი ბიჭი, კანტარო, აგერ-აგერ ექვსისა გაგიხდება, ო-სუე  
კიდევ, ოქროსავით გოგო, ოთხი წლისა გყავს. ამდენი ქონების და



შეძლების პატრონი ბედს რად უნდა ემდუროდეს: გვარიანი დედას  
გაქვს, შენს სახლს რომ შეხედოს კაცმა, სასახლე ეგონება! შენს კი  
დამდგარხარ და საკუთარი ხელით ითხრი სამარეს. რა მოგივიდა,  
რამ დაგაბრმავა ასე! ჩემი სიტყვაც რომ ფეხებზე გკიდი! უფროსი  
ძმა მაინც არ ვიყო!.. მაინც ვის ემდური, გამაგებინე! ჯერ მარტო,  
რა ახლობლები გყავს: სიმამრი, შენც. კარგად იცი, სხვანაირადაც  
გენათესავება — მამიდაშენის ქმარია, სიდედრი კი: — დედა რომ  
დედაა, ისიც ვერ მოგეპყრობა უკეთესად. ახლა ცოლს არ იკი-  
თხავ? — ო-სანი მეც ხომ მკვიდრ მამიდაშვილად მერგება. ხედავ,  
ერთმანეთის ნათესავეებიცა ვართ და მოყვრებიც. სისხლისმიერი  
კავშირია თუ ცოლქმრული, კი ვართ ასე შედუღებებულნი! როცა  
არ უნდა შეიკრიბოს ჩვენი ჯალაბი, სულ შენი სახელი გვაკერია  
პირზე: მთლად წავიდა ხელიდან, სონეძაკიში ყიალის მეტს არა-  
ფერს აკეთებსო — ასე გაიძახის დიდი და პატარა. საწყალი მამი-  
დაჩემი! სულ ებუზღუნება თავისი ქმარი, გოძაემონი: „თავი მომ-  
ჭრა შენმა ძმისშვილმა, საქვეყნოდ შემარცხვინა! დავლუბე ქალი-  
შვილი. იმდენს იზამს ჭიპეი, დავავლებ ჩემს შვილს ხელს და გამო-  
ვაბრუნებ სახლში. მერე იყიალოს, რამდენიც უნდა. ვნახოთ, სირ-  
ცხვილით თუ გამოყოფს გარეთ თავს...“ ხომ იცი, ძველი ყაიდის  
კაცია, — ყველა პატივს სცემს და ძვირად უღირს თავისი ოჯახის  
ღირსება. მაინც მამიდაჩემის კისერზე გადადის ყველაფერი. ლაპა-  
რაკი რომ ჩამოვარდება, თავგამოდებით გიცავს, მაგრამ, ნამეტანი  
თუ გამწარდა, ისიც კარგა გვარიანად ილანძღება ხოლმე. ამდენმა  
დავიდარაბამ მთლად ჩამოაღწო საწყალი. ერთიც ვნახოთ და, ავად  
გახდეს, ვისი ბრალი იქნება, — მიპასუხე.

ცხადია, შენი!

ჩუმად რომ ზის და გულმოკლული თვალებს იოსებს,  
შენ არც კი იცი, როგორ ინახავს შენს ღირსებას და  
სიპატიოსნეს.

თუნდაც ამისთვის მოგეზღვება მალღით სასჯელი,  
ცისგან შერისხულს განგეხვნება ბნელი რიგები,  
ვერ გაეჭყევი შურისძიებას,  
ვერც ბედისწერას განედრიკები.

კიდევ დიდხანს რომ გაგრძელდეს ასე, მთლად დაგენგრევა, ძმაო,  
ოჯახი. გული შემტკივა შენზე და ამიტომ გადავწყვიტე ამ დედაკა-

ცის მონახულება. ვიფიქრე, — მოდი, გავიგო მისი ასავალ-დასავალი: ვინ არის, გულში რა უძევს-მეთქი. ჰოდა, კიდევ შევუთვინებდი „კავასიოს“ პატრონს, — ამლამისთვის დაეთქვით პაემანი. მინდოდა ჩემი თვალთ მენახა — ვინაა, ამდენ უბედურებას რომ გადაგვიდა. აგერ ხომ ვნახე კიდევ! თურმე ვიზე გაგიცვლია ცოლ-შვილი! — ბიჭოს, რა ერთგული გყოლია! ბარაქალა შენს ვაჟკაცობას, მაგრად მოგინადირებია, აი!

ეჰ, ჩემო ძმაო, თქმა არ უნდა, კარგი ვინმე ხარ!  
აბა, შემხედეთ:

ჰაი, აჰანდე! —

მე, დიდვაჭარი მაგოემონი, პატივდებული გახლდით  
აქამდე.

ახლა კი... ვინ ვარ — გადაცმული ტაკიმასხარა,  
წინ მოვისკუბე გულმოწყალე სიძვის დიაცი  
და თავს ვიწონებ ოინბაზობით,  
ვით მასხარების პროცესიაში.<sup>37</sup>  
ხმლები ავისხი, პირსაბური ჩამოვიფხატე,  
თან მასპინძლებსაც ჩავუჯიბე ვერცხლის ბლუჯები,  
ხელმოცარული მსახიობივით ამ კომედიას ვებლაუჭები.

სამურაიო?! —

ხებრე ვარ, ხებრე, დოყლაპია, ბრიყვი, რეგენი,  
ჰაი დედასა, როგორ მომნათლე!  
გულში მჭირს, გულში, შენი სიგლახე, შენი სიბეჩაგ-  
სიბედოვლათე!

### მ თ ხ რ ი ბ ე ლ ი

ამას იტყვის და შებრუნდება გულისტკივილით,  
როგორ შელახეს, ვინ რა იცის, მისი უფლება!  
თვალზე მოწოლილ ცრემლებს იკავენს და პირისახე  
მოედრუბლება.

„— ო, რა მართლად სჯით! — გულსაკლავად ეტყვის  
კოჰარუ —

ქემარიტია ყველაფერში თქვენი ბრალდება!“ —  
მოეძალება მასაც ცრემლები



და ძალმიხდილი გატრიალდება...

ხოლო ჯიჰეი...

— ველარ მოითმენს,

ველარ მოითმენს,

ქალის ცრემლებს და მიეთ-მოეთებს

და გაშმაგებით დაიწყებს ყვირილს.

### ჯ ი ჰ ე ი

ეს მე!..

მხოლოდ მე ჩავიდინე დანაშაული!

ო, ჩემო ძმაო!

სამი წელია —

ამ მელაძეა ქალის წყალობით

თავი მალლა ვერ ამიწევია.

კი, მართალია, ვუორგულე ნათესაობას,

ჩემი ხელობაც დავთმე ასევე,

ზურგი ვაქციე საკუთარ შვილებს, ცოლს ვუგანე და

ვუალმაცერე, —

მაგრამ მერწმუნე, — ყველაფერი ამის წყალობით,

ამ გაიძვერამ მაიძულა ძალისძალობით.

ახლა კი რა ვთქვა: ამეხილა ისევ თვალები

და ყოველივეს ვინანიებ გულისტკივილით.

ამიერიდან გავეცლები აქაურობას,

ამ უხსენებლის სახსენებელს აღარ ვახსენებ.

... შენ კი, ვერაგო, გირჩევნია თავი დაილო,

ქვე-ქვე მძრომელო, ქვებუდანო, მაჩვისნაირო!

შენ გეუბნები, დამთრგუნველო ჩემი სულისა,

შენ ამოძირკვე საძირკველი ჩემი სახლისა,

მაგრამ, ღმერთს მადლი,

ყველაფერი უკვე დასრულდა,

უკვე მეუწყა დაფარული შენი მიზანი:

აწ განშორების აღსანიშნავად

ჩემგან ინიშნე ესე ნიშანი...

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და ნახქარევედ ამოიღებს გულისჯიბიდან  
მომცრო ბოხჩაში მიგულეებულ ჯადო-ბარათებს.<sup>38</sup>

### ჯ ი ჰ ე ი

აჰა, აიღე, ჩაიბარე შენი ნაჯღაბნი ავგაროზები! ავერ აქ არის ოც-  
დაცხრავე, სუყველა მომიყრია შენთვის!.. ოცდაცხრავეს გიბრუნებ  
უკლებლივ! ვაი, რა ფუჭად ვუგზავნიდით ერთმანეთს ყოველთვი-  
ურად! მორჩა, ამიერიდან ნურც ჩემი სიყვარულის იმედი გექნება  
და ნურც ჩემი ერთგულებისა!.. აჰა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახ-  
მაროს!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და ჭიძულვილით მიაყრის პირში.

### ჯ ი ჰ ე ი

ძმა, გამოართვი ჩემი ავგაროზები. შინ წაიღე, კარგად შეამოწმე და  
სათითაოდ ცეცხლში შეუძახე. აბა, რა ფეხს ითრევე, დაუბრუნე ახ-  
ლავე ჩემი ნაწერები!

### კ ო ჰ ა რ უ

მივცემ ახლავე... გემორჩილებით.

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და ცრემლიანი ისეთსავე ბოხჩას აიღებს,  
გულსაკლავია ჭეშმარიტად ქალის კირთება!..  
მიღგება მერე, მიაჩრის ხელში

და ყურადღებით დააკვირდება:

მაგოემონიც გადაშლის უხმოდ,  
განზე გადგება დინჯი ხველებით,  
ლამპიონის ქვეშ

ყურადღებით მოსინჯავს ფურცლებს  
და გადაითვლის გულდაჯერებით.

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

ერთი და ორი... ოთხი... ხუთი და...  
ათი... თხუთმეტი... ღმერთო, დალოცე!  
ოცი... ოცდაცხრა... სულ აქ ყოფილა მთელი სიბრძნე და  
სიაგვაროზე!

კიდევ რაღაც ჩანს, — მგონი, უსტარი:  
ქალის ნაწერს ჰგავს, თუ არ ვცდები...

გვერდი პირველი!

მაშ, საცნაური გავიცნაუროთ

და მოვიხილოთ მოსახილველი!

### კ ო ჰ ა რ უ

ო, მოითმინეთ! მოითმინეთ!

ჩანს, — მეტისმეტად,

მეტისმეტად ვიგულმა ვიწყე.

საიდუმლოთა მტვირთველია ესე ბარათი

და გვედრებით — გამომიბრუნოთ, ნუ გამომძალავთ  
ძალისძალათი!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ამას იტყვის და მიეჭრება აღელვებული, —

იქნებ როგორმე ავართვაო ჩემი წერილი,

მაგრამ არ ჩქარობს მაგოემონი, — გულდინჯია და  
თავდაჭერილი.

ქალს განირიდება, სინათლისკენ შეტრიალდება,

ჩუმად გაშლის და...

მიდრ... მიდენის:

„ქ-ნ კოჰარუს უგზავნის ო-სან, — ცოლი ქალაღის  
გადაწყიდველის“.

აქ შეჩერდება, მობრუნდება აუღელვებლად,

არც უფიქრია წაკითხულზე კრინტის გაღება!  
წერილს ჩაიდებს გულისჯიბეში  
და საპასუხოდ შეეზრახება:

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

კარგად დამიგდეთ ყური, კოჭარუ! —

ამ ნახევარი საათის წინ სამურაების მფარველი ღმერთი დავიფიცე; ახლა კი ფქვილით მოვაჭრე მაგოემონი ვარ და ვაჭრობის მწყალობელ ღმერთს დავიმოწმებ. ვფიცავ, ამ წერილს არავის ვაჩვენებ. არავის, — საკუთარ ცოლსაც კი არა! მართო მე, თუ წავიკითხავ და ამ თქვენს აღთქმებთან ერთად ცეცხლში შევუძახებ. ნუ შიშობთ — არ გეცრუებით, ზოგ-ზოგებივით როდი ვტყებ ჩემს სიტყვას!

### კ ო ჭ ა რ უ

მადლობელი ვარ უსაზომოდ...  
პატიოსნება  
ხელუყოფელი დარჩება ჩემი...

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ატირდება და... კვლავინდებურად  
გულამოსკვნილი ემზობა პირქვე.

### ჭ ი ჭ ე ი

ო-პო-პო-პო-პო!  
გავგიჟდე, მგონი! —  
რა თვალთმაქცურად იხსენიებს პატიოსნებას  
ეს სიმყრალეში ნათრევი მძორი!  
კარგია, კმარა! —  
დროა, წავიდეთ,  
მაგოემონო, წავიდეთ ჩქარა!

უკვე გულს მიმღვრევს სიახლოვე ამა ქალისა,  
არ შემიძლია... მიმიძივს ატანა...  
მაგოემონო, წავედეთ ჩქარა!  
ზიზლი და ბოღმა, ტკივილები,  
სიმძაფრე შხამის  
ჩემს მოთმინებას ეთანდათანა  
და ბალღამივით გაღმოსკდეს ლამის...  
მაგოემონო, წავედეთ ჩქარა!  
მაგრამ ერთსაც გთხოვ, — ნება მიბოძე:  
თუ მადროვებ და ცოტას ღამაცლი, —  
მივალ ერთხელ და უკანასკნელად და სამახსოვრო  
სილას გაუაწნი.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მიდგება ქალთან ბოღმისაგან გულამღვრეული  
და გაშმაგებით უღერებს მჭილებს.

### ჯ ი ჰ ე ი

მე სამი წელი მიგიჩნევდი ღვთაების სწორად,  
ჩემს უსათნოეს მშვენიებად გოვლიდი.  
მაგრამ ახლა კი...  
უმჯობეა შევიქცე წასვლად  
და ზამუღამო გაყრის სამანზე  
წიხლი მოგიზლო ამბორის ნაცვლად.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

აქ შემობრუნდა ჯიჰეი მძიმედ  
და საფეთქელში  
გამეტებით უქნია წიხლი.  
კოპარუმ სიმწრით დაიკვნესა...  
ატირდა ისევ,  
ეპა შავბედო, — უნდოვ და მქისევ!

წავიდნენ ძმები,  
გააყოლა ქალმა თვალები,  
ცრემლიანია განშორება, სევდანარევი...

ცრემლიანია თვითონ კოპარუც,  
ცრემლში ბანაობს  
კაეშანი შეუცნობელი,  
ცრემლში ბანაობს მისი წუხილი, —  
სამწუხაროა ფრიად ყოველი!..

ერთგულია თუ მოღალატე? —

ვერავინ გვეტყვის ცისქვეშეთში დანამდვილებით,  
ვერავინ გვამცნობს დრუბელთა ქვეშე:  
ქალის გულში და ქალის წერილში  
ჩამარხულია სიმართლე ესე.

წერილი შეთხზა ჯიჰვის ცოლმა.

მაგოემონი, —

იმედია, გადაშლის ბარათს  
და დაფარულსაც გვაუწყებს ალბათ.

ხოლო გული კი —

გატანჯული კოპარუს გული,  
ყრუდ ჩაკირულა სიღრმეთა შიგნით  
და ყოველივეს აიდუმალებს  
ამოუცნობი სევდით და ფიქრით.

ნეტავ, ვინ განხსნას საკლიტენი დახშული კარის,  
ვინ განაცხადოს დაფარული  
ამა გულისა?

მაშ, გაიყარა მიჯნურთა გზები.

წერამწერალი ეწია მიზანს...

კოპარუ დარჩა სონეძაკიში,

ხოლო ჯიჰვი

კვლავ დაუბრუნდა სახლელს თვისას.





## მეორე მოქმედება

ჯიშეის სახლი

მთხრობელი

ტემას უბანი ემზადება სალიტანიოდ,  
ტაძრის კარებთან მოდრეკილა მთელი კრებული,  
რომ ამამიცუ-კამის<sup>39</sup> ასმინონ ღვთისმოსავეების  
დავედრებული:

„— ამამიცუ-კამიო,  
მოწყალეა ჰყავიო,  
ძენ!  
შეისმინე ღვთისმოსავთა  
სათქმელ-სავსავიო,  
ძენ!“..

ქუჩა რომ ჩადის, „უფლის ქუჩაა“, —  
ისმენს უფალი მონანიე მრევლის გოდებას...  
აგერ — ხიდიც კი ველარ გაეჭვა „ტემა ტენჯინის“  
სახელწოდებას.

იქ კი ტაძარი ისევ ღალადებს:

„— შენ შემოგვედრიო, შენ შემოგწირავო  
ცრემლთა ნაკადებს,  
ძენ!

ჩვენ — ფულები და კარგი ვაჭრობა,  
 ძენ!  
 მტერს — ვაგლახი და ვაინაჩრობა,  
 ძენ!“

მერე კი ისევ:

„— ამამიცუ-კამიო,  
 მოწყალება ჰყავიო,  
 ძენ!  
 შეისმინე ღვთისმოსავთა  
 სათქმელ-საესავიო,  
 ძენ!“...

... დიახ, ეს ქუჩა „უფლის ქუჩაა“,  
 თუმცა რას აქნევს შემოქმედი მრევლის გოდებას!..  
 ზიდიც, ეტყობა, განზრახ ატარებს  
 „ტემა ტენჯინის“ სახელწოდებას.  
 ნეტარ ბურანში თვლემენ ღმერთები...  
 მაგრამ ვიდრემდე ნებას უფლისას ამა ქვეყნისთვის  
 გაეღვიძება, —

ღულს და გადაღულს ტემას უბანში  
 გახურებული ალებ-მიცემა...  
 აგერ ჩარჩი ძრწის, — ქუჩა-ქუჩა ნაცუნდრუკალი,  
 იქ კი მუშტრების მოლოდინში თვლემენ თერძები...  
 აქვე მოურთავს ჯიპეისაც მომცრო ღუქანი —  
 ხელსარფიანი წინაბრების ნაანდერძევი.  
 მაგრამ ყოველთვის ამნაირად ვაინაჩრობდა? —  
 ვისაც უნახავს, უსათუოდ ემახსოვრება:  
 ეჰ, რა დრო იყო, ჰაი, გიდი, როგორ ვაჭრობდა,  
 რა უზრუნველად მიდიოდა მისი ცხოვრება!..

ახლა კი... ახლა:

ახლა — კუთხეში მიწოლილა მაგემდუმრიად.  
 ღვივის ღაღარი, ღვივის კოტაცუ,<sup>40</sup> — ამოდ გუზგუზებს  
 თბილი კერია,

წრიალებს ო-სან, ოთახს ალაგებს,  
 აგერ, შირმებიც დაუთრევია.  
 დაუთრევია... უნდა გაშალოს,  
 თორემ, ხომ ხედავთ, ქარი წრიალებს, ფარდებს აწყდება  
 ცივი სივლით...

ფუსფუსებს ო-სან, შირმებს აყუდებს,<sup>41</sup>  
 ქმარს უფრთხილდება თვალისჩინივით...  
 ისმის ტაძართან საქმიანი ხალხის ხმაური,  
 მოედინება სალოცავად მთელი კრებული,  
 დღეს გასრულდება ღვთაებრივი დღესასწაული —  
 „წმიდა ღამეთა ათეულად“ სახელდებული.  
 ჭიპის ცოლიც ასნაირად ვაივაგლახობს:  
 რამდენს გაუძღვეს, მარტოქალია! ქმარიც რომ ჰყავდეს  
 რამის მაქნისი!...

აქეთ — ოჯახი, იქით — ვაჭრობა,  
 წელზე ფეხს იდგამს დიასახლსი!..

ო-ს ა ნ ი

მოკლე დღეები ჩამოდგა უკვე, ხელის განძრევას ვერ ასწრებ, ისე  
 ღამდება. ვახშობობის დროა. ტამა მწვანის საყიდლად რომ გა-  
 ვიდა, ჯერაც არ მობრუნებულა. სად ჯანდაბაშია აქამდე! ეს სანგო-  
 როც კაი ვინმეა! შევირდი კი არა, გულის ჭირია ნამდვილი. ბა-  
 გვეების მოვლის თავი მაინც ჰქონდეს! ნეტავ სად დააწოწიალებს  
 ამ ქარ-ყინვაში, სულ გაითოშნენ ალბათ საწყლები. დაავიწყდა, ო-  
 სუეს ძუძუს ჭმევის დრო რომ არის? შტერი რომ დაიბადება კაცი!

კ ა ნ ტ ა რ ო

დედი! აქა ვარ, მოვედი.

ო-ს ა ნ ი

კანტარო! მარტო დაბრუნდი? სანგორო სადღაა? ო-სუე რა უყავით?

კ ა ნ ტ ა რ ო

გარეთ ვთამაშობდით, სალოცავთან. მერე ო-სუემ რძე მინდაო და  
 ტირილი დაიწყო.

ო-ს ა ნ ი

აბა რა იქნებოდა! ნახე, რა მთლად გაგყინვია ხელ-ფეხი! ჩქარა კე-  
რიაზე მიდი და გათბი; მიდი, მამაშენიც მანდაა, სძინავს.

იჩქარე-მეთქი, ნულარ აყოვნებ!..  
ისეც, ხომ ხედავ, იგვიანებს შენი დაიკო...  
რა მოვუხერხო ყეყეჩ სანგოროს, რომელ ენაზე  
ვემუსაიფო?

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ო-სან

ქუჩაში გამოვარდა გულისკანკალით.  
და, ჰა, რას ხედავს, — მოდის სანგორო, მოდის ეს ბრიყვი  
ასე გვიან და  
ბავშვი არ მოჰყავს, — წარმოიდგინეთ, —  
სულ მარტოდმარტო შემოყიალდა.

ო-ს ა ნ ი

ბრიყვო, ო-სუე ვისთან დატოვე?

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

აენთო ო-სან, — როგორ იკადროს, თორემ მადლია  
მისი მითქვეფა!..  
მაგრამ ვერ ხვდება ამას ქარგალი  
და გულუბრყვილოდ შეესიტყვება:

ს ა ნ გ ო რ ო

შეხედე, მგონი, მართლაც დამვარდნია! ვინმემ დასტაცა, ალბათ,  
ხელი და წაიყვანა! ხომ არ წავსულიყავი და მომეძებნა, ჰა?

ო-ს ა ნ ი

ჰოი, შე არამზადავ, შე მართლა დოყლაპიავ, შენა! იცოდე, რამე არ  
მოუვიდეს ჩემს გოგოს, თორემ სულს გაგაცხებინებ, შე უბედურო!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

გაცეცხლებული ანუ უყვირის...  
უყვირის ო-სან, მაგრამ უეცრად ტამა მსახური მოდგა  
კარებში:

ზურგზე შეუსვამს თოთო ბავშვი და  
ცხარობს ო-სანის პირისფარში.

## ტ ა მ ა

გაგიგონიათ ამისთანა უსინდისობა? —  
შუა ქუჩაში დაუგდია საწყალი ბალდი!  
სულ მარტოდმარტო, წარმოიდგინეთ, რას არ იკადრებს  
უბირი ხალხი!..

რა გულმა მოგცა! როგორ გაბედე!  
იმის მაგივრად — ბავშვი გაართო, მოეფერო და  
მოეამბორო!..

აბა, რა გითხრა — ბავშვის მომვლელად  
ღმერთს არ უქნიახარ, ჩემო სანგორო!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მივარდებიან ლანძღვა-გინებით,  
აღარ აცლიან ერთიმეორეს.

## ო-ს ა ნ ი

მოგშიედა, შვილო? გათოშილხარ... დედა მოგიკვდეს!  
აგერ, რძეს გასმევ, ჩემო პატარავ!

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ო-სან ბუხართან მოიკალათებს.  
ბავშვი ხელს მოჰხვევს, ატიკტიკდება, თუმცა ვინ აცლის  
ამბის მოყოლას:

ჩაისვამს დედა, ძუძუს ჩააჩრის,  
სულს მოუბრუნებს საწყალ გოგონას.

### ო-ს ა ნ ი

აბა, ტამა, ერთი ჭკუა ასწავლე ამ რეგვენს! მიდი და შენებურად  
უთავაზე ცხელ-ცხელი!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

გადააქნია თავი სანგორომ.

### ს ა ნ გ ო რ ო

არა, არა, ნუ შეწუხდებით! ეს-ესაა სწორედ ორი ცხელი ფუნთუ-  
შა ვუყიდე ბავშვებს, მეც კაი ხუთამდე გეახელით!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ყბედობს სანგორო, ტუტუცურად ეოხუნჯება...

ქალს ბოღმა ახრჩობს, კიდეც ეს უნდა? კიდეც —

ბრაზი და ცეცხლის შენთება?

თუმც

უნებლიეთ მოერევა მასაც ღიმილი

და გულისწყრომა გაუნელდება.

### ტ ა მ ა

კინლამ არ დამავიწყდა ამ სულელის გადამკიდეს! ჰო, ქალბატო-  
ნო ო-სან! რომ მოვდიოდი, ბატონი მაგოემონი და დედათქვენი ვნა-  
ხე, აქეთ მობრძანდებიან.

### ო-ს ა ნ ი

რა თქვი, მოდიანო! ახლავე ჯიპი უნდა გავადვიძო! ადექით, ბატო-  
ნო, გაიღვიძეთ! აგერ დედაჩემი გვესტუმრა, თქვენი უფროსი ძმაც  
ახლავს. რას იტყვიან, ვაჭარ კაცს ასე ღღისით-მზისით დაძინებულს

რომ გნახავენ, ისევ არ აუტრუვედებათ თქვენზე გული? ხომ ხედავთ  
ხსედაც რა მალე ლამდება.



რა დროს ძილია, დალოცვილო,  
საქმეს მიხედეთ,  
მტერს და მოყვარეს საკადრისი უნდა მიაგოთ...  
— რა თქვი? მოდიან?! —  
შეერთა ჭიჭეი  
და წამოვარდა უხასიათოდ.  
ხელისკანკალით გადმოსწია საანგარიშო,  
ზის დაღვრემილი, სახენაღმეჭი,  
კაცს ეგონება, — თხემით ტერფამდე ჩაძირულია  
თავის საქმეში.

### ჭ ი ჰ ე ი

აბა, ერთხელაც ვიანგარიშოთ,  
უფრო გულდასმით შევამოწმოთ ჩვენი ტაბულა!  
ცოცხლად, ჭიჭეი, ცოცხლად დათვალე, რა ეშმაკებმა  
დაგაძაბუნა!  
მგონი, ნაშთი ჩანს, ხომ არ გვეშლება?  
ცხრის თანაფარდი, თუ არ ვცდები, სამჯერ სამია...  
ორჯერ ორი კი, მოგეხსენებათ, რვა მეორედის ნათესავია.  
რაც მართალია, მართალია, — წახდა ვაჭრობა,  
არ ემატება ერთი იოტი.  
უწინ სად იყო ამნაირი ვაინაჩრობა,  
თვლას ძლივძლივობით ავუდიოდო...  
ცხრა ეტოლება კვადრატს სამისას, —  
ეჰ, წაგებაა, ჩემო ძმაო, ნაღდი წაგება!  
რვაჯერ შვიდი კი უღრეს მამიდას, —  
მის წლოვანებას ესადაგება.  
თუმცა რას ვამბობ, ენა გამიხმეს!  
სულ არ ეტყობა ხნოვანება ძვირფას მამიდას,  
კაცმა რომ ნახოს, იტყვის ოცისას, ან დიდი-დიდი,  
ოცდასამისას!



ბიჭოს! ვის ვხედავ! აგერ მამიდაც!  
მაგოემონი!.. ენამ მიყივლა?

ახლოს მოდექით, ძვირფასებო, ახლოს მოდექით,  
თქვენი სტუმრობაც, მე შენ გეტყვი, ისე ხშირია!..  
რამ მოგაფიქრათ აქეთ წამოსვლა, როგორ გაბედეთ —  
გასაკვირია!..

შობრძანდით, დაბრძანდით, კეთილი იყოს თქვენი ფეხი! მომიტე-  
ვეთ ცოტა ხნით, სასწრაფო დავთრები მაქვს აგერ დასაანგარიშე-  
ბელი: ოთხი გავამრავლოთ ცხრაზე — ოცდათექვსმეტი მომმე, სამ-  
ჯერ ექვსი — გამოდის ერთი მომმე და რვა ბუ<sup>42</sup>. კიდევ ერთი ბუ  
და მთელ კან ვერცხლს მივიღებთ. დიახ, მთელ კანს! აბა, კანტარო,  
ცოცხლად, ლანგარზე თუთუნი და ჩიბუხი დადე და მოგვიბრენი-  
ნე! ო-სან, გაინძერი, ჩაი მოართვი ჩვენს პატიოსან სტუმრებს!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ასე ყასიდად ეხუმრება სტუმრებს ჯიჰეი,  
სხვაფრივ ძნელია ამნაირი ხალხის მიღება.  
მაგრამ მამიდას მისი ხუმრობა დიდად არაფრად  
ექაშნიკება.

### მ ა მ ი დ ა

ნუ შეწუხდებით! ჩაისთვის და თუთუნისთვის არ ვართ აქ მოსული.  
ყური მიგდე, ო-სან! რა ახალგაზრდაც არ უნდა იყო, მაინც ორი  
შვილის დედა გეთქმის. ხათრიანობა და ყველაფრის წაყრუება კარ-  
გია, ბატონო, მაგრამ მარტო ამით ვერ გახვალ ფონს. ქმარი რომ  
გარე-გარე იყურება და ცოლი ხელს აფარებს, დიდი ვერაფერი  
ქალობაა, მე და ჩემმა ღმერთმა. იცოდე, ცოლ-ქმრის გაყრა და ოჯა-  
ხის დაქცევა მარტო ქმრის სირცხვილი კი არ არის, ცოლსაც ეჭრება  
თავი.

რომ გაიძახი — მორჯულდაო, გამოსწორდაო,  
გამოაცხადე ბარემ წმინდანად, უნანავე და უანგელოზე!..  
გაფრთხილდი, ო-სან, თვალი გეჭიროს,  
ნუ აპარბაშებ თავის გემოზე!

## მაგომონი

რა ტყუილ-უბრალოდ იხეტქავ გულს, მამიდაჩემო! აგერ მე, უფროსი ძმა ვარ და, მეც ასე წამდაუწუმ მატყუებს. ამისთანა კაცი ახლა ცოლს დაუჯერებს რამეს? გრცხვენოდეს, ჯიჰეი, გრცხვენოდეს! რა მეთქმის, კარგად კი გამაცურე შენი მაგომონი! ჩემი თვალით ვნახე, იმ გათახსირებულ დედაკაცს როგორ დაუბრუნე თავისი ფარატინები, მაგრამ ცხრა დღეც არ გასულა და რა გამოვიდა? თურმე გამოსყიდვას უპირებ იმ შეჩვენებულ სახლიდან. ეეჰ, თავსლაფი კი დაგასხი! ვიცოდე, ერთი, რას ანგარიშობდი ასე გაფაციცებით? კოპარუს ვალებს, არა?

## მთხოველი

წამოვარდება მაგომონი:

მოგარჯულებო, თუ კაცი ვარ, ხევწნის გარეშეც! —

დავთრებს გამოპვლევს, ისვრის ფანჯრიდან, თან მიაცოლებს  
საანგარიშეს.

გაოგნებული უმზერს ჯიჰეი.

## ჯიჰეი

დამერწმუნეთ, რალაც შეცდომა და გაუგებრობაა. დამიჯერე, ძმაო, მართალს გეუბნები: გახსოვს, იმ ბოლოს რომ შევხვდით? მას აქეთ სამჯერ მეტად არ გამიდგამს შინიდან ფეხი! ორჯერ იმაბასიზე გახლდით ვაჭართან და ერთხელ კიდევ ტენჯინის ტაძარში ვიყავი სალოცავად. კოპარუს გამოსყიდვამ! რას ბრძანებთ, გამოსყიდვა კი არა, ერთხელაც არ გამხსენებია!

## მამიდა

სირცხვილია, ნუ სცრუობ მაინც! ამასწინათ ტენჯინის ტაძარში „წმიდა ღამეთა ათეულის“ დღესასწაულზე ყველა ძალღსა და მამაძალღს თქვენი ამბავი ეკერა პირზე! ტემას უბნიდან ერთი „მდიდარი ვაჭარი“ გამოჩენილათ, ისე შეჰყვარებია „ქინოკუნიელი“ კოპარუ, — ის უნამუსო დედაკაცი, სხვა მუშტრები სულ დაუფრენია და დღეს თუ ხვალ გამოსყიდის კიდევცო. ჩემი ყურით მოვისმინე, ყველა ამას გაიძახოდა!

თან გაოცებით შესცქეროდნენ ერთიმეორეს...  
ბრბო როგორია, მოგეხსენება, — თავს ურჩევნია ერთი  
ქაქანი;

ჭორს გაცივება აღარ აცალეს,  
მავანს გაეხშო მავანთავანი.  
ყველა უკვირდა დღევანდელი უკუღმართობა:  
ირგვლივ ფასები მატულობენ ასე ძალიან,  
მაგრამ ფულები მაინც არის თავზე საყარად  
და სულელებიც, სამწუხაროდ, მრავლად არიან!

ჩემი ქმარიც იქ იყო, გოძაემონ-დონო. რომ დაინახა, დიდი და პა-  
ტარა კოპარუს სახელს გაიძახოდა, მაშინვე მიხვდა, ვინ კოპარუზეც  
იყო ლაპარაკი. მიუგდო ყური და, შინ რომ მოვედით, კიდევ მითხ-  
რა: თავს მოვიჭრი, ის „მდიდარი ვაჭარი“, კოპარუს რომ ეკურ-  
კურება, ჭიჭეი თუ არ იყოსო. შენ იკითხე, შენი ძმისშვილია, თო-  
რემ მე ძალდადაც არ მიმაჩნიაო. კაცი რომ სინდის-ნამუსზე ხელს  
აიღებს და ვიღაც უნამუსო დედაკაცს გამოიწყიდის, საკუთარ ცოლ-  
საც ადვილად გააჭირავენს საჩაიეში; სანამ ჩალის ფასად არ გაუ-  
ყიდია ჩემი ქალიშვილის მთელი მზითევი, თავის კაბიან-პერანგია-  
ნად, სჯობს წავიდე და ო-სანი შინ წამოვიყვანო.

თქვა და, ის იყო, მიდგა კარებთან,  
მაგრამ დავაცხრე, როგორც იქნა, მისი სიავე:  
ზედ კარის ზღურბლზე მივწვდი მაჯაში  
და დიდი ხვეწნით მოვატრიალე:  
„რომ აპყოლიხარ ათასნაირ მიეთ-მოეთებს,  
ბოლოს და ბოლოს, სანამ გინდა ასე იარო!  
ჯერ ყველაფერი გავარკვიოთ, როგორც წესია,  
რამ გადაგრია, ადამიანო!“

ასე ვეხვეწე, ასე ვევედრე  
და, როგორც იქნა, დაეიყოლიე...

შენ კი, რას ფიქრობ, გამაგებინე,  
ვიღაც კახბა ქალს სანამ გინდა ასე ემონო!  
ამ გაჭირვებამ მოგვიყვანა ანე უდროოდ,  
მართალს არ ვამბობ, მაგოემონო?!



თავიდან ყველაფერი დავიჯერე, რაც კი მაგოემონმა მითხრა: **ჩემი**  
 სულ შეიცვალა, სონეძაკისკენ გახედვაც კი აღარ უნდა, ნამდვილად  
 სამაგალითო ქმარი გახდაო.

მაგრამ რად გინდა, სიხარული აღარ დამცალდა:  
 მე რომ ვფიქრობდი, — აგერ-აგერ იღბალს ვეწევით,  
 კვლავ დაგვატეხე რისხვა უფლისა  
 და დაგვამწუხრე, გაორკეცებით.  
 მაინც რა მოგდის, ჩემო ძმისწულო,  
 რა ჯანდაბა გჭირს, საკვირველია!.. რამ დაგიბრმავა ასე  
 თვალები!

რატომ არ გახსოვს, გამაგებინე,  
 იმ ცხონებული მამაშენის დანაბარები!  
 რა კაცი იყო!.. თუმცა კვდებოდა,  
 არ ღალატობდა მაინც გუმანი. —  
 მიხმო საწოლთან, თავი აიღო, განზე გასწია  
 თავსასთუმალი

და სათხოვარი მამცნო თავისი:  
 „აღალ ძმისწულად გერგებო ჩემი ჯიპეი,  
 ნუ მიატოვებ, გემუდარები, ბევრიც გკადროს და  
 ბევრიც გედაოს,

რაც უნდა იყო, შენი სიძეა,  
 არ გამოაკლო სანათესაოს!“  
 შემავედრა და კიდევ გათავდა...  
 თვალცრემლიანმა წავაფარე თხელი ზეწარი  
 და დღევანდლამდე ყურში ჩამესმის იმ კურთხეულის  
 შენახვეწარი...

ნენ კი... რაღა ვთქვა, ყველაფერი წყალში ჩაყარე!..  
 რას იფიქრებდა ოჯახს დათმობდი, ზურგს შეგვაქცევდი  
 ასე უგვანოდ...

ფუჭად გარჯილა თურმე საწყალი,  
 დრო დაუკარგავს ტყუილუბრალოდ.

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

ამას იტყვის და ჩაემხოზა მოთქმა-გოდებით...  
 დაემანჭვება სახე ტკივილით, თითქოს შესვლით მწარე  
 სამსალა.

თავჩაქინდრული უსმენს ჭიჭეი...  
უცებ ხელები გაასასვავა:

### ჭ ი ჭ ე ი

აჰა-ა!.. გასაგებია, გასაგები! ჰო, კოპარუო, რომ უჭორავნიათ, სწო-  
რედ ო კოპარუ გახლავთ „ქინოკუნიელი“, მაგრამ „მდიდარი ვაჭა-  
რიო“ — მომიტევეთ და, სულ სხვა ვილაცაზე აქვთ ნათქვამი, ჩემზე  
არ იტყოდნენ. ტაჭეი, — აი, ვინ ბრძანდება ის მდიდარი ვაჭბატო-  
ნი! ძმაო, იცი, მგონი, ვინ ტაჭეიზეც ვლაპარაკობ. გახსოვს, მთელი  
უბანი რომ აიკლო იმ დამეს! მეც ხომ კაი გვარიანად მოვიგდე  
ფეხქვეშ! ერთი ლოთიფოთი ვინმეა, უშვილძირო და უნათესავო.  
ფული ყელამდე აქვს, იტამიდან მოსდის, რამდენიც მოეპრიანება,—  
იქა აქვს მამულები. რახანია კოპარუს გამოსყიდვას ფიქრობს ეს  
არამზადა, მაგრამ აქამდე მე ველობებოდი წინ.

ბოლოს, თქვენც იცით, დავთმე კოპარუ...  
და ტაჭეისაც გულზე მოეშვა, დაეწმინდაო თითქოს  
გონება.

დღეს კი, როგორც ჩანს, დახსნას უპირებს  
და ამიტომაც ეპატრონება.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ო-სანს  
ლაწვები შეეფაკლა ანაზღეულად,  
თვალში ცრემლები აუციავდა.

### ო-ს ა ნ ი

გეფიცებით, თვით ბუღალავით კეთილი და მიმტევებელიც რომ ვი-  
ყო, მაშინაც კი... მაშინაც არ ვაპატიებდი ქმარს ვილაცა ქალს გა-  
მოსყიდვას. დედაჩემო! ჩემო პატივცემულო მავლო! ყველაფერი  
მართალია, რაც ჭიჭეიმა თქვა. სიცრუის ნასახიც არაა მის ნათქვამ-  
ში. მე ვარ ამის თავდები.

ჯიჰეის სიტყვა,  
სიტყვა ო-სანის,  
ერთი აზრით და ფიქრითაა ნასულდგმულევი.  
რე ემთხვევა ერთი მეორეს, როგორც გაჭრილი ვაშლის  
გულეები.

მაგოემონმა ტაში შემოჰკრა:  
— ბიჭოს, რას ვერჩით, ყველაფერი რიგზე ყოფილა!  
ხოლო მამიდამ, მეტის სიამით,  
ჩიტის ბარტყივით შეიჭყლობინა.

მ ა მ ი დ ა

კეთილი!..  
მაგრამ ამ საქმეში მაინც დიდი წინდახედულება გემაართებს. მოხარული ვარ, ძალიან მოხარული! ოღონდ, მთლად რომ დავმშვიდდეთ და ჩემმა ჯიუტმა ქმარმაც მოიშალოს თავისი ეჭვიანობა, თანახმა ხარ თუ არა შენ, ჯიჰეი, წერილობითი აღთქმა დაგვიდო, როგორც წესია?

ჯ ი ჰ ე ი

ერთს კი არა, თუ გნებავთ, ათასს დაგიდებთ ახლავე.

მ ა გ ო ე მ ო ნ ი

მოხარული ვარ, მოხარული!..  
სწორედ ამიტომ შევიძინე წმინდა ქალადი,  
აგერ. —  
აღთქმისთვის მოვიყოლიე.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მაგოემონმა  
ხელი ჩაიყო გულისჯიბეში  
და ამოიღო ავგაროზი —



შემომწყრეს ბუდა, ოთხი თავადი,<sup>44</sup>  
სხვა მეუფენიც განგებისანი!..“  
ამ საწყევარით განასრულა აღთქმა ჯიჰეიმ,  
სისხლი თავისი ბეჭდად დაადო,  
და გაუწოდა...

ო-სან შეირხა,  
სტუმრებს მიეცათ სამასლაათო...

### ო-ს ა ნ ი

ოჰ, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ, დედაჩემო და ჩემო მაზლო, თქვენ  
დამიწყნარეთ გული! აგერ, ორი შვილი გვყავს უკვე და აქამდე  
არ მახსოვს, ჩემს ქმარს ასეთი მტკიცე დაპირება მოეცეს ჩემთვის!  
რა ბედნიერი ვარ, რა გახარებული!

### მ ა მ ი დ ა

მართალს ამბობ, შვილო! რახან უკვე ასე კეთილგონიერულად იქ-  
ცევა, გამოსწორდება უეჭველად. ვაჭრობაშიც ისევ მოგემართებათ  
ხელი... მთელი ოჯახი საგონებელშია ჩავარდნილი; დამერწმუნე, ჯი-  
ჰეი, მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი გვინდა შენთვისაც და შენი შვი-  
ლებისთვისაც. აბა, მაგოემონ! გამაცილე: ერთი სული მაქვს, როდის  
მივალ შინ, როდის გავახარებ ჩემს ბერიკაცს, დავამშვიდებ. ცუდი  
ამინდებია, თვალი გეჭიროთ ბავშვებზე, არ გაცივდნენ!

მაშ, ამიტაბას აღვუვლინოთ ლოცვა-კურთხევა,  
აღმოვუტევოთ ზეციერის სამადლობელი.

მან გაგვიბრწყინა

„ათეული წმიდა ღამეთა“

და სასიკეთოდ მოაქცია ჩვენთვის ყოველი!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

სტუმრები მიდიან...

საწყალი ო-სანი!—სიხარულისგან თავის ადგილზე ვეღარ  
იტევა.

ხარობს მამიდა— მაგოემონსაც



ხელად დაეტყო აცერცეტება.  
უხმოდ აცილებს სტუმრებს ჯიჰეი.  
ცრემლით გაპყურებს: მიიჩქარიან... საბედნიერო გზაზემც  
უვლიათ!..

შემობრუნდება... მივა ბუხართან  
და ჩაემხობა ბაგემდუმრიად.  
წამოიხურა თავზე საბანი...  
წამოიხურა... ისევ დაიწყო! ჩანს, ძველებურად აურ-  
დაურევს!..

ჰგავს კუბოკრული პირი საბნისა .  
საკნის კარებზე მიკრულ ცხატრებს...  
მომწყვდეულია შიგნით ჯიჰეი...  
მაგრამ ვინ შველის ობლად მიგდებულს, გზას ნუგეშისას  
ვილა უნათებს?..

მოდგება ო-სან, კოპებს შეიკრავს  
და გულმოდგინედ დაამუნათებს:  
„რა ამბავია, გამაგებინე!  
ნუთუ იმ ქალის დავიწყება ასე ძნელია,  
რომ სიყვარული შარშანწინდელი  
დღემდე ვერაფრით დაგიძლევია?..“  
გაჯავრებული საბანს წამოხდის...  
წამოხდის საბანს, მაგრამ რას ხედავს — ტირის ჯიჰეი,  
ცრემლად იცლება,

ჩაძირულია ცრემლის ბურანში  
და უძნელდება გამოფხიზლება.  
წამოაყენებს ძალდატანებით.  
წამოაყენებს... შეუცაცხანოს!.. კი მოუხდება ერთი  
შენთება!..

ზურგიით მიიმწყვდევს ბუხრის კუთხეში  
და გამომცდელად მიაჩერდება:

### ო-ს ა ნ ი

ეს უკვე ნამეტანია, ჯიჰეი-დონო! თუ ასე გიჰირს იმ ქალთან დაცი-  
ლება, რაღას გვიწერდი ალთქმას!.. აბა, კარგად გაიხსენე, რა ხანია  
ერთ სასთუმალზე არ გვდებია თავი? შარშანწინ არ იყო, ტახის

მეორე დღეს,<sup>45</sup> მეათე თვის შუა რიცხვებში? არ გახსოვს, კერძოდ, ანთების დღესასწაული რომ დასრულდა? აი, აქ იყო სწორედ, ამ ადგილზე; ორი წელია მას უკან. რაო, ვითომ, შენს ცოლს გველი და მორიელი უზის უბეში?

გრცხვენოდეს მაინც... ცოტა დაფიქრდი:  
ფრთამოტეხილი ფრინველივით ვზივარ ბუდეში  
და, როგორც ხედავ, ორი წელია, —  
ამ გულსაკლავი სიმარტოვიდან დღემდე უთქმელად  
მომიღწევია.

დღეს კი მეგონა, — ყველაფერი უკვე დასრულდა,  
რაკი, ღვთის მადლით, აღმომაჩნდა ძალა იმდენი, —  
კვლავ მიგვიწვევდა სარეცელი სასიყვარულოდ,  
კვლავ აღდგებოდა სიყვარული შარშანწინდელი...

ეჰ, რანაირად ვუმაღლოდი საწყალ დედაჩემს,  
მაგოემონსაც როგორ ვლოცავდი!..

რა მიჭირს-მეთქი, ქმარი გვერდით მყავს,  
ყველა განსაცდელს უხმოდ ავიტან...  
მაგრამ ემაკმა, როგორც ხედავ, მაინც იძალა  
და ყველაფერი — ისევ თავიდან...  
ისევ თავიდან!.. ისევ თავიდან!..

გრძნობადახშულო, უღმობელო ადამიანო!

მაშ, კოპარუსთან განშორებჯა ასე განიცდი?  
მერე ვინ გიშლის, — დამილოცნიხარ, წადი, გამშორდი,  
წაღმა იარე!

გინდაც იგლოვე, სულაც არ ვნადვლობ,  
მოთქმით ქვეყანა შეაწრიალე!  
სიჯიმის ტალღებს შეუერთე შენი ცრემლები,  
ვინ გაგიხდება ნეტავ მოცილე!  
შაქრად შეერგოს, — ასვი კოპარუს  
და ყელ-კისერი უკოკლოზინე!..

ო!..

გველაძუავ, გულღვარძლიანო,  
ფიცის გამტეხო, ზენაარის გადამდგომელო!..

შემოეჭდობა მუხლისთავეებზე,  
მაგრამ უეცრად  
გამოელევა ძალა ხელებში  
და ფრთებშეჭრილი ფრინველივით ემხოზა პირქვე...

ჯიპეიმ განზე იბრუნა პირი  
და მოიწმინდა ცრემლიანი ლაწვისთავეები...

ჯ ი პ ე ი

კაცს დარდიც ატირებს და ბოლმაც. დარდის ცრემლები რომ თვალებიდან მდიოდეს და ბოლმისა კიდევ — ყურებიდან, მაშინ უსიტყვოდ მიმიხვდებოდი, რაც მიდულს გულში! მაგრამ, ვაი რომ ყველა ცრემლი თვალებიდან გადმოდის და ყველა ერთი ფერისაა, გინდავი გჭირდეს და გინდა კარგი. ამიტომაც ვერ გაგიგია ჩემი გულისნადები. გამიგონე, დიდი ხანია გულიდან ამოვირეცხე კოპარუც და მისი სიყვარულიც, რა საქმე უნდა მქონდეს გახრწნილ დედაკაცთან! ეგაა, რომ იმ გაიძვერა ტაპეის ბოლმა არ მასვენებს. რა არ იკადრა, რა არ მოიმოქმედა, რომ კოპარუ გამოესყიდა!

მაგრამ აქამდე —

რალაცნაირად

ეს გაიძვერა, ბილწი დიაცი ფიცის ერთგული მაინც  
რჩებოდა

და ტაპეისგან გაბეზრებული

მის მოძალეზას ეურჩებოდა.

თან თვალთმაქცურად მაიმედებდა:

„ნუ გევესებაო ცრემლით თვალები,

არ გავყვებიო არანაირად, არც სააშიკოდ შევემსჭვალეო.

მაგრამ თუ მაინც გადაგვიდგა წერამწერალი,

თუ უმოწყალოდ დაარღვია ჩვენი კავშირი,

თუ გაგვრიყო ბედმა შორი-შორ,— ჰმუნვის ცრემლებით  
თვალებდავსილი,

თუ აღისრულა ნდომა ტაპეიმ,

თუ პატრონებმაც ფულზე გამცვალეს, ოქროს მიაგეს  
მეტი პატივი,



თუ გავემიჯნეთ ერთიმეორეს,  
ვერ დავიოკეთ გულისწადილი —  
მაშინ...

ო, მაშინ — სიცოცხლესაც დავეთხოვები,  
დავეთხოვები მღვმურებს სოფლისას, რაკი დამთმეს და  
ასე გამრიცხეს,

თავს მოვიკლავო მაშინ უცილოდ,  
სულს აღვუვლენო არსთაგამრიგეს!..

და აი, ათი დღეც არ გასულა, რაც კოპარუს თავი გავანებე და ის  
თაღლითი ტაჭეი უკვე გამოსყიდვას უპირებს. არა, ამას რომ ვამბობ,  
არ იფიქრო, თითქოს კოპარუს მივტიროდე, იმ მართლა პირუტყვს,  
იმ მართლა ზნედაცემულს! იმას ვჩივი, გველადუა ტაჭეი ბაქიაო-  
ბთ რომ აიკლებს მთელს ქვეყანას: ჭიჭეი გაკოტრებულა, ჭიჭეი  
გაკოტრებულა, იმის თავიც კი არა აქვს, ორიოდ გროში იშოვოს  
და თავისი საყვარელი გამოისყიდოს!

ვაი სირცხვილო!..

სანახევროდ უკვე მკვდარი ვარ...

გული თუ გულობს, — ისიც ნახევრად!  
განწირულია ჩემი სახელი გასათრევად და  
გასაბახებლად!

არც დიდვაჭრები გამიკარებენ,

მევახშეები დამიწყებენ ცერად ყურებას.

რა დაუდგება ცოლის ხუსტურებს, ან ახლობლების  
აბუზღუნებას!

ეჰა, ჭიჭეი, მატყუარავ, ვალდატეხილო,

პირშერცხვენილო მედღეხვალეევ!

ცრემლებს რომ ვანთხევ, ბოდმის ცრემლია, თუმცა  
სისხლი მდის

ცრემლის მაგიერ...

ცრემლი კი არა, კუპრი გადმომდულს,

გულზე დაღა მაჩნევს მძიმე ბრალდება,



თვალში წვეთ-წვეთად ღვება სპილენძი და წებოსკვამი  
მოიბლანტება...

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

კვლავ კერიასთან ჩამოემხობა.  
ჩამოემხობა... ისევ ცრემლებს ღვრის, კვლავ ეძნელება  
თავის ალება..  
ტირის ჯიჰვი, მწარედ ვალალებს, შავ ბედისწერას  
ევაგლახება.  
ხოლო ო-სანი:  
უცებ შეიბრა, უცებ შეტოკდა,  
თითქოს აძგერეს გულში ლახვარი.  
ბრაზის მაგიერ ფიქრი შეუჩნდა, რაღაც სხვა ფიქრი—  
შიშისმაგვარი...

**ო-ს ა ნ ი**

ოჰ!.. თუ ასეა, მაშინ კოჰარუ  
თავს ჩამოიხრჩობს ულაპარაკოდ.

**ჯ ი ჰ ე ი**

აბა, რას ამბობ! ეს რამ გაფიქრებინა! დაკვირვებული და წინდახედული ქალი კი ხარ, მაგრამ შენ ხომ მაინც ვაჭრის წესიერი და პატიოსანი ცოლი გქვია. აბა, როგორ უნდა გაიგო შენ გარყვნილი დედაკაცის ბუნება, არც სული გააჩნია და არც ღირსება. ჰმ, გიჟია, თავი მოიკლას?! ის კი არადა, დიდის ამბით უფრთხილდება თავს: მოქსის საფენებს იღებს ტანზე,<sup>46</sup> წამლებს ყლაპავს...

**ო-ს ა ნ ი**

ო, არა, არა! სიცრუეა, მტყნარი სიცრუე!..  
კაცებს წესად გაქვთ, — ბედი ქალისა განუკითხვად  
უნდა განაგოთ!  
მაგრამ მე ვხედავ, ასე კოჰარუ  
ყელს გამოიჭრის ულაპარაკოდ.  
ო, ის მოკვდება — ვიცი უცილოდ!

ჩემთვის მოკვდება... მე კი ვის ვუთხრა, რა მტანჯველია  
ფიქრი ამისი, —

რომ შესანდობი ველარ შევინდე, ვერ შევიბრაღე  
შესაბრაღისი....

ვერა, ვერ დავთმობ ასე გულგრილად.  
ახლა გავიგე... ბუღამ შემრისხოს, თუ დღევანდლამდე  
ფიქრად მქონოდეს!

ყელს გამოიჭრის... ღმერთი მომკითხავს

ჩემს სიკერპეს და სიგულბოროტეს!

მე არ მინდოდა მეთქვა რაიმე...

მაგრამ რომ მოკვდეს, სინდისს რა ვუთხრა! მერე დავიწყო  
ენის ტარტალი?

მე ჩემს ვიტყვი და თქვენი თქვენ იცით,  
ღმერთმა განსაჯოს ტყუილ-მართალი!

გამიგონე, კოპარუ-დონოს სიცრუის ნატამალიც კი არა აქვს გულ-  
ში. თქვენი დაცილება ჩემი ბრალია, მე მოვაწყე ეგ საქმე!

მაგრამ რა მექნა: ცხადად შევნიშნე —  
წილნაყარი ხართ ერთმანეთთან რალაც ძალებით  
და ასე სიკვდილ-შეფიცულები  
უფსკრულისაკენ მიექანებით...

მაშინ კოპარუს საიდუმლოდ შევეხმიანე,  
ვამცნე ეგ შენი გულგრილობა, სიგულმავიწყე  
და მოსაღბობად მისი გულისა ჩემი უსტარი  
ცრემლით დავიწყე:

„— მე გთხოვთ, გაწყვიტოთ ჯიპეისთან თქვენი კავშირი,  
თუმცა ცის ძალებს, სამწუხაროდ, ჰხვადრივ ენებათ,—  
მაინც ქალის გულს ქალი გაუგებს, —  
ეს ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

მესმის, ცხადია, სათხოვარი ძალზე ძნელია,  
ტრფობის აღმურსაც, როგორც ვხედავ, ველარ ერევით,  
მაგრამ დაღუბავთ, ვიცი უცილოდ, ამ სიყვარულის  
ციებ-ცხელებით...

უნდა შეიძლოს,



უსათუოდ უნდა შეიძლოთ!

უნდა შეიძლოთ შეუძლებელი! თორემ აღმომხდა სული

წვალეებით...

შვილებს არგუნეთ მამა მშობელი, ქმარი მომგვართ, გემუდარებით!..“

ხოლო კოპარუმ საპასუხოდ ასე მომწერა:

„თუმცა ჭიჭეი თავს მირჩევნია, გპირდებით, შევასრულებ ჩემს მოვალეობას, ჩამოვცილდები ამიერიდან“. ეგ ბარათი აგერ აქ მიდევს, უბეში, ავგაროზივით ვუფრთხილდები. ახლა მე შენ გეკითხები, შეუძლია კია ამისთანა ქალს, პასუხისმგებლობის ამხელა გრძნობა რომა აქვს, თავის სიტყვას გადავიდეს და ვილაც ტაპეის მიჰყიდოს თავი?

ო, შენ არ იცნობ ქალის ბუნებას!

ქალს შეუძლია თავი გადადოს, გადაიტანოს ყველა

წვალევა

და არ გასტეხოს აღთქმა თავისი, —

თუ სიყვარულით განიმსჭვალევა.

თავს ჩამოიხრჩობს, „ვიცი აშკარად!

ხალხს ააყბედებს მისი სიკვდილი, სალაპარაკოდ

დიდხანს დარჩებათ...

თავს ნუ დაზოგავ, გემუდარები,

იმ უბედურის გადასარჩენად!

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

შეძრწუნებული გაჰკივის ო-სან.

ჩანს, ჭიჭეისაც გადაედო ძრწოლა ცოლისა

და შიშნეულად ატოკებს ხელებს.

**ჭ ი ჭ ე ი**

კი, კი, მართალია, ახლა გამახსენდა! იმ ღამით, აღთქმები რომ დააბრუნა, ვილაც ქალის წერილიც გამოაყოლა. უნებლიეთ შეაჩეჩა მაგოემონს ხელში. მაშ, შენი ბარათი იყო?

და არ ვიცოდი! ო, თუ ასეა,  
თავს ჩამოიხრჩობს ულაპარაკოდ.

### ო-ს ა ნ ი

ღმერთმა არა ჰქნას... ტანში ცივად მცრის,  
იქნებ, თავის თავს უბედურმა წესიც აუგო!..  
ეს თუ ასეა, რა წყალს მივეცე, სად წაგივიდე,  
სირცხვილ-აუგო?  
ან ღმერთს რა ვუთხრა!.. ქალი მოვკალი,  
ვერ აღვასრულე მოვალეობა, გულღრძო ვყოფილვარ,  
გულმოზიზღარი,  
რომ განწირულის გადასარჩენად  
არ მიზრუნია ერთი მისხალი...  
ო, გვეედრები: ჩქარა, ჯიპეი!  
იქნებ, იქ არის, იქნებ მიუსწრო, მის სამყოფელში  
ფიცხლად შევარდე!..  
ჩქარა, ჯიპეი, ჩქარა გავარდი,  
სულს მიეშველე განტევებამდე!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მიდგება ო-სან,  
ზიეყრდნობა მკერდზე ჯიპეის  
და გულსაკლავად აქვითინდება.

### ჯ ი ჰ ე ი

მართალს ამბობ, მართალს! მაგრამ რა ვქნა, რა გზას დავადგე, საი-  
დან გავაჩინო ფული? მარტო იმისთვის, კოპარუს გამოსყიდვის  
საქმე რომ გადავდო და ტაპეი შევაჩერო, გამოსასყიდის ნახევარი  
მაინც უნდა შევიტანო. ახლავე თუ შვიდასორმოცდაათი მომმე არ  
გავიღე ახალ ვერცხლზე,<sup>47</sup> კოპარუს ველარაფრით ვუშველით.  
ტყავიც რომ გამაძრონ, არა მაქვს ეს ფული და რა ვქნა!



ო-ს ა ნ ი

დაიცა, დაიცა, ასე მთლად ნუ გაიტეხ გულს! მარტო ეს თუ გაკა-  
ვებს, ამ ფულს გავახერხებთ, როგორც იქნება.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

წამოდგა ფიცხლად, მისწვდა კარადას;  
რა ცეცხლი უღულს, ღმერთმა თუ იცის!.. რა დარდითა აქვს  
გული ჩაკლული!..  
გააღო უჯრა, ფუთა მონახა —  
თასმით შემოკრულ-შემოძაგრული;  
ხელეები უთრთის... დელავს ო-სანი...  
ოღონდ უშველოს! — თორემ ჯანდაბას, ყველა გასაჭირს  
უხმოდ აიტანს!  
ხსნის ნაკრაულას, ზონარს მოაცლის,  
შემოაძარცევს თასმა-ყაითანს  
და მიაჩეჩებს ხელში ჯიპის...

ჯ ი პ ე ი

ეს კი რას ნიშნავს?! ბიჭოს, ფულები!  
ოთხასი მომე! ზუსტად ოთხასი!.. აღარც მეტი და  
აღარც ნაკლები!  
როგორ?! საიდან?!

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

შეკრთა ჯიპი,  
გაუფართოვდა თვალის კაკლები.

ო-ს ა ნ ი

შერე გეტყვი, საიდანაც მაქვს ეს ფული. კაპიკ-კაპიკ ვაგროვებდი,  
ამ თვის ჩვიდმეტში მევახშე ივაკუნისთვის უნდა გადამეხადა ქაღალ-  
დის საფასური. მაგრამ დარდი ნუ გაქვს, ამ საქმეს კიდევ მოვუგ-  
ლით: შენს უფროს ძმას — მაგოემონს დავეკითხები, იქნებ გადა-  
გადებინოთ ვალის გადახდა. ვაჭრობის საქმესაც მოვაგვარებთ, არც

მწვადი დაიწვება და არც შამფური. კოპარუს გადარჩენაა ახლა, ახლა  
ლაზე მთავარი, ყველაზე საჩქარო!



ოთხასი მომმე, როგორც ხედავ, ხელში მოვიგდეთ,  
ახლა სხვაც უნდა გავახერხოთ რამენაირად.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და ნაჩქარევად გამოსწია კლიტე კარადის,  
ყრუდ აჭრიალდა ძველი განჯინა!  
თუ ივარგაო ჩემმა ნამზითვმა და გაჭირვებას  
გადაგვარჩინა!..

გაალო უჯრა, ამოიღო ფარჩის საკაბე:  
ამოდის ფარჩა ნელი შრიალით, აალივლივებს ქროლვა  
ნიაგთა,

ფარჩა იყო თუ ოქროს სკივრიდან  
ფარშავანგის ფრთა ამოსრიალდა?  
აგერ სხვა კაბაც, — სტავრა რჩეული...  
გარეთ — დიბა და ოქროქსოვილი, შიგნით — ატლასის  
თხელი სარჩული,  
ფარჩის სახელო, ყელიც ფარჩისა და მაქმანებიც —  
მიმოფარჩული...

არც უხმარია მგონი აქამდე...  
არც უხმარია... ეჰა, შავბედო! — ისე გალია უამი  
ამდენი!

დღეს კი... სხვა გახლავს ფიქრი დღეისა,  
ლამეც სხვას ითხოვს ამაღამდელი.

დღეს!..

მზის მიდრეკისას მიდგა ჯიჰეი...  
სხივს მიაჩერდა, თრთოლვით გახედა, უკანასკნელად  
მიეხალისა...

იჩქარე, ო-სან, შენი ქმრისათვის  
არ გათენდება დილა ხვალისა!..  
ალაგებს ო-სან... აგერ, მესამეც:

ო-სუეს კაბა — თბილი ხავერდი, მზის ელვარება  
ცეცხლად ჰფენია,

კრთის ოქრომკედი ცეცხლის ალივით,  
პირიც, სარჩულიც ცეცხლისფერია...

ცეცხლი მოედო ო-სანს სახეზე:  
ო-სუეს კაბა, დედა მოუკვდეს!.. ჩამოიწმინდა ჩუმად  
ცრემლები...

იტირე, ო-სან, ბედი გაფრინდა,  
აწ ვერასოდეს მიედევნები!..  
აგერ კანტაროს თეთრი პერანგი!  
ჰა, ბამბაზის წამოსასხამიც, ზედ გადაუკრავთ ფარჩა  
ყვითელი,

რომ გაიტანოს, ხელში გამოჰგლეჯს  
ნებისმიერი გადაწყვეტილი...

მაგრამ ბავშვი კი... ღელავს ო-სანი:

რა ეშველება უამისოდ ბედშავ კანტაროს?

რომ დაიჭიროს დიდი ყინვები და საწყალობლად  
ააკანკალოს?..

აგერ კიმონოც — მკვეთრი ზოლებით...

რა სასოებით უფრთხილდებოდა, მაგრამ შემოსწყრათ  
ბედი აშარი!..

კაბა — გუნნაის ფარჩით მორთული,  
ნაბრეშუმალ-ნამარმაშალი...

გაეცი, ო-სან, სანამ დროა, ყველა გაეცი,  
რალას გააწყობ ბედზე ჩივილით!

ამოალაგე აბრეშუმი ჰაბუტაესი,<sup>48</sup>

ნუ უფრთხილდები თვალისჩინივით!..

ამოალაგა... კაბა, რა კაბა! —

ოქროს ნაჭერს ჰგავს, ყელი ოქროა, გულზეც გერბი ჩანს  
ნაოქროვილი,

გერბი ოჯახის: სუროს ფოთოლი,  
ფოთლის გარშემო — შავი ოვალი.

განუყრელია სურო კედლისგან...  
ცათა განმგებლებს სთხოვდა ო-სანი, — მათი ცხოვრება  
ისე განგოთ,

რომ ყოფილიყვნენ ერთად მარადის,  
არ მომკვდარიყვნენ უერთმანეთოდ...  
აგერ ჭიჭის საგარეო ტანისამოსიც!..  
გაეცი, ო-სან, ყველა გაეცი, მტერს და მოშურნეს  
თვალი დაუხსე!

მაგრამ, ვაი რომ, ამიერიდან  
არ გაგესვლებათ დღესასწაულზე!..  
კაბებს უვლიდი, დღენიადგ დაჰკანკალებდი,  
დღემდე, ღვთის მადლით, ბედი გწყალობდათ,  
შეგეწეოდათ ძალი ციერთ,  
არ დარღვეულა წესი ცოლქმრობის,  
არც ოჯახური ტრადიციები.

ტრადიციები:

— სახლში, ვინ გიშლით, მოიქეცით, როგორც გენებოთ,  
მაგრამ, თუ ზოგჯერ გარე-გარეც უნდა ეშუროთ,  
თავს ნუ გამოჰყოფთ ნურასდიდებით  
უმარამაშოდ და  
უაბრეშუმოდ!..

ტრადიციები... შეუვალი ტრადიციები...

კიდევ და კიდევ: ჩქარობს ო-სანი...  
ჩვენ კი ცრემლებს ვღვრით, მაგრამ რას ვიზამთ,  
უნდა ხანდახან ცრემლიც გვდიოდეს...

სულ — ათიოდე ფარჩას აგროვებს  
და აბრეშუმსაც თხუთმეტოდეს...

თხუთმეტოდეს...

„იყოს, რაც არის!  
ბოლო-ბოლო, ბევრიც დაგვაკლონ,  
სამასი მომმე მაინც ჩვენია.



ო-ს ა ნ ი

აჰ, მართლა! ჩემი თავი სულ დამავიწყდა! მე რაღა უნდა ვაკეთო?  
ჩემივე შვილებს ძიად დაუდგე? ან უბრალო მზარეულად ვიყო ამ  
სახლში? იქნებ, სულაც თმა შევიჭრა და მონაზვნად დავიჯდეთ?..

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

დაიკვნესა და...  
დამხო პირქვე.

ჯ ი ჰ ე ი

ო, რა ღვთის რისხვა დავიტეხე თავზე! კიდევ რომ მაპატიონ ჩემ-  
მა მშობლებმა, კიდევ რომ შემინდოს ღმერთმა ცოდვები, ისე პირ-  
შავად ვარ შენთან, აღარასოდეს დამადგება საშველი!

შემინდე, ო-სან, გვედრები! —  
შემინდე, ო-სან!

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მონანიე ხმით წართქვა ჯიჰეიმ  
და ო-სანის წინ დაიკრიფა ხელისგულები.

ო-ს ა ნ ი

ო, ეს უკვე ნამეტანია, ჯიჰეი-დონო! ასე რად მეხვეწები? ის კი არა,  
ცეცხლშიც რომ გადავეგდეთ შენი გულისთვის, თავს არ დავინა-  
ნებდი, მეტი აბა რა არის ცოლის მოვალეობა! მე უკვე რახანია  
დავიწყე ჩემი კაბების დაგირავება, მინდოდა დროულად გამესტუმ-  
რებინა მევალებები... დღეს კი, ხომ ხედავ, სულ დავაცარიელე გან-



ჯინები. მერედა, რა უშავს, რა სათქმელია რაღაც ქონებზე მაგრამ  
 აი თუ კოპარუს გამოსყიდვა დაგვიგვიანდა, დიდი უბედურება მოხ-  
 დება. მაშ, დაუჩქარე, დაუჩქარე! გამოიცვალე ტანსაცმელი და გას-  
 წი! ნუ ჩამოგტირის თავ-პირი, გაიღიმე ცოტათი!

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ზეწამოიჭრა უცებ ჯიპეი,  
 'სახელდახელოდ მოიხელთა ფარჩის ქსოვილი,  
 მერე გუნნაის სტავრა მოიხა, — სირმა-მკედებით  
 მოოქროვილი.

ზედ წამოიცვა ჰაბუტაეს დიბა-ატლასი,  
 მოისადაგა აბრეშუმი წმინდა ბამბაზე...  
 გასწი, ჯიპეი, ღამეს შეეხი, შავ ბედისწერას წაეჯამბაზე!  
 მხრებზე მოიგდო ჭრელი მანტია,  
 საგულდაგულოდ შემოირტყა ვერცხლის ქამარი...  
 სივრცეს გახედა, —  
 ქვეყნის სამანთან

შუქი აღმოხდა აღმომავალი.

მერმე აიღო მოკლე მახვილი...  
 მაგრამ ვინა ჰყავს განგებასთან შუამდგომელი?  
 რას განუმზადებს ნება უფლისა? —  
 დაფარულია ჩვენთვის ყოველი.  
 ეს მხოლოდ ბუდას მოეკითხება.  
 მხოლოდ ბუდაა მეხვაშიადე ამაღამდელი მისი  
 სახმილის:

კოპარუს სისხლით — ბრძანა ბუდამან —  
 შეიღებება წვერი მახვილის!..

ო-სან გასძახებს:

— აქეთ, სანგორო, აქეთ მოიწი!.. —  
 და ერთიანად წამოჰკიდებს ბარგი-ბარხანას.

ჯიპეი ჩქარობს...

ღელავს ჯიპეი,

კართან მთქნარებით უცდის ქარგალი,

ფეხზე ჰკიდია, როგორც ეტყობა, მისი ღელვა და

გულისკანკალი...

ჯიპეი ქისას იღებს უბეში,

უკვე ეშველა, — აგერ გააღწევს, გავა კარებში,

გაილანდება,

მაგრამ უეცრად...

### გოძამონი

ჰეი, შინა ხართ?

სიძე-ბატონო სახლში ბრძანდები?

### მთხოველი

კარი იღება...ვიღაც შემოდის...

ჰა, გადაიძრო თავსაბურავი... სიდან სადაო, — ბუღას

დიდება! —

შემოსასვლელში პირმოღუშული გოძამონი

გაეხიდება.

გოძამონი — მისი სიმამრი...

ცოლ-ქმარი გაშრა...

ხმა ჩაუვარდათ, ენა დაებათ, თითქოს ორივეს რეტი

დაესხა,

თითქოს ანაზღად მეხი გავარდა,

ცა ჩამოამხო უზეშთაესმა...



კარგ ღროს კი მობრძანდით! ეს რა უეცრად დაგვესხით თავს!

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

გოძამონმა  
ჩამოაგლიჯა ფუთა სანგოროს,  
მძიმედ ჩამოჯდა, თავი აიღო  
და გამყინავად დაიხრიალა:

**გ ო ძ ა ე მ ო ნ ი**

ჰეი, დედაკაცო! აბა ერთი, აგერ დაბრძანდი! აჰა, სიძე-ბატონო, რა საზეიმოდ გამოწკიბულხართ: ეს მოსასხამიო, ეს ქამარ-ხანჯალიო!.. შეხედეთ, მართლა კაი მდიდარი ვაჟბატონივით არ გამოქიმულა? ვინ იტყვის ახლა ამაზე, ქალაღდის ერთი გაღლეტილი ვაჭარია და მეტი არაფერიო! რაო, საით გაგიწევიათ? ისევ სიყვარულის უბან-ში ხომ არ მიბრძანდებით, ჰა? არა, ცოლი და შვილი არაა შენი საქმე, უნდა გასცილდეთ ერთმანეთს!

აი, ამიტომ გეახელით, ჩემო ბატონო!  
არ მითხრა ახლა, — ოჯახს ვაკვდები, თავს შირჩევნია  
ჩემი ცოლიო!..

უნდა მოვკიდო ხელი ახლავე  
და შინისაკენ გავიყოლიო!

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

თითქოს შხამს აფრქვევს სიტყვის მაგიერ...  
არ მჭირდებაო ლათაიები, თქვენი ლიქნა და უშნო  
ლამუნო!..

რა უქმური ჩანს, ღმერთო მაღალო, რა უსიამოდ  
პირმოყამული!  
გაოგნებული უმზერს ჯიჰვი.

### ო-ს ა ნ ი

მამი, რამ მოგიყვანათ ამ ქარ-ყინვაში! დიდი პატივია, ღმერთმანი!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მოდგება ო-სან, მოეახლება...  
ჩაის მორთმევას მოისაბაბებს, თრთის საცოდავი, შიშით  
იღვეა:  
იქნებ მოხერხდეს რამენაირად  
გოძაემონის დაშოშმინება!

### ო-ს ა ნ ი

ეს-ესაა დედაჩემი და მაგოემონი იყვნენ აქ. კვი მაგრად გამიჯორეს-  
ქმარი. ისე მოხვდა გულზე მათი ნათქვამი, თავი ველარ შეიკავა და  
ბავშვივით დაიწყო ტირილი. ყველაფერი მოინანია, აგერ, აღთქმაც  
კი დაგვიდო.

მერმე დავეცა, როგორც წესია, სისხლით დაბეჭდა  
წმინდა ქალაღი...  
გამოვისტუმრეთ დედა შინისკენ,  
აღთქმაც წაიღო... ალბათ ნახავდი...

### გ ო ძ ა ე მ ო ნ ი

ა-ჰა!.. ქალაღი!.. წმინდა ქალაღი!  
აგერ, აქა მაქვს თქვენი ქალაღი!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მართლაც უბიდან ამოიღო აღთქმის ქალაღი.

გაგაცურებდათ, ასეც ვიცოდი, —  
პირმოთნეა და ენალაქარდი!..

ამისთანა ხელიდან წასული კაცი ყველაფერს იკადრებს. ისე გაგი-  
შანშალებს წმინდა აღთქმის ბარათებს, გეგონება, სავაჭრო ხელწე-  
რილებს არიგებსო. ეეპ, ეს შენი აღთქმა რომ წავიკითხე, კი ვი-  
ფიქრე, აქ რალაც ძალღის თავია დამარხული-მეთქი და აქეთ წამო-  
ვედი. სწორედ ისე გამოვიდა, როგორც ველოდი. კაი სიძე კი მყავ-  
ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! ასე სასერიოდ გამოპრანჭულა და კი-  
დევ ბრამას და ინდრას სახელს იფიცებს!.. აბა, აგერ დაბრძანდი!  
აღთქმის ჯღაზნის დრო თუ გქონდა, ბარემ, კეთილი ინებე და, გაყ-  
რის ქალაღლის დაწერაზეც შეიწუხე თავი!

### მთხრობელი

თვალში თვალს უყრის გოძამონი.  
ბორგავს და ბრდღვინავს, სიგიჟემდე ცოტა აკლია...  
ხელში ჩაბღუჯა აღთქმის ბარათი  
და ნაკუწ-ნაკუწ მიმოაბნია.  
ცოღ-ქმარმა შიშით გადახედა ერთიმეორეს.  
ღგანან უსიტყვოდ, ძრწოღით უმზერენ...  
ის კი... ცოფებს ყრის აღბორღებული, დაგროვიღი აქვს  
ბოღმა უღევი...  
ჯიჰემ მიინც მოწიწებით დახარა თავი  
და დაიკრიფა ხელისღუღები.

### ჯიჰეი

აბა რა მეთქმის, ყველაფერში მართალი ბრძანღებით. მაგრამ მიინც  
გთხოვთ, მამატიეთ თუ შეიძღება. რაც შევცოღდე, წარსულს ჩაბარ-  
ღეს. ახღა სხვა კაცი ვარ, აკი მოგახსენეს — გამოსწორღაო. ნუ  
იქნებით ასე მკაცრი, დამიტოვეთ ჩემი ცოღი!

მერე კი... მერე:

რომც გადამიდგეს წერამწერალი  
და სავაგლახოდ შეაბრუნოს ჩემი ცხოვრება,  
რომც დამიწესოს ნასუფრალისთვის  
ხელის გაწვდა და გამათხოვრება, —  
ჩემი ცოლისთვის მაინც ვიზრუნებ...  
გადავავიწყებ ყველა ვაებას, — ვხედავ, რას წვალობს,  
რამდენს ირჯება...

არ მოაკლდება ჩემგან ალერსი,  
არც საკადრისი პატივ-ღირსება.  
ლაღად იცხოვრებს ამიერიდან...  
თქვენ კი... დაწყნარდით, შევცდი, რას ვიზამ, ჩემმა  
გამჩენმა ასე ინება;

უფალს ნუ სცოდავ, გოძაემონო,  
ღმერთმა გვაშოროს განქორწინება!..  
მე თქვენს ასულთან მაკავშირებს მოვალეობა...  
კი, მართალია, ფიცმა შეგვეყარა, აღთქმაც დავუღდეო  
ზესთა კრებულებს,

მაგრამ, მერწმუნეთ, ფიცზე ძალიან  
ჩემი სინდისი მავალდებულებს...  
ნახავთ, დრო გავა, ყველაფერი გამოსწორდება,  
ისევ მხარს გაშლის ჩემი ფარდული.  
კვლავაც ვიქნები ისე მდიდარი,  
ისე ლალი და წელგამართული...  
გამოიჩინეთ დიდსულოვნება!  
გამოიჩინეთ, გემუდარებით!.. კვლავ დამითმინეთ,  
თუნდაც დროებით!

ყველამ ვიცხოვროთ, როგორც ვცხოვრობდით, —  
ისევ მტკიცედ და შემჭიდროებით!..  
დასტოვეთ ო-სან, დამდეთ პატივი!..  
დასტოვეთ ო-სან!.. შვილებს მივხედავთ,  
თქვენც მოგეზღვებათ შვება ორწილი,

დასტოვეთ ო-სან!... თქვენი სიძე ვარ,  
თქვენი შვილი და მონა-მორჩილი!...

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ასე საბრალოდ შესთხოვს ჯიპეი.  
პირქვე გართხმულა... ცრემლის მაგიერ სისხლი ეცემა  
გაყინულ ჭილობს.

მოთქვამს ჯიპეი,  
ცდილობს ჯიპეი, —  
გოძამონის მოდრეკას ცდილობს...

### გ ო ძ ა ე მ ო ნ ი

სისულელეა! მოეშვით მაგ აბდაუბდას! ვინ შენ და ვინ ო-სანი! ახ-  
ლავე დაწერე გაყრის ქაღალდი! დაწერე, მე შენ გეუბნები!

მე კი გავსინჯავ ნამზითვარებს ჩემი შვილისას...  
ო-სან, სად არის შენი ნივთები, უნდა დავადო  
ყველას ყადაღა...

ხალხი რომ ამბობს — ტიტვლად დადისო,  
მართლა გაგფცქვნა და გაგალატაკა?

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

კარს შეახეთქებს გოძამონი,  
დაუკითხავად შევარდება ქალის ოთახში.

### ო-ს ა ნ ი

ო, არა, მამი! რაში გჭირდება!  
არაფერი გვჭირს ხალხის სალაყბო, არც ჭორიკნების  
გასაკიცხავი...

ისევ ისე დევს ჩემი მზითვები,  
არ მოჰკლებია ერთი მისხალი!..

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ცდილობს როგორმე გადაეღობოს...  
მაგრამ ხელი ჰკრა გოძაემონმა, გზა მიტიეო! —  
ჩხუბზე გადადის,  
კლიტეს მივარდა!.. რაღაც საეჭვოდ  
გამოგრიხინდა უჯრა კარადის...

გ ო ძ ა ე მ ო ნ ი

ო-ჰო!..

ეს კი რას ნიშნავს?! როგორ გავიგოთ?!..

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

გაშმაგებულმა გამოსწია უჯრა მეორე,  
მაგრამ მეორეც ცარიელია!  
მისწვდა მესამეს...  
მისწვდა მეოთხეს...  
მისწვდა მეხუთეს — ცარიელია!..  
გოძაემონმა თვალი დაქაჩა:  
ქურდო!.. თახსირო!.. ძაღლის ჯილაგო!..  
ღმერთმა შერისხოს შენი სახელი! —  
კაბებს ვინ ჩივის, კაბა კი არა,  
წამლად არა ჩანს წინდის ნახევი!..  
ცარიელია... ყველაფერი ცარიელია...  
ცარიელია სკივრი, კალათი, ვალში იხრჩობა მთელი  
დუქანი,  
მძიმედ ჭრიალებს კარი განჯინის,  
დუმს ფარღალალა ნაზანდუკარი...  
ყელში აწვება ბოდმა ბერიკაცს...  
ცარიელია!.. თავს ხრის ჯიჰეი... მიწთვის სავსეა ყველა  
კალათი,  
სავსე — სირცხვილით, ლაფით, ტკივილით,  
სავსე — ცრემლით და დარღუბაღათი...  
აღბათ, ოდესღაც ურასიმაც ჰყე ფიქრობდა:



გახსნა კოლოფი, მაგრამ განძის წილ სიკვდილს წააწყდა  
ჩვენი მეთევზე;

ახლაც ყვებიან, მოგეხსენებათ, მის საველალო  
ნამოქმედევზე...<sup>49</sup>

ცოლ-ქმარი ძრწოლით კერიისკენ უკუმიდგება:  
კვამლად გვაქციონ ნეტავ ღმერთებმა, — ხმა ისმინონო  
ჩვენი მუღარის!..

მაგრამ თავს ადგათ გოძაემონი,  
ვით მოციქული სულთამხუთავის...

გოძაემონმა ფუთა ასწია:

— ეგ კი რაღაა?! ოჯახს დასტყუე, თუ გამოჰგლიჯე  
ვინმეს ძალათი?

და ნაჩქარევად ამოალაგა  
ყველა ნივთი და კაბა-ხალათი.

### გოძაემონი

აჰა, თურმე რა ყოფილა! იქამდე მისულხარ, უკანასკნელ ქონება-  
საც აგირავებ! აფერუმ, სიძეც ასეთი უნდა! მთლად ცარიელ-ტარი-  
ელა ტოვებს ცოლ-შვილს, რა არის და, იმ კახბას ჩაუყაჭოს ფუ-  
ლები! ქურდო, ყაჩაღო! ეს ჩემი ცოლია რომ გენათესავება, თორემ  
მე ვინ მიგდიხარ! შენი გულისთვის რატომ უნდა ავიტკივო თავი,  
რატომ უნდა ვიზარალო იმდენი ქონება. ყველაფერს ვეტყვი მაგო-  
ემონს, ყველაფერს! კეთილი ინებოს და გამინაღდოს, რაც ჩაგა-  
ცეცხლე... აბა, ჩქარა, გაინძერი! აიღე კალამი და დაწერე!

### მთრობელი

ჯიჰეის, მგონი, ცხრა მთას იქით ყოფნა ერჩია...

არ იქნებოდა ალბათ ურიგო,  
რომ გასკდომოდა მიწა ახლავე

და ჯოჯოხეთის ჭურღმულეებში ჩაკარგულიყო:  
გამოარღვევდა შვიდკლიტულებს შვიდი კარისას,  
ცოდვის რვა ჯაჭვისაც რვაჯერ დაღრღნიდა,

თავს დააღწევდა უკუნს ნამდვილად

ას გალავანსაც დაუძვრებოდა —  
ამ ჯოჯოხეთზე უფრო ადვილად...

### ჯ ი ჰ ე ი

ო, არა, არა!..  
ხელს არ მოვაწერ გაყრის ბარათზე,  
იცოდე, ო-სან!  
ამ ხმალს უყურებ? — აჰა, მივდივარ...  
მშვიდობით, ო-სან!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ხელი დაიდო ხანჯლის ვადაზე.  
ერთს შეუძახებს გაშმაგებული და კარებისკენ  
ფიცხლად გაუტევეს,  
განწირული ხმით იკივლებს ო-სან,  
მკლავს ჯიჰეისას ჩაიბლაუჭებს...

### ო-ს ა ნ ი

რა უბედურებაა, ღმერთო, რა უბედურება!.. თუ შეცოდა ჯიჰეიმ,  
აკი მოინანია კიდევ! მამაჩემო, მარტო შენს თავზე ნუკი ფიქრობ!  
ვინ მიგდინხარო, რომ ეუბნები, მისმა შვილებმა რა დაგიშავეს! შე-  
ნი ღვიძლი შვილიშვილები არ არიან?

არა და არა!..  
გემუდარები,  
ნულარ მისხენებ გაყრას მეორედ!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და გულსაკლავად აქვითინდება.



ჰო, კარგი, კარგი! იყოს შენებურად, თუ არ უნდა, ნუ დაწერს, აბა,  
წამომყევი, შე უტვინო, შენა!

მთხოველი

მამა კი არა, ჯალათია, გულქვა ჯალათი:  
გაშმაგებულმა გამოჰგლიჯა ქალი ჯიპის  
და კარებისკენ ექაჩება ძალისძალათი...

ო-სანი

მამავ!..  
ნუ დაშლი ფუძეს სახლისას!..  
გაგიგონია ასე უღმერთოდ შარის მოღება?  
თუნდაც ეგ ბოღმა ცამდე ავიდეს, თუნდაც გაგიხდეს  
ქვეყნისოდენა!..  
სიძეს არ ინღობ, გასაგებია...  
მაგრამ მშობელმა ბედი შვილისა ასე სასტიკად უნდა  
განაგოს?  
ნუ გამიმეტებ, გემუდარები,  
ხალხს ნუ გაუხდი სალაპარაკოს!..

მთხოველი

ასე საბრალოდ ევედრება მამას ასული.  
თუმცა... კვლავ ზვაობს შავი დემონი:  
ტირის ასული, მაგრამ ამოდ, — ყურად არ იღებს  
გოძაემონი...

გოძაემონი

რა დანდობაზე მეჭიკჭიკები?  
სხვა რამ თუ გინდა, აგერ მზადა ვარ, — გადამიდვია  
თავი საშენოდ:  
ერთი სული მაქვს, როდის მოვიცლი,

რომ ქვეყანაზე გამოგატენოთ!..  
აბა, მომყევი!...

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და უმოწყალოდ მიაბენინებს...

თავგანწირულად ეურჩება მამას ასული,  
იბრძვის საწყალი, შვილებს შესტირის, უმძიმს უდედოდ  
მათი მიგდება!

გამოელევა ძალა მუხლებში

და უნებურად წაბორძიკდება...

ჩვენ კი... ამ ამბავს ძრწოლვით შევყურებთ.

ველარც ქალს ვშველით, საუბედუროდ, ვერც მწუხარების  
ცრემლებს ვერევით...

იძალა ქალმა, შვილებს მივარდა

და წამოდო ფეხის წვერებით.

გაელვძებათ შიშით პატარებს.

გაელვძებათ... თვალებს დაჰყიტავს ორი გულთეთრა,  
ორი ღაბუა:

### ქ ა ნ ტ ა რ ო დ ა ო - ს უ ე

ღედა სად მიგყავს?! რატომ ატირებ,

გულქვა ბაბუა!

ცუდო ბაბუა!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ხელებს იწვდიან ო-სანისაკენ...

მაინც ვერ მოლბა გული ბებრისა, მაინც ვერ გალღვა  
მძიმე ყინული.

### ქ ა ნ ტ ა რ ო დ ა ო - ს უ ე

ვინ დაგვაძინოს ამიერიდან,

ვინ მოგვიმღეროს ძილისპირული?

გული მიკვდება... ეჰა, შვილებო!  
 მალე თქვენს თვალებს მივეფარები, ღამის მორევი  
 ჩუმაღ შემირევს.  
 თქვენ ხომ არასდროს დაგიძინიათ დღემდე უდღოდ,—  
 მარტოდშეთნილებს?

ნუ იცრემლებით ასე საბრალოდ!..  
 ნუ ამატირებთ, ჩემო ბარტყებო, ისევ ნუ დამცლით  
 ცრემლის წვიმებად!..  
 ამიერიდან დედის მაგივრად მამის კალთაში დაგეძინებათ...

ჯიპეი!..

ხომ არ მოაკლებ ზრუნვას პატარებს?  
 შენც კარგად იცი, როგორ ვუვლიდი, — გამომიზრდია  
 დღემდე წვალებით.

ჯიპეი!..

რძე მოუდულე ღამით ჩიორებს,  
 პირი ჩაუტკბე შაქარლამებით!  
 არ დაგავიწყდეს დილაადრიან კუვიაიმას აბის მიცემაც,<sup>50</sup>  
 როცა ლოგინში ჩათბუნებულებს  
 ტკბილი ზმორებით გაეღვიძებათ...

ვაი, შვილებო!..

### მ თ ნ რ ო ბ ე ლ ი

პირი იბრუნა... მიდის ო-სანი...  
 უნდა დასტოვოს ზღურბლი სახლისა, — შეუვალაია  
 უფლის განგება!

ყრულ ჩაინთქმება ღამის უკუნში,  
 სამარადქამოდ ჩაიკარგება...

ასე დაკარგა დედამ შვილები  
 შეღამებისას  
 ბამბუკის ტყეში.  
 მორჩა, ჯიპეის ველარ ნახავს ამიერიდან...

თვალეbs გადმოსკდა ცრემლების თქეში!  
განუყოფელნი იყვნენ აქამდე:  
როგორც ორი ფრთა ერთი მერცხლისა, —  
ერთი სხეულის ორი კიდური,  
ანდა ორი რტო — ერთად ნაზარდი, ერთ ნაფესვარზე  
ამოზიდული.

მაგრამ ამჟამად ბედმა გაყარა...  
წავიდა ო-სან, ღამეს შესტირა, მისი გოდება  
ქვესკნელს ჩაესმა,

ხოლო ჯიჰეი, —  
დაობლებული,  
სახლს მიაკედლა უზენაესმა.



ՀԱՅԿԵՆՈՒ  
ՀԱՅԿԵՆՈՒ



## მესამე მოქმედება

### I სურათი

სიყვარულის უბანი სონეძაქი

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

აქ საუფლოა სევდიანი სიყვარულისა...

... მოიძურწება ღიბნელეში მაცნე სიკვდილის,  
ავისმაუწყედ მოირწევა ცრემლის მორვეი.  
მოიტბორება ტალღა სიჯიმის — მღვრიე ქარებით  
ნაამბორვეი.

გზებზე მინელდა მგზავრთა რონინი.  
მიწყდა ზვირთებში ბორიოთა მიმოქცევანი...  
მხოლოდ მაღლიდან მოდრეკილა სავსე მთოვარე,  
როგორც იტყვიან, — მეთხუთმეტე ღამის მხევალი.  
ალბათ, მთვარესაც მოეწყინა გზებზე ტაატი,  
სჯობდა ეს ღამე, დაწყევლილი, სხვაგან ეთია...  
აგერ, საცაა გასრულდება ხარის საათი, —  
უკვე მესამე მეოთხედია...<sup>51</sup>  
დემბეისთან კი... შუქფარანი ისევ ციაგებს,  
თრთის შუქფარანი — სხივჩამკვდარი და უბადრუკი...

ცრემლად იღვრება ღვეთი სანთლისა,  
შუქდაბინდული იწვის პატრუქი.  
იწვის პატრუქი... სხივი ქანაობს,  
ქანაობს ქარვა და მინანქარი...  
ქანაობს კარი... კარი შვეებისა —  
„იმატოია დემბეის“ კარი...

— ჰეი-ეჰეი! ჰეი-ეჰეი! —  
მგზავრებს აფრთხილებს ძილგამკრთალი ღამის დარაჯი:  
განი, განიო, — ცეცხლით მოვდივარ,  
არ გაეხვიოთ ხათაბალაში!

— ჰეი-ეჰეი! — ყვირის ხმამალა,  
თუმც შუალამის მყუდროება მასაც აღუწებს:  
ძლივს მიბარბაცებს, ფეხებს მიათრევს, —  
წვრილ ოჩოფეხებს მიაფლატუნებს...

მიაფლატუნებს... მიაფლატუნებს...

მიდის, გრძელ ქუჩას მიუყვება კენტად მარები,  
პირში — ჩიბუხი, ხელში — მაშხალა...  
ხმაჩახლეჩილი, ძილგატეხილი,  
ღამეს აღვიძებს  
შუალამის ტაკიმასხარა:

— ჰეი-ეჰეი! ჰეი-ეჰეი!  
განზე გადექით, ჩემო კარგებო,  
განზე გადექით!..

„დემბეის“ კართან რახანია მიწყდა თარეში.  
თუმცა ვინ მოდის! — სახლი ყუჩად თვლემს, გზაც,  
ქუჩაბანდიც —

ყუჩად მთვლემარე...  
კარს მოადგება „ზემოუბნის“ პირისფარეში  
და რამდენიმე მეტახტრევანე.  
კარს მოადგება... შეიჯახუნებს,  
შედის წინკარში, გაბმით წიაქებს,

აიფოფრება მერე კრუხვიით და მასპინძელთან  
შეიკრიახებს.

### მოახლე ქალი

ქალბატონი კოპარუ უნდა წავიყვანო, „ქინოკუნის“ სახლში მიმ-  
ყავს, ასე მაქვს ნაბრძანები.

### მთხრობელი

ყრუდ გამოსმის ოთახიდან მისი სიტყვები.  
ყვირის ყასიდად, ალბათ გულს იფხანს, თორემ ვინ არის,  
რისი მაქნისი!..

თითქოს პასუხიც ისმის ბუნდოვნად:  
თავაზიანად მოახსენებს დიასახლისი.  
და ჭირვეული მოსამსახურე, —  
ვით ღამეული ლანდი წიაღთა, —  
რა წიაჭითაც შედგა კარებში, ისე უკანვე  
გამოწიაქდა.

### მოახლე ქალი

ქალბატონი კოპარუ აქ რჩება ამაღამ. ჰეი, მებარგულეზო! წადით,  
დაიძინეთ! ჰო, მართლა, სულ დამავეიწყდა: დიასახლისო! გაუფრ-  
თხილდით ქალბატონ კოპარუს. უკვე ბატონმა ტაჭემ გამოსიყიდა,  
სწორედ წედან ჰქონდათ ლაპარაკი. ფულიც მთლიანად გადაიხადა.  
გაიგეთ? ამიერიდან ქალბატონი კოპარუ სხვისი საკუთრებაა, რამე  
რომ მოუვიდეს, ჩვენ ვაგებთ პასუხს. თვალი გეჭიროთ, ღმერთი არ  
ვაგვიწყრეს და ღვინით არ გამოგვითრონ ამ ბოლო ღამეს.

### მთხრობელი

ღმერთო, რას ყბედობს!.. ნეტავ, დადუმდეს!  
მაგრამ არ ცხრება, სამწუხაროდ, ენა მოახლის:



გაბრუნებამდე ხნულებს ბედისას  
ასე ღვარძლიან მარცვლებს მოაყრის,  
რომლის ძალითაც — ვიდრე ინათებს,  
ვიდრე მზის შუქი დაირთვება ოქროს ძაფებად, —  
ამ საწუთროში შეყვარებულებს დღე სიცოცხლისა  
მოესწრაფებათ...

დუმს საჩაიე...  
მითვლემილა ხარის საათი,  
მხოლოდ ჟამიჯამ ქარაშოტი გაისისინებს...  
ჩაიდან რომ ჩაიდანია,  
ამ დროს, ეტყობა, ისიც იძინებს.  
მხოლოდ კანდელი ისევ კიაფობს...  
ბეუტავს კანდელი, ქრება კანდელი, ბინდმა დაიწყო  
ცივი ზმორება,

გაღმით დაიძრა შავი ღრუბელი,  
მოღის... მოღელავს... მოიტბორება...  
მიყუჩდა ყურე, ჩამოზნელდა...  
ქარმა დაბერა.  
დაბერა ქარმა, ჭირხლი ჩამოწვა, — ჩამოიბლანტა  
თეთრი სუღარა...  
ჩქამი გამოსცა გაღმით ზარნაშომ, ღამეს გაეხმო,  
გაემუღარა...  
მიქრა კანდელიც... შუქი მინელდა...  
მიცხრა ყოველი...  
მთვარემ მოასწრო ბანზე შედგომა...

ხმა გამოისმის სადარბაზოდან —  
სახლის პატრონი  
სტუმარს აცილებს, როგორც ეტყობა:

### დ ე მ ბ ე ი

ჯერ კიდევ შორსაა გათენებამდე. ხომ არ გაგაყოლოთ ვინმე? ბატო-



ნი ჯიჰეი მიბრძანდება; ერთი, ქალბატონი კოჰარუ გააღვიძეთ მისი ვიდეს!

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ჯიჰეი კარებს ჯიქურ მიახლის  
და ნაჩქარევად გამოდის გარეთ.

ჯ ი ჰ ე ი

ჩუ, დემბეი! იყუჩეთ! სიტყვაც არ დაგცდეთ ჩემს წასვლაზე, ნუ გააგებინებთ! თორემ აქ დამტოვებს დილამდე. რაღა ტყუილუბრალოდ ავიტკივო თავი, მირჩევნია ჩუმაღ გავიპარო. გათენდეს და შერე გააღვიძეთ, წავიდეს იმ თავის „ქინოკუნიასი“... შინ წუთით თუ შევირბენ, — დღესვე დედაქალაქში ვარ წასასვლელი, რაღაც-რაღაცები უნდა ვიყიდო... ათასი სხვა საქმეც მაქვს მოსაგვარებელი, რა ვიცი, იქნებ თვის ბოლომდეც მომიწიოს დარჩენა. აქ კი ვალებია გადასახდელი. ვახსოვთ, ფული რომ მოგაბარეთ შესანახავად — იქიდან მიანგარიშეთ დანახარჯი.

ცოტაც უბოძე „კავასიოს“ ბატონ-პატრონებს,  
ჩემი სახელით მადლიც აუწყე:  
დიდი პატივი დამდო ცოლ-ქმარმა მთვარით ტკობის  
ქამს, —

დღესასწაულზე...<sup>52</sup>  
ეჰ, რა თქმა უნდა, ამნაირი წვრილმანებისთვის  
მოცლა რომ მქონდეს, უთქვენოდაც უნდა ვზრუნავდე...  
რაც კი ერგებათ, ვერცხლად მიეცი —  
უზალთუნიდან უზალთუნამდე!  
თან ხელწერილი გადამინახე!..

ჰო, მართლა! საკურთხევლისაც შესწირეთ რამე ჰუკუსიმაელ ბონ-ზა ზაიეცუს.<sup>53</sup> ერთი ვერცხლის ფულიც მიეცით, ჩემი გარდაცვლილი ნათესავები მოიხსენიოს. ხომ არ დაგავიწყდებათ! დაიცათ, კიდევ ვისი მმართვეს? ჰო, გამახსენდა! ბრმა ისაიჩისაც უბოძეთ ცოტაოდენი, ასე, ხუთ უზალთუნამდე; სულ ესაა!.. დაკეტეთ კარი და დაიძინეთ.

ჯიჰეი ემშვიდობება:

— დიდხანს არ დაეყოფ დედაქალაქში, შემოვიქცევი  
მაღლე მეფურად!

თუმც ვერ მოასწრო ორიოდე ბიჯის გადადგმა,  
რომ შემობრუნდა კვლავინდებურად:

ჯ ი ჰ ე ი

დემბეი-დონო!<sup>54</sup>

ჰეი, დემბეი!

თქვენთან დამირჩა, თუ არ ვცდები, ჩემი მახვილი.  
ლამის მგზავრი ვარ, ჩემო ძმაო, აბა რა ვიცი:  
იქნებ, ვილაცა გადამეყაროს, —  
უნდა მიეზლოს ყველას თავისი...

ზომ ხედავ, დემბეი, ზედვე მეტყობა, რა დაუდევარი ქალაქელიცა  
ვარ, — ხმალი დამრჩა. ახლა ჩემს ადგილზე ვინმე სამურაი რომ  
იყოს, თავს არ იცოცხლებდა, — ჰარაკირი და მორჩა!<sup>55</sup>

დ ე მ ბ ე ი

მეც სულ არ დამავიწყდა, თქვენი ხმალი რომ მქონდა მობარებუ-  
ლი?! აჰა, ინებეთ, ბატონო! ოჰო!.. მარტო ხმალი კი არა, დანაც  
ყოფილა.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ჯიჰეი ართმევს... წუთით დახედავს...

დასცქერს ჯიჰეი... ხმალზე შუქი კრთის, შუქში

გაბრწყინდა

სატრფოს სახება...



მათი ხსენება:

ორი აჩრდილი —

დამეული ორი აჩრდილი,

თვალს სიზმარივით მოეჩვენება.

ნაბიჯების ხმა... ერთი... მეორე...

ხმა ახლოვდება... გარბის ჯიჰეი, ჰა, მოიფარა ჩრდილი  
აიგნის.

და ელოდება სულგაკრეფილი —

ორი აჩრდილი როდის ჩაივლის...

მაინც ვინ მოდის: — მაგოემონი!..

როგორც ეტყობა, გაუძნელდა ასე ლოდინი

და ძმას დაეძებს შუალამეში — ძმის სიმძიმით

გულდაკოდით.

გამგელებული მოალაჯებს ვიწრო ქუჩაზე...

თითქმის გამორბის.

უკან სანგორო მოსდევს ქოშინით, უჭირს სანგოროს

ტვირთის ტარება:

ზურგზე ჯიჰეის ვაჟი შეუსვამს

და მოძუნძულებს... მოეჩქარება.

მოიჩქარიან... მოიჩქარიან...

ცივად ციმციმებს ქუჩის ფარანი, აქ კი სახლს სძინავს,

სძინავთ მსახურებს,

კარს მოადგება მაგოემონი

და ნაჩქარევად დააბრაზუნებს.

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

ჰეი, მასპინძლო! ერთი გამაგებინეთ, ქალაღდის გამყიდველი ჯიჰეი  
ხომ არაა თქვენთან! გთხოვთ, დაუძახოთ, სიტყვა მაქვს სათქმელი!

ჯიპეი სტუმრებს დააკვირდება...  
დააკვირდება, ღმერთო მაღალო!.. ცხადი არის თუ ღამის  
ზმანება:  
მგზავრებს იცნობს და ჩრდილში გაუტევეს, —  
უფრო ღრმად შევა, შეიჩქმალება.  
ოთახიდან კი ჩქამი მოისმის:  
ხმაჩახრინწული მასპინძელი პასუხს იძლევა;  
ვერ ბურანშია, როგორც ეტყობა, ვერ მოუსწრია  
გამოფხიზლება...

დ ე მ ბ ე ი

ბატონი ჯიპეი ეს-ესაა შინ წავიდა. დღეს დედაქალაქში აპირებს  
წასვლას. აქ არ არის! მეტი არაფერი ვიცი.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

კვლავ დუმილია...  
დუმილია ყოვლისმომცველი...  
აბა, ამ დუმილს როგორ აიტან!..  
ცრემლებს აწვიმებს მაგოემონი...  
ჩქამი არ ისმის არასაიდან...  
„შინ გაბრუნდო?! ტყუილია!.. როგორ იქნება:  
მთელი ღამეა, აქეთ მოვდივართ, ამოვიარეთ  
მთელი ქვემოთი,  
რომ წასულიყო, უეჭველია, გზაზე როგორღაც  
შევეყრებოდი!  
ანდა რა უნდა დედაქალაქში?!  
საკვირველია!.. არა, ბატონო, მაპატიეთ და, ვეჭვობ  
ძალიან!..  
ხელი დაავლო იქნებ კოპარუს  
და საბედშაოდ მიიჩქარიან...“

ველარ იოკებს მღელვარებას მაგოემონი,  
ველარ იოკებს... წუთით მოდგება, მიმოიხედავს  
ცივი ღუმლით...

ისევ მოდგება, დააბრაზუნებს,  
რეკს მოთმინებადაკარგულივით.

### დ ე მ ბ ე ი

ეს კიდევ ვილა! ვინ აბრაზუნებს! რა დროს სტუმრობაა, გვიძინავს  
სუყველას.

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

უკაცრავად, ისევ მე გაწუხებთ, მაგრამ ერთიც უნდა გკითხოთ: ქალ-  
ბატონი კოპარუ რომ გყავდათ აქ, „ქინოკუნიელი“, რა იქნა, ისევ  
აქ არის თუ შინ დაბრუნდა? ბატონ ჯიჰეის ხომ არ გაპყოლია  
სადმე?

### დ ე მ ბ ე ი

აბა, რას ამბობთ! რამ გაფიქრებინათ! ქალბატონ კოპარუს რახანია  
მშვიდად სძინავს, აგერ, ზემო ოთახში!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მაგოემონმა სული მოითქვა.

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

გმადლობთ, გმადლობთ! მომიტევეთ!.. უჰ; ცოტათი მომეშვა გულ-  
ზე... მაშ, ჯიჰეი სადღა გადაიკარგა? სად ჯანდაბაში ვექებოთ. ძილი  
ჩვენ არა გვაქვს და მოსვენება!

დაეხეტება მართო, უჩვენოდ...

ზოგმა ისაო, როგორც იციან, ზოგმა ესაო!..

როგორ ვუშველოთ, რითი ვუშველოთ! —

ფიქრით თავს იმტვრევს სანათესაო.

თქვენ, რა თქმა უნდა, ჯერ არ იცით მისი ამბავი:  
ღმერთმა გარიდოთ ასეთი რამ,

ღმერთმა გარიდოთ!

თუ მოუარა, ისე მოუვლის,  
ისე უაზროდ, უანგარიშოდ...  
აგერ, — კანტარო ამიტომაც მოვიყოლიე,  
შვილს რომ შეხედავს, შეიძლება, გონზე მოეგოს:  
ალარ მიენდოს მიეთ-მოეთებს, არც სისულელეს მიედ-  
მოედოს...

თუმცა, ხომ ხედავთ, როგორ დაგვისხლტა,  
გვერდი გვიქცია სიბნელეში ასე უგვანოდ...  
ჩვენ კი წყალს ვნაყავთ, როგორც იტყვიან,  
ქარს ვედევნებით ტყუილუბრალოდ...

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ხედავთ — როგორ სწუხს მაგოემონი!..  
ძმას კი... რა უშავს, ცოცხალია, ღმერთის წყალობით...  
ცრემლებს აწვიმებს მაგოემონი, თვალთ უბნელდება  
თანდათანობით.

ეს ყველაფერი ესმის ჯიპეის...  
რა ჰქნას საბრალომ!.. ქვა რომ ქვა არის, ქვაც ვერ გაუძლებს  
ამდენ წვალეებას  
ქვაც ვერ გაუძლებს ამდენ წვალეებას.  
თითქოს მაგრად დგას, თავსაც იკავებს,  
მაინც ცრემლი სძლევს თავშეკავებას...

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

ეი, სანგორო! იქნებ შენ იცი, სად შეიძლება დაყიალებდეს ბრიყვი  
ღამღამობით?

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მაგრამ სანგორო:  
„ეს მე მომაკრეს ბრიყვის სახელი, —



უეჭველია.

ღმერთმა გვატაროს სახელიანად, ძალი მოგვცეს და  
სიმხნე გვიმატოს!  
მე მიგულისხმა...“  
მოდგა ღიმილით,  
ცდილობს, თვითონაც შეეკვიმატოს:

### ს ა ნ გ ო რ ო

ცოდნით კი ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვით: მრცხვენია!

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

თუ იცი, რაღას უცდი, თქვი ბარემ!

### ს ა ნ გ ო რ ო

მოგახსენებთ, ბატონო, ახლავე მოგახსენებთ. ოღონდ მერე ნუ გა-  
მიბრაზდებით: ერთი წავსი ადგილი ვიცი იჩინოკავას ბელლებთან.  
ყოველდამე იქ დავძვრები ხოლმე.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ჰმ, მაგოემონს სახუმაროდ სადა სცალია,  
გულზე ცეცხლი აქვს წაკიდებული.

### მ ა გ ო ე მ ო ნ ი

ბრიყვო, ჩერჩეტო, გაუთლელო ტაკიმასხარავ,  
შენზე ვინ ამბობს, გამაგებინა!.. რას ავიგდია თავი  
ნეტავი!..

შენი დარდი მაქვს?.. შეგიკურთხებდი,  
ძმა რომ არ მყავდეს მისახედავი .  
გვიჯობს წავიდეთ, მოვიძიოთ მისი გზა-კვალი,  
აბა, მოეშვი ბრიყვულ მტკიცებას!  
სჯობს კანტაროზე თვალი გეჭიროს,  
გათოშილია ბავშვი ისედაც.



საწყალი ბიჭი! რა ჯიჰეის საქმე იყო ცოლ-შვილი! ბეჩავი კანტარო  
 ისედაც ვერაა ჯანზე, რაღა ეს გაცივება უნდოდა ახლა! ეს ვაღწე  
 არაფერი, ვაითუ, უარესიც გველის!

გაგვიცივდება ბავშვი ნამდვილად!  
 გაგვიცივდება... შენ კი არც ნაღვლობ, ახლა მოგინდა  
 ასე ლაქლაქი!.

იქნებ, სხვაც გველის რისხვა უფლისა  
 და ბედისწერის ვაი-ვაგლახი?..  
 ო, არა, არა! ღმერთმა დაგვიხსნას!  
 გული ავს მიგრძნობს, მაგრამ როგორ ვთქვა, —  
 გულში ბევრი მაქვს ჩასამარხავი,  
 ლამის ეს გული ბოღმით გამისკდეს  
 და გადმოინთხეს მწარე ბალღამი...

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

ასე შესტირის მაგოემონი წკვარამს ლამისას,  
 თვალცრემლიანი შეპლალადებს ცათა წიაღებს...  
 რაღაც შიში ჰკლავს, შიში აწამებს,  
 ეჭვი აფრთხობს და აფორიაქებს.

**მ ა გ ო ე მ ო ნ ი**

აბა, წავიდეთ!  
 უფრო შორი-შორ მოვიძიოთ გზა და სავალი:  
 იქნებ, უცნობმა ქუჩაბანდებმა გვამცნონ ჯიჰეის  
 ავანჩავანი...

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

და ჩაიარეს...  
 ჰა, გაიკრიფა სიბნელეში მათი ჩრდილები...  
 ჯიჰეი სტოვებს თავის საბუღარს — გატანჯული და  
 ნასიკვდილევი.  
 თითის წვერებზე დგას და გაჰყურებს...



მიიჩქარიან... უმზერს ჯიპეი, მაგრამ რას მისცემსა  
 ურეზნა...

წყევლის თავის თავს, ღამეს გასძახებს,  
 ვარსკვლავს ბედისაა გაემღურება.

**ჯ ი პ ე ი**

ეპა, ჯიპეი!

ასგზის ცოდვილო არამზადავ,  
 ასგზის წყეულო!

ცოტა კიდევ და... მოგეზღვება მსჯავრი სასტიკი.  
 გზა კი სად გიჩანს, გზადაბნეულო, ამ ცოდვათაგან  
 გამოსასყიდი?

მოკვდები მალე, ქვესკნელისკენ დაეშურები,  
 რომ სამუდამოდ ჩაუშხამო ყველას გუნება.  
 თუმც არ გაგწირავს სანათესაო...

ვინ გიორგულება საიქიოში, აქ თუ არავინ  
 გეორგულება?

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

კვლავ სასოებით დაიკრიფა ხელისგულები  
 და სათხოვარი აღაღლინა წელმოდრეკილმა:

**ჯ ი პ ე ი**

როცა მოგვდები, ძმაო ძვირფასო,  
 და საწუთროდან სამუდამოდ ავიბარგები, —  
 თვალი გეჭიროს, განუკითხავად  
 არ დამიბრძიყვონ ჩემი ბაღლები!

თქვენც, ღვთისნიერო ნათესავებო:  
 გთხოვთ შეავედროთ ჩემი სული ზესთა ზეობას  
 და მიუსართოთ გულმოწყალება თქვენს ყოველდღიურ  
 კეთილზნეობას.

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ასე საბრალოდ მოთქვამს ჯიჰეი.  
მაგრამ ცრემლები.

სინანულის ცხარე ცრემლები,  
კვლავ აწყვეტინებს მოთქმა-ვედრებას...

## ჯ ი ჰ ე ი

„თუ სიკვდილია, ერთი იყოს ჩვენი სიკვდილიც!“ —  
ასე შეეფიცეთ საფიცარი ზესთა კრებულებს.  
შიცდის კოჰარუ... ბედი გვაჩქარებს,  
ცის განჩინება გვაგაღებულებს.

## მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ბედი აჩქარებს...

რა თქმა უნდა, ბედი აჩქარებს!

მაგრამ ჯიჰეის მოეწყინა ბედთან თამაში...

შედეგა ჯიჰეი, მიაყურადა

და შეიჭვრიტა ჭუჭრუტანაში.

მაგრამ რას ნახავს, — სიბნელეა დარბაზოვანში,

გულზე ცეცხლივით შემოენთო მწველი იარა!..

თუმცა ვინ დადის!.. თითქოს კარებთან რაღაც აჩრდილმა  
გაიშრიალა.

კოჰარუ თუა...

ხმა არ ისმის,

ღელავს ჯიჰეი:

— ვისი ლანდი კრთის სიბნელეში, ვისი სახება?

ახლოს მიდგება, ჩუმი ხველებით მოსვლას ანიშნებს,  
გაეზრახება.

მაგრამ პასუხად სარაკუნას ჩქამი მოისმის, —

გადი-გამოდის სიჩუმეში ღამის დარაჯი:

არ შეეშალოს უცებ ჯიჰეი ვინმე ჭურღლა და  
ვიგინდარაში!

ისევ ხველება... ღელავს ჯიჰეი:

შემაზრხენია სიბნელეში ასე ლოდინი.  
ხენეშის დარაჯი, ღამეს აღვიძებს ნაზარხოშალი

კაცის ხროტინი:

„ჰეი-ეჰეი!  
ჰეი-ეჰეი!..“

... მთვარე შემდგარა ბანის კიდეზე.  
სახლს კი კვლავ სძინავს... სიჩუმეა... სძინავთ მსახურებს...  
„განი-განიო!“ — ისევ აგრძელებს და სარაკუნას  
მიარაკუნებს.

მიარაკუნებს...

ჯიჰეი ღელავს...  
ისეც კანკალით მიუყვება უკუნს ღამისას,  
სულგატვრენილი მოიძიებს მყუდრო წიაღებს,  
თან ყველაფერი ისე აფრთხობს,  
ისე აშინებს,  
ისე აკრთობს და აფორიაქებს, —  
რომ უნებურად კაცურაკი<sup>56</sup> მოგაგონდებათ,  
ჩუმად რომ ნატრობს მზემ არ ანათოს  
და გამოჩინა ეთაკილება ასე უშნოს და  
უთვალტანადოს.

აჰა, მინელდა ნაბიჯებიც...  
კარის ღრიჭოსთან კრუალეებმა მორთეს თამაში...  
ჯიჰეი მიდგა, სუნთქვა შეიკრა, კვლავ შეიჭვრიტა  
ჭუჭრუტანაში.

მაგრამ ნელინელ გამოიღო სახლის კარები...

ჯიჰეი შეკრთა.

ღრიჭოდ დარჩენილ დარაბაში შუქმა იალა,  
თუ მოეჩვენა: —

ასე უჩუმრად კარმა გულისამ გაიჭრიალა?

„კოპარუ, ფრთხილად!..“

### კოპარუ

ჯიჰეი, შენა? ახლოს მოდექი,  
გამოვალწიო იქნებ როგორმე!...

კოპარუ ჩქარობს, —  
უნდა გაფრთხილდეს,  
უნდა აეკრას უხმაუროდ კედელს ფრიალოს:  
ერთიც ვნახოთ და, რაღაც ეშმაკად ღრიჭომ კარისამ  
გაიჭრიალოს!...

გაიჭრიალოს!...

მაგრამ დავწყნარდეთ,  
მაინც დავწყნარდეთ:  
იქნებ, არც ღირდეს ყველაფერი თქმად და მტკიცებად:  
უცებ გავალოთ? ღმერთმა დაგვიხსნას! უცებ —  
პატრონებს გაელვძიებათ!

გაელვძიებათ და...

რაო?! გაცლა სჯობს? მაგრამ პირობა?  
ესეც არ იყოს, გვიანია გადაფიქრება...  
უნდა როგორმე ციმციმ გასწიონ და გამოალონ,  
როგორც იქნება.

როგორც იქნება... როგორც იქნება...

ჯიპეი ცდილობს... კარებს მოაწვა...  
მოაწვა კარებს... მთვარეც მობრუნდა, გადმოიხედა ჩუმი  
კაეშნით.  
ჩქამი რა არის, — ჩქამიც გულისა ყურში საშინელ  
გრგვინვად ჩაესმით...

ცოტა, ზულ ცოტა დარჩა, კოპარუ! ნუ გეშინია, კოპარუ! გამაგრდო,  
კოპარუ!

ჯიპეი ღელავს...  
ღელავს კოპარუ...  
ხელები უთრთით...  
უკრთით გულები.

— ესეც სამი ბუ, ჩემო კარგო, ესეც ოთხი ბუ,<sup>57</sup>  
კიდევ ერთიც და... გასრულდება ჩვენი კირთება!..  
კიდევ ერთიც და...  
კიდევ ერთიც და...

გზა სამარისკენ გაიშვილდება...  
რა მტანჯველია ასეთი შიში,  
რა მტანჯველია,  
სჯობდა ეს ღამე ჯოჯოხეთის კართან ეთია,  
ვიდრე ამ კართან... თუმცა აქ არის:—ხელს გაიწვდის და...  
ჯოჯოხეთია!

ჯოჯოხეთია.. ჯოჯოხეთია...

მაგრამ ურჩხულებს ჩუმად სძინავთ...  
კარი იღება,  
თითქოს მინელდა ქროლვა ნიავეთა...  
კარი ნელინელ, —  
თითით,  
მტკაველით,  
მერე ადლითაც გამოღლიავდა...

გამოღლიავდა... გამოღლიავდა...

გამოიკრიფა კარში კოჭარუ...  
გამოიკრიფა... როგორ გამორბის!.. თითქოს გაექცა  
შავბნელ წიაღებს  
და საახალწლოდ გაბრწყინებული  
სხივს იმედისას მოაციაგებს.  
ხელი ჩაჰკიდეს ერთიმეორეს...  
ახლა რა დარჩა? მხოლოდ გზა დარჩა, გზად მიიქცევა  
ორი ჩვენება,  
მაგრამ სად მიდის მათი ბილიკი, ვის საუფლოში  
მიიწვერება?

მაინც სად წავლენ? — დასავლეთისკენ?

თუ აღსავალში მოესურვებათ აღმომავალი მნათის  
ყურება?

გზა შეიქცევა ჩრდილოეთისკენ,  
თუ სამხრეთისკენ  
დაეშურება?

მათ არ იციან... ირგვლივ ღამეა, ყრუდ გუგუნებენ  
შემოგარენი...

მძიმედ ირწევა სიჯიმის ტალღა...

ირწევა წყვილიც...

აღმოსავლეთით

ცა იწვევრება მადლა და მადლა.

დაღმა

მთოვარე მიუყვება ტალღის დინებას,

მიჯნურების გზა აღმა მიიწევს, მიიკრიფება ჩრდილში  
მალიად,

აღმოსავლეთის სამანს მისდევენ,

მიიჩქარიან... მიიჩქარიან...





## მიჩიუკი

გამოთხოვია თორმეტი ხილთან

მთხრობელი

მიიჩქარიან...

მიიჩქარიან...

ასე ჩქარა რბის ნაპრალებში ცელქი ჩქერალი,  
ასე ჩქარა წერს მსახიობთათვის როლებს კონოეს  
ასოთმწერალი.<sup>58</sup>

თუმცა მათ შორის განსხვავებაც დიდზე დიდია:

— ყრმა მსახიობთა თავსაბურავი<sup>59</sup>

შეფერილია ძოწეულის ნაზი ფერებით,

ხოლო მიჯნურთა ბოლო წუთები

შავ სუდარაში მიეფინება ასე ჭიქურ და  
თავდაჯერებით...

სევდისმომგვრელად იწურება მათი ცხოვრება...

მაგრამ რატომ დუმს ზესთა კრებული?

ნუთუ ამგვარი განჩინება ჩვენი ბედისა

საკია-მუნის მცნებითაა განწესებული?<sup>60</sup>

მიიჩქარიან... მიიჩქარიან...

ნეტავ, რას იტყვის კარმის მოძღვრება?<sup>61</sup>

მიიჩქარიან... მიიჩქარიან... ყრუდ მიილტვიან, ძალო  
ციერო,  
რომ მიქცეული ბედის წიაღში სცნონ საზღაური  
სამაგიერო...

საზღაური კი... ძალზე მძიმეა:

— როგორც ქარს მიაქვს ფეტვის მარცვლები,  
მათი ამბავიც მიჯნებს გასცდება, განეფინება მზეს და  
მთოვარეს,

ხვალ გაიტაცებს ქარი საქვეყნოდ  
და მერცხლებივით გააფრთოვანებს.

ხოლო ჯიპის —

ქაღალდების ვაჭარ ჯიპის,

სხვა ქაღალდებში მოიხსენებენ, შიგ მოექცევა მისი  
ბრალდება

და საბრალდებო ფარატინები

მთელ ქვეყანაზე დაიფანტება.

დაიტაცებენ ფერად ქაღალდებს.

დაიტაცებენ, გადაბეჭდავენ, ჭორსაც გაშლიან ჭრელ-  
ჭრელ მარაოდ

და ოინბაზი მოალაქარდებს, —

ბრბოს მოახსენებს სამასხაროდ.<sup>62</sup>

და, როგორც ფურცლებს, როგორც ქაღალდებს,

როგორც მკვდარ ფოთლებს — კიდითკიდემდე ხვეტს  
ქარაშოტის მძაფრი კვეთება,

შორს განიბნევა მათი ამბავი,

მთელ დუნიაზე წარიხვეტება.

და ყველაფერი შემოდგომას დაემსგავსება...

დაემსგავსება წვეარამს ღამისას, როცა სიცივე აკრთობს  
ღამურებს

და მოწეული ქამი ზამთრისა  
ხეებს აზრობს და აუქამურებს.

თუმცა, თუ კაცი მიმდგარია ბოლო სამანთან,  
სიკვდილის ღმერთი ძველებურად ველარ აშინებს;  
არც მის უღმერთო ძახილს დაგიდევთ,  
არც ჯოჯოხეთის უჩინმაჩინებს:  
რაკი ისედაც გახსნილია კარი ქვესკნელის  
და სამსჯავროშიც მრეელი გროვდება, —  
მორჩილად უმზერს, ქამი განკითხვის რა ფეხაკრეფით  
უახლოვდება.

უახლოვდება... უახლოვდება...

— რად წარახდინე საქმე ყოველი!..  
რაც სათქმელია, ჩქარა გვიტხარი!.. —  
რად შეაცდინე შეუტყდომელი! —  
სხვაც მრავალი გვაქვს მოსაკითხავი:

ცოდვა პირველი...  
ცოდვა მეორე...  
ცოდვა მესამე...  
შეოთხე ცოდვა!..  
ცოდვა მუხუთე...  
ცოდვა მეექვსე...  
მეცხრე,  
მეათე,  
მეოცე ცოდვა!..

და ამ ცოდვათა ორომტრიალში  
მადლი სად არის — აბა, გვიტხარი!  
ცოდვა მეასე...  
ათასმეასე!..  
სხვაც რამდენია მოსაკითხავი!..

ეჰ, რა თქმა უნდა, საბრალოა ადამიანი,  
თუ ამ ძნელ გზაზე გადამდგარი მაინც ბარბაცებს

და ეძნელება განშორება, —  
როცა მთოვარე  
დისკოგადახრით გადმოსცქერის ციხე-დარბაზებს...

მიდის მთვარის ქვეშ...  
ფერმიხდილი მიიკრიფება,  
სოფლის ბოლოში ელოდება მაცნე დროისა,  
შორს კი ნელინელ აკიაფდა თეთრი ფარდები,  
თხუთმეტი ღამის მთოვარეშაც ძალი მოიცა,  
მიდის მთვარის ქვეშ...  
როგორ დააგდოს,  
ვით დაუტევოს სანახები საწუთროისა?...  
მაგრამ ასეთი მგლოვიარე უილაჯობა  
ნუთუ არ გახლავთ იმის ნიშანი,  
რომ სულეთისკენ მიქცეული კაცის გულისთქმა  
ღამეს წააგავს, სადაც ჟამი-ჟამ ვლენ მეუფენი  
სიკვდილისანი?

ბნელში ჭირხლივით გამოკრთება სხივი იმედის,  
მელექსენი რომ სიზმარს ადრიან: —  
ქარს ჩამოჰყვება ზამთრის ღამეში და განქარდება  
დილაადრიან...  
მაგრამ, ვიდრემდე გაქრებოდეს ჭირხლი ღამისა,  
ვიდრე ცა ყუჩობს, ყუჩობს ქვეყანა, ვიდრე ძალს  
იკრებს ძალთა მპყრობელი,—  
ბედი აჩქარებს შეყვარებულებს, —  
უნდა დასტოვონ წუთისოფელი...

მიიჩქარიან... მიიჩქარიან...

მანც რა უღვთოდ გარდაეგო მათი ცხოვრება!..

მიიჩქარიან... გაღმით შუქი კრთის,  
შუქში ნანაობს მინდვრის ყვავილი  
და წარსულიდან ნაზად იღვრება მოგონებათა  
თბილი არილი;

... თითქოს კვლავ წვანან, თავსასთაულად თავქვეშ  
უწყვიათ თბილი ხელები...

ბინდიც ისევ თრთის, ისევ ფოფინებს,  
ისევ ფიქრი ჰკლავთ, ფიქრი აწვალეობთ  
ასე ხელიხელგადაქდობილებს.

ფიქრი:

— რომ ყველაფერი სიზმარივით წარმავალია,  
ან, უფრო სწორედ, სიკვდილივით განუკურნელი...  
რომ განქარდება მათი ცხოვრებაც...  
როგორც კოპარუს კაბის კალთიდან  
ამოფრქვეული ამბრის სურნელი...

და აგონდება ახლა ჯიჰვის:

— ტემა ტენჯინის ხიდზე შემდგარი  
როგორ გასცქერდა დასალიერს შორი მთებისას...  
აკვირდებოდა დროთა ცვალებას —  
რიყრაყისას თუ შებინდებისას.

ქვრეტაში დანთქმულს ჩაესმოდა ტალღის რონინი,  
ფიქრის ბურანში მიმქრალიყო ვიწრო ხეობა,  
დასავლეთისკენ მიარწევდა ზვირთებს მდინარე,  
მზეც დასავალად მიირხეოდა...

მიიჩქარიან... მიიჩქარიან...

აჰა, გამოჩნდა „ქლიავის ხიდი“...

ერთხელ ამ ხიდთან, — გვამცნობს მავანი, —  
როცა მიდამოს შეღამების ნისლი ებურა,  
თურმე ცუკუსის კუნძულისკენ წიაღმავალი  
სუგავარა-ნო მიჩიძანე შეჩერებულა.<sup>63</sup>

თვალცრემლიანი კადმომხდარა მყუდრო ნაპირთან,  
ყრუდ აღმოუთქვამს სამდურავი ჟამთა სიავის,  
ლექსიც შეუთხზავს: —

„ყვავილობის ქამს

მომიგონებდე, ხეო ქლიავის!..“

„მომიგონებდე“... ტანჯვით აღმოხდა...

მაგრამ ქლიავი ისე შეძრწუნდა ამ ცრემლიანი

აღმონახლომით, —

მის ნაკვალევზე, დაძაიპუში,

გადინაცვლა ერთი ნახტომით.

აი, ეს გახლავთ „ქლიავის ხიდი“...

ხიდი მეორე — „მწვანე ხილი“.

— მწვანით მოსილი ხარობდა ფიჭვი,

არად აქნევდა მოძღვრის სატკივარს, მაგრამ მისი ხმა  
ესმა გვიან და,

ისიც დაღონდა,

დანაღვლიანდა...

ცრემლით გასძახა: —

„სად ხმობ, მოძღვარო!..

სად ხმობ, მოძღვარო!.. მომიგონებდე, როცა ცუკუსის  
ხიდზე გარდახვალ!..“

ველარ გაუძლო შეჭირვებას განშორებისას

და ქლიავის ხეს გაჰყვა კვალდაკვალ...

ხიდი მესამე — „ალუბლის ხიდი“:

— მაგრამ ალუბალს მძლავრად ჰქონდა ფესვი გადგმული,  
ვერ აიყარა, უცხო კუნძულზე ვერ გადასახლდა ასე  
სვიანად,

ვერ გაახარა ბერი მოძღვარი

და... კაეშანმა ამოაშრო ძირფესვიანად...

ამბავი ესე

იმა დროიდან

გულიდან გულში დადის მეფურად,

და მიჩიძანეს სიმძიმელზე თქმული სიმღერაც

შთამბეჭდავი და ძლიერია უწინდებურად...

თუმცა კვლავ გვიხმობს ნაკვალევი მიჩიძანესი,  
გვიხმობს მოძღვარი... ტალღა ისევ რბის,  
კვლავ ნანაობენ ნელი ჭავლები, —  
მაინც მოგკლავ და მერე უსიტყვოდ მეც შავეთისკენ  
დაგემგზავრები.

მაგრამ ეს ჩვენი უბედობა რისი ბრალია?  
სად მოვიძიოთ ცრემლის სათავე?  
რად ვერ მოვიგდე უამი შვებისა, ვერც სიხარული  
მოვისადავე?  
აღბათ, არ მეყო გამჭრიახობა,  
არც ნებისყოფა აღმომაჩნდა ასე მშიშარას  
და, როგორც ხედავ,  
ისე მივდივარ,  
ვერ ამოვავესე ერთი ნიჟარაც.

ხიდი მეოთხე — „ნიჟარის ხიდი“...

— ისე მოკლეა დალოცვილი, ისე მოკლეა,  
რომ უნებურად მაგონდება ჩვენი ცხოვრება  
და მიწურვილიც შემოდგომისა გულს საგანგებოდ  
ესახსოვრება...

ესახსოვრება ჩვენი საღმობაც...  
მაგრამ, რას ვიზამთ, განშორება მაინც ძნელია:  
შენ ცხრამეტის ხარ...  
მხოლოდ ცხრამეტის...  
მეც — ოცდარვაამდე მიმიღწევია.

მაგრამ ამაღამ...  
მაგრამ ამაღამ:

ჩვენ უღრტვინველად მივადგებით ზღუდეს კარისას,  
რომ საბოლოოდ დავამთავროთ გამათხოვრება  
და ძონძებივით დავაგდოთ ზღურბლზე  
ამქვეყნიური ჩვენი ცხოვრება...  
რა სასოებით ვუფიცავდით ერთიმეორეს,



რომ მიჯნურებად დავრჩებოდით კუბოს კარამდის,  
რომ სიბერემდე ვიცოცხლებდით საერთმანეთოდ  
და განუყრელნი ვიქნებოდით აწ და მარადის.  
განუყრელად კი... სამიოდე წელი დაყვავით,  
სულ სამიოდე... ისიც იმგვარად, ვერ დავიოკეთ ნდომა  
სრულებით,  
სამჯერ დავლახეთ დროის სამანი  
და სამარისკენ  
მივეშურებით...

მეხუთე ხიდი — „ხიდი პემნის“,  
„ხიდი შეყრისა“, „შეხვედრის ხიდი“...

მას, რა თქმა უნდა, გადავლახავთ სახელდახელოდ,  
აჰა, მივალთ და მიგვიხარია, —  
ამ საწუთროში ჩვენი შეხვედრა უკვე დასრულდა  
დიდი ხანია...

ხიდი მეექვსე — „ხიდი ნანივა“,  
სინანულის და ცრემლების ხიდი...

მოდით, ერთხელაც გადავხედოთ ნაცნობ სანახებს,  
თუმცა, ვინ იცის, უძნელდებათ ჩვენი გაგება...  
უკვე ჩვენი გზა ჭალებს გამოსცდა  
და სანაპიროს  
ეზიგზავება...

ხიდი მეშვიდე — „ჰუნაირისა“...  
და, როგორც ხედავ, — მონანავე ვიწრო ბონდებით  
მივლახავთ გზებს და თანდათანობით კარს ქვესკნელისას  
ვუახლოვდებით...

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ასე შესტირის სატრფოს ჯიჰეი...  
მივა კოპარუ, მიეყრდნობა ჩუმი ჩურჩულით  
და მიახედებს: მიდის მდინარე, მიეფინება ნელი  
ჭავლებით...

უკვე მოვედით? შავეთს ვეწვიეთ,  
თუ ჭერჯერობით მივემგზავრებით?

მთხრობელი

კვლავ შეხედავენ ერთიმეორეს...  
მაგრამ ორთავეს მწუხარების ცრემლი ერევა.  
ცრემლის ბურანში მკრთალად გამოჩანს  
შუქმიზნედილი სიყვარულის მშვენნიერება.  
მკრთალად გამოჩანს მათი სახეცაც...  
ერთუბრად ძლივს ჰვრეტენ, ცრემლი ღვარად სდით...  
ღვარს კი არ უყვარს უქმად თამაში:  
იქნებ, შებრუნდეს ჩრდილოეთისკენ,  
ხიდი წალეკოს „პორიკავასი?..“

ჯიშეი

ხომ არ შევიქცეთ  
ჩრდილოეთისკენ?  
იქნებ, ნაცნობმა სანახებმა აღარც მიწამოს...  
უკანასკნელად მაინც შევხედავ  
ჩემს მიძინებულ საკარმიდამოს.  
მაგრამ, ო, არა!..  
მტანჯველია ფიქრი ამაზე!..  
ისევ ისა სჯობს, — დაღმა ვიაროთ!  
მოიკითხავენ მამას შვილები, ცოლი დაჯდება  
სამგლოვიაროდ...  
გაუმწარდებათ, ვიცი, ცხოვრება,  
მაგრამ, რას ვიზამთ, ამაოა ბედის ბრალდება:  
მაშ, ჩრდილოეთი განზე მოვიგდოთ,  
გზა  
სამხრეთისკენ  
მიიწვართება...

ხიდი შემდეგი — „ტენჯინის ხიდი“...<sup>64</sup>

გაღმით რომ მოჩანს, — ბჭეა სამხრეთის,  
მძლედ აღმართულა ზღუდე მაღალი...

ჩანს საკრებულო ხელოსნებისა  
და დიდვაჭრების თავშესაყარი...

თუმცა „რვა სახლის სამოსახლო“ რატომ დაარქვეს?  
ვინ თქვა, — სამხრეთი გაპარტახდაო, ან ბუდეაო წყლის  
და ქარისო?

ბევრი ბურჯია სანაპიროზე,  
სახლიც ბევრია —  
უანგარიშო...

უნდა ვიჩქაროთ... უნდა ვიჩქაროთ!..

თორემ საცაა თვალსაწიერზე აღიბეჭდება სხივთა ზონარი  
და ჰუსიმიდან ზანტი ზმორებით  
შემობრუნდება დამის ბორანი.<sup>65</sup>

შემობრუნდება თვითონ მეზორნეც.

შემობრუნდება... ჩემთან რომ განახოს ასე ნატანჯი,  
ნაცოდვილევი!..

თუმცა ბორანზეც, მოგეხსენება,  
ტრფობის ბურანში თვლემენ წყვილები.

„ტემას ხილია“ — ხილი მეათე,  
„ხილი წყევისა“, — „ურჩხულის ხილი“...

ო, რომ იცოდე, როგორ მიმძიძს მისი ხსენება,  
როცა წინ გვიდგას ბნელი ზღუდენი,  
როცა ახლოა კარი შავეთის და ჯოჯოხეთის  
ნავსაყუდელი!..

უნდა ვიჩქაროთ... უნდა ვიჩქაროთ!..

აქ, ჯოჯოხეთის კარიბჭეებთან,

ორი ნაკადი, — შემოღკომის ყინვით ნათოში, —

ორი ნაკადი ერწყმის ერთმანეთს:

იოდოსი და იამატოსი.

უნდა ვიჩქაროთ... უნდა ვიჩქაროთ...

ელივლივება თევზი ნაკადებს...

განუყრელია მათი არსობა, — თევზიც იქ ბუდობს,  
სადაც ჩქერალო-

ალბათ, ჯიპეიც კოპარუსთან განუყრელია,  
რაკი ასე სჯის წერამწერალი...

ჩვენ გადავივლით „დანის პირებზე“,  
სადაც სამშაგად ძლიერია ჩქერთა დინება,<sup>66</sup>

სადაც ყრუდ ქშინავს ტალღა სეგავის  
და შავეთისკენ მიეფინება.

მიეფინება... მიიტბორება...

ყრუდ მიირწევა მღვრიე მორევი...

მიიტბორება... ბედის ღრუბელო, შენც შავეთისკენ  
მიიტბორები...

მიიტბორება... წყალი მიღელავს, წყალში გამოჩანს  
უცხო სოფელი...

წყლით შეიწირონ დიდმა ღმერთებმაც აწვარდასულთა  
შესანდობელი.

წყლით შეგვივედრონ...

— ხალვლიანად წართქვა ჯიპეიმ  
და მოსასხამი აიფარა პირისახეზე

მაგრამ კოპარუ მაინც ამშვიდებს:

### კოპარუ

რა საჭიროა მონანიება?

კი, მართალია, ამა სოფელში

ვერ მოვახერხებთ შეერთება ჩვენი გზებისა...

მაგრამ ოდესმე — მაინც მჯერა —

წვით და კირთებით

კვლავ გადმოვლახავთ უცხო წიადებს და ხელმეორედ  
ავლორძინდებით.

შემოვბრუნდებით, უსათუოდ შემოვბრუნდებით,  
მერეც და მერეც: მომავალში...  
მერეც... — მომავლის მომავალში —  
ასჯერ, ათასჯერ,  
ათიათასჯერ შემოვბრუნდებით...

მერეც და მერეც: როცა ვიშვებით,  
შვებად გვექცევა მოსვლა ყოველი,  
მუდამ ვიქნებით, როგორც ცოლ-ქმარი —  
განუყრელი და განუყოფელი...

მაშ, რაღად გვინდა მონანიება?

... როს მოაწევდა ჟამი ვარდობის,  
საგულდაგულოდ გადავწერიდი „ლოტოსის სუტრას“  
და სალოცავად შევიქცეოდი.<sup>67</sup>  
წყნარ საგალობლებს აღვუვლენდი ცათა მეუფეს  
და — ღვთაებრივი წყლით და ჩეროთი —  
სადმე წყალისპირს ობოლ ლოტოსად ჩვენს შემოქცევას  
ვეაჯებოდი.

ვეაჯებოდი ცათა დედოფალს...  
ცრემლით შევთხოვდი — „ქანონ-სამაო!..“.  
ყურს მომაპყრობდა ცა და სოფელი,  
ყურს მომაპყრობდა თვითონ ქალღმერთიც —  
გულმოწყალე და თანამღმობელი...

ჰა, მეთერთმეტეც — „ხიდი ქიოსი“,  
ვისი სახელიც, თუ არ ვცდები, სუტრას გვაგონებს  
და სულეთისკენ პირშექცეულებს  
ლოცვა-კურთხევას გამოგვაყოლებს.

ცოტა კიდევ და...

ცოტა კიდევ და...

უკან დაგვრჩება სანახები „ქიობასისა“,<sup>68</sup>  
და ღვთაებრივი შარავანდის ნელი ნათებით  
ჩვენ მივადგებით უცხო ნაპირებს  
და ნირვანისთვის შევემზადებით.

მერე კი... მერე:  
ცვრიან ლოტოსის  
მარგალიტოვან ფიალაში გაგვეღვიძება  
ბუდადქვეულებს...  
გვინანავებენ გაზაფხულის მზით და კვირტებით  
და ლოტოსიდან —  
თანდათანობით  
მზის ღვთაებებად ამოვბრწყინდებით...

„ზიდი ნარისა“ —  
ფერისცვალების...<sup>69</sup>

— სულს მოეწყინა საწუთროსთან შუამავლობა:  
დრო იწურება...  
წუთისოფელში  
უკვე გასრულდა ჩვენი მგზავრობა...

უკანასკნელად...  
უკანასკნელად...  
უნდა შევჩერდე უკუნეთის მისადგომებთან  
და აღვავლინო სათხოვარი ჩემი გულისა:

ნეტავ, შემეძლოს გადარჩენა ყველა ასულის, —  
ხელმოცარულთა შველა შემეძლოს!..  
ო, ნეტავ, ყველა ცდუნებულის, სასომიხდილის  
და ყველა სახელგატეხილის შველა შემეძლოს!  
შველა თუ არა, — უნუგეშოთა  
ნუგეშისცემა მაინც შემეძლოს!..  
რომ უკუნითი უკუნისამდე  
შუქმადლიანი სიყვარული ქვეყნად ჰყვაოდეს,  
მიჯნურები კი... ბედთან ჭიდილში არ მარცხდებოდნენ  
აღარაოდეს!..

ეჭა, ოცნებაჲ აუხდენელო!..  
 ისე ნაზად ჟღერს სათხოვარი წრფელი სულისა,  
 ისე ბავშვურად, — ცრემლი მერევა...  
 ვაგლახ, არ იცნობს კარმის მოძღვრებას  
 მისი უწვრთნელი ცნობიერება!  
 ჩვენ, რა თქმა უნდა, გვებრალებს ჩვენი კოჰარუ,  
 გვებრალებს და მეტიც კია...  
 მაგრამ, რას ვიზამთ, — განჩინებას ბედისწერისას  
 ვის შეუძლია საკადრისი მსჯავრი მიაგოს?  
 თანაც თენდება... შემოგარენი სხივს მოუხმობენ  
 საგანთიადოს.  
 ნოდას ყურეში ეშვება შუქი...<sup>70</sup>  
 ეშვება შუქი... სულიც ეშვება სიკვდილ-სიცოცხლის  
 ვიწრო მიჯნაში...  
 ცა იცრიცება... მთების კალთებზე საკმეველივით  
 ბოლავს რიყრაყი...

ჯ ი ჰ ე ი

თენდება. გესმის?  
 ზარს არისხებენ სალიტანიოდ, მჭახედ ჟღრიალებს ზარი  
 რვალისა...

ალბათ, ტაძარში მრევლი გროვდება.  
 ჩვენი ზარიც ხმობს, — სულთამხდომელი  
 ყრუ ნაბიჯებით გვიახლოვდება.

გვიახლოვდება... გვიახლოვდება...

დროა, წავიდეთ!

აღარ ეგების ჩვენი ყოფნა წუთისოფელში,  
 გაღმით ძალი ხმობს — ყოვლის მძღვეარი...  
 მაშ, დავაჩქაროთ ჟამი გაყრისა, რაკი გაყრას გვთხოვს  
 წერამწერალი!..

მაშ, გავეშუროთ!..

მ თ ხ რ ა ბ ე ლ ი

და მიიწევენ...

ცის სამსხვერპლოზე მიაბიჯებს ორი მოსავეი...  
თვალში ცრემლების მძივი უბრწყინავთ,  
ხელში — ამარტის კრიალოსანი!..

ითვლიან მარცვლებს... მიაბიჯებენ...

თითო ნაბიჯი — თითო მარცვალი...

გასათვლელია ასრვა მარცვალი:<sup>71</sup>

ასრვა მარცვალი —

მათი ცხოვრების

წარმავალობის ძაფზე ასხმული

ასრვა მარცვალი...

მათი ცრემლების მარგალიტებით

გაბრწყინებული ასრვა მარცვალი...

მიირხევიან, მიაქვთ წუხილად

შუქმიდრეკილი მთვარის შაბაში

და ლოცულობენ: —

„ძალო მფარველო,

ძალი გვფარვიდეს ამიტაბასი!..“

აჰა, გამოჩნდა ამიჯიმას შემოგარენი!..

აქ, შორიახლო ტაძარია დაიჩიოსი,<sup>72</sup>

უფრო ახლოს კი ტყეა ბამბუკის, ნიავს გადმოაქვს

ჭალის ჩურჩული,

ბოლავს კუნძული ამიჯიმასი —

მებაღურების ცივი კუნძული...<sup>73</sup>

აქ აღსრულდება განჩინება ბედისწერისა,

აქ გაიშლება ბადე ციური,

აქ გასრულდება მათი მგზავრობა

და ხეტიალი ამქვეყნიური.

აქ, სადაც წყალი ჯებირს აწყდება,

სადაც ჭავლი რბის, ჭავლი გადმოდულს, სადაც ტალღაზე

ტალღა იგება,

აქ — აიყრება მათი სულები

და სულეთისკენ გაიკრიფება.





## II სურათი

ციურ ბადეთა კუნძულზე

ჯიპეი შედგა:

— ნეტავ, სანამდე გაგრძელდება ჩვენი მგზავრობა?  
კიდევ რამდენი უნდა ვიაროთ?!  
ასე რომ მივყვეთ, მიწა დიდია, შორს გაგვიტყუებს  
სახეტილოდ;  
მაშ, შევიცადოთ... აგერ ზღვარი ჩანს,  
აქ გასრულდება მიჯნა ყოველი...  
ჩუმაღ! ვიღაც ხმობს... უკვე რეკავენ... ჩანს, მობრძანდება  
სულთამხდომელი.

### მ თ ხ რ ი ბ ე ლ ი

ხელი ჩაჰკიდეს ერთიმეორეს.  
და გასცქერიან: დისკო მთვარისა ისევ დაჰყურებს  
მყუდრო პალატებს.  
ჯიპეი ჯდება ცვრიან ბალახზე,  
ქალიც ბალახზე მოიკალათებს.

მოიკალათებს:

კოჭარუ

ო, რა მძიმეა,  
რა მტანჯველია კაეშანი ბოლო წუთების!..

თქვენ კი მამშვიდებთ: სადაც მოვკვდებით,  
სულ ერთიაო, — მებუტბუტებით.  
მაგრამ მე მაინც...

ოჰ, მთელი გზა სულ ის ბარათი მიტრიალებს თავში, ქალბატონ  
ო-სანს რომ მივწერე. აკი დავპირდი, შენს ქმარს დავეხსნები და არ  
დავღუპავ-მეთქი. არადა, ჩვენს სიკვდილს რომ გაიგებენ, თანაც  
ჩვენს გაყინულ ცხედრებს ნახავენ ასე ერთად, ასე ერთმანეთთან  
პირი-პირზე, ხომ ჩალის ფაჩი ექნება იმ ჩემს დანაპირებს.

თუ მის მეუღლეს სასიკვდილოდ ავიყოლიებ  
და სამუდამოდ შევეუსართებ ცეცხლის გენიებს, —  
როგორ გგონიათ, წავა ო-სანი და სიყვარულით  
მომიხსენიებს?  
მთლად უსირცხვილო ყოფილაო, — ასე იფიქრებს, —  
თარსი, ფლიდიო, დაუნდობელი, ამიბნიაო მთელი  
გზა-კვალი,  
რად ვირწმუნეო მისი ბარათი, მისი მონაქორ-  
მონაზაკვარი!

„გაგიგონიათ ამისთანა გულუბრყვილობა?  
აღბათ, ღვთის რისხვაც მიტომ დამატყდა, სხვა  
საზღაურიც მიტომ მომელის...  
უსულგულო და გულქვა ჰეტერას  
გული ვინ მისცა თანამლმობელის?“

ასე იფიქრებს ჩემზე ო-სანი  
და წამდაუწუმ წყევლა-კრულვით მომიხსენიებს...

ო, შემიძლია უდრტვინველად გადავიტანო  
ათასი წყევლა, შეჩვენება, კრულვა, ძაგება,  
ვიდრე ო-სანის ერთი შეხედვა,  
თუნდაც —

უბრალო წამოძახება...  
უნდა შემრისხოს, შემიძულოს ასე უბრალოდ,  
უნდა ამკიდოს უსამართლოდ მძიმე ბრალდება!..  
აი, ეს გახლავთ ერთადერთი ჩემი წუხილი...

ეს ერთადერთი, რითაც სიცოცხლის ბოლო წუთები  
ჩამიშხამდება...

რაკი ასეა, მე აქ მომკალით!  
აქ შევეყრები მაცნეს ბედისას ჩალამებული ჩემი  
თვალეებით...

თქვენ კი... სხვაგან ზჯობს თქვენი სიკვდილი,  
შორს განმიდექით, გემუდარებით!

### მ თ რ ო ბ ე ლ ი

თავი მიაღო მკერდზე ჯიჰვის...  
ისე ნაზად სთხოვს... არე-მიდამოც ეხმიანება თითქოს  
გოდებით...

ხოლო ჯიჰვი, ცრემლმორეული,  
კვლავ ანუგეშებს თავგამოდებით.

### ჯ ი ჰ ვ ი

დამიჯერე, სულ ტყუილად სწუხარ. რა საჭიროა ეს უგუნური ლა-  
ბარაკი! აკი ო-სანი ჩემმა სიმამრმა წაიყვანა შინ, თვითონ აღუდ-  
გა წინ ჩვენს ცოლქმრობას. მე და ო-სანი უკვე უცხონი ვართ ერთ-  
მანეთისათვის. აღარაა ო-სანი ჩემი ცოლი. გაიხსენე, რას ვლაპა-  
რაკობთ მთელი გზა. ამიერიდან სამუდამოდ ერთნი ვართ მე და  
შენ. აკი აღთქმა დავდეთ, რომ ცოლ-ქმარნი ვიქნებით მომავალ სამ  
დაბადებაში: სამჯერ გარდავიცვლებით, სამჯერ გარდავისახებით და  
სამივეჯერ შევეუღლებით ერთმანეთს... თუკი ერთად მოგვკვდებით,  
ერთ სასთუმალზე, ვინდა დავგადანაშაულებს? ვინ მოაყივნებს  
ჩვენს სახელს? მხოლოდ მოშურნეები თუ იყბედებენ.

### კ ო ჰ ა რ უ

მაგრამ თქვენ ხომ ნებით არ გაშორებიხართ ო-სანს? ვანა თქვენ  
გსურდათ ასე? ო, თქვენ ჩემზე უფრო უგუნური ყოფილხართ.

ო, არა, არა!.. ღმერთმა დაგვიხსნას!..

ნუთუ არ გესმით ერთად სიკვდილის უაზრობა და  
უადგილობა?

რაკი ასეა, განვერიდოთ ერთიმეორეს  
და შორი-შორად აღვასრულოთ ჩვენი პირობა:  
შენ სიკვდილის წინ ამიტაბას დაევედრები,  
მე კი... ჭალისპირს ჩამოვჯდები სადმე მტირალად.  
და, თუ ცალ-ცალკე მიგდებული ჩვენი ცხედრები  
მაინც გახდება ყვაე-ყორნების დასახვიარად... —  
კვლავ შევიყრებით მიღმიეთის მისადგომებთან,  
რომ საიქიოს სანახებში ერთად ვიაროთ;  
შევიყრებიან ხელმეორედ ჩვენი სულები  
ზესკნელ-ქვესკნელის სფეროებში სახეტილოდ!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

თვალცრემლიანმა განასრულა ესე სათქმელი  
და გულსაკლავად დაემხო პირქვე.

### ჯ ი ჰ ე ი

მართალს ამბობ. მიწა, წყალი, ცეცხლი და ქარია ჩვენი სხეული.  
მიწა, წყალი, ცეცხლი და ქარი... ამ ოთხთა კავშირია თავი და ბო-  
ლო ჩვენი არსებობისა.<sup>74</sup> როცა მოვეცდებით, ოთხივე არყოფნისა-  
კენ მიიქცევა. მხოლოდ ჩვენი სულები დარჩება უხრწნელი: ალორ-  
ძინდებიან ხუთგზის, ალორძინდებიან შვიდგზის... ისევ და ისევ...  
და ამგვარად, გარდასახვათა გრძელი რიგის ჩავლით, აუყვებიან  
გზას... მარადისობაში.

უნდა შეერთდნენ საუკუნოდ ჩვენი სულები,  
როგორც სულები მეუღლეთა...  
თუმცა ამქვეყნად ბევრი გვდევნეს, ბევრი გვაოტეს,  
შევიყრებით და ამიერიდან ვერ გაგვრიყავენ  
ველარაოდეს.

ველარაოდეს!... ველარაოდეს!...

ვერ შეგვიქცევენ სიამენი ამა სოფლისა,  
ვერც სიტკბოება შეგვიყოლიებს, ვერც სიხარული  
ველარ გვაცდუნებს...

ჰეშმარიტებას ჩემი სიტყვისას  
ეს სატევარი დაგიდასტურებს:

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ამოიწვავდა ქარქაშიდან ბასრი მახვილი  
და იმ ადგილზე, —

სადაც ზონარი შემოჭერილი ჰქონდა ჩვეულად, —  
ხმალი გაუსვა თავის კულულებს  
და მოიკვეთა ანაზღეულად.

### ჯ ი ჰ ე ი

აბა, შეხედე!

ამ წუთამდე ჯერ კიდევ ვაჭარი ჯიჰეი ვიყავ, ო-სანის ქმარი. მაგ-  
რამ ახლა კი, რაც ეს თმა მოვიკვეცე, ზურგი ვაქციე წუთისოფლის  
ამაოებას. უკვე ბერი ვარ, განდევილი, აღარ მაწევს ცოლ-შვილისა  
და მიწიერი ცოდვების ტვირთი. ჰოდა, თუკი მე, ჯიჰეის, აღარა  
მყავს ცოლი, სახელად ო-სან, აღარც შენ უნდა გაწვალეზღეს ეგ  
ფიქრი, — რის მოვალეობა და რა ჰოვალეობა!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ამას იტყვის და მოისროლის თავის კულულებს...

უხმოდ განუდგა სოფლის საზრუნავს,  
გამოიტირა ცა და ქვეყანა...

### კ ო ჰ ა რ უ

ძლივს!.. როგორც იქნა, გულზე მომეშვა,  
თითქოს ნაღველიც გადამეყარა!..

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მერე თვითონაც ჩამოართვა ბასრი მახვილი  
და ნაირფერად დახვეული დალალ-კავები, —  
რომ ივარცხნიდა, საათობით იკობტავებდა  
და ყვავილებით იმშვენებდა ყოველდღიურად, —

ახლა ასეთი ხელალებით დასთმო რატომღაც,  
მოიკვეთა და მოისროლა ასე იოლად.  
მიდგება მერე... ცრემლით გაჰყურებს:  
ქარს მიუყვება დალალ-ხვეული, — ნელი ლივლივით  
მისდევს ბორიოს,  
რომ სატკივარი ამა სოფლისა თან სიზმარით  
წაიყოლიოს.

ქარს მიუყვება... გასცქერს კოპართ...  
ჭვირვალეbs ცრემლი, ნამიც ჭვირვალეbs...  
ცა იწმინდება... ცისკრის ჟამია...  
ცვარში ეცემა მისი ცრემლები,  
დასანანია!.. დასანანია:

კობტად დაწნული დალალ-კავები, —  
ასე ფაქიზად მოვლილი და ნასათუთები, —  
უცებ სუსუკის ბალახებში გაუჩინარდა...<sup>75</sup>

გაუჩინარდა... გაკრთა წამიერ,  
დარჩა სურნელი ცვრიან მდელოზე,  
ვით სიწრფოება ნაზი სულისა, — მისი სილბო და  
სიანგელოზე..

### ჭ ი ჰ ე ი

ახლა რა გვეთქმის!.. მორჩა, დასრულდა!..  
ჩვენ ერთდროულად აღვასრულეთ საღვთო წესები:  
მე აღვიკვეცე...

ამიერიდან

შენც უდრტვინველად აღიკვეცები.

მორჩა, დღეიდან აღარც ცოლი მყავს, აღარც შვილები,  
აღარც სახლი და აღარც ქონება—დღეს სულ სხვა გახლავს  
ზრუნვის საგანი:

უკვე ბერი ვარ, ერის რა მგამა, ერზე ზრუნავდეს  
ერისაგანი...

მაგრამ... გულს მიკლავს შენი ცრემლები...

რაკი ასეა, ერთდროულად შევხვდეთ აღსაბრუნს,  
მხოლოდ შორიშორ, ცოტა შორიშორ, აღმოვუტევოთ  
ჩვენი სულები:  
შენ აღესრულე მთების კალთებზე, მე — მდინარისკენ  
დავეშურები...

ეს მდელი, ზედ ჯებირის თავზე რომაა და ფერდობს წააგავს, —  
ეს მდელი ყველაზე მაღალი ადგილია ამ არემარეში. სწორედ ესაა  
შენი სიკვდილის ალაგი. მე კი აგერ იქ ჩამოვიხრჩობ თავს და მდი-  
ნარის ტალღებში გაერევა ჩემი უსულო სხეული.

დიახ, მოვკვდებით ერთდროულად,  
მაგრამ იცოდე, —  
სხვადასხვაგვარად განელდება ჩვენი სახმილი:  
მე გავთავდები სახრჩობელაზე,  
შენ კი სიცოცხლეს მოგისწრაფებს ბასრი მახვილი.  
ერთმანეთისგან მოშორებით აღვესრულებით,  
რომ იმთავითვე — საწუთროით წიაღმავალებს  
დაგვრჩეს 'სახელი საუკუნოდ შეუბღალავი,  
მეუღლისადმი მოწიწება როგორც მავალებს.  
ამას მავალებს უმკაცრესი მოვალეობაც...  
მაშ, რაღას უცდი, მომაწოდე შენი ქამარი!  
დაე, აღსრულდეს ნება უფლისა,  
ციტ გარდმოვიდეს გარდმოსავალი!

**მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი**

სიტყვის უთქმელად შემოიხსნა ქალმა ქამარი.  
შემოიხსნა და წუთით დახედა: შუქში იღვრება  
ელვარება ნაზი ფერების...  
კრთის ანარეკლი, როგორც ნიშატი მისი უფრკვენელი  
მშვენიერების...  
მოდგება მერე, მოაწოდებს ხელისკანკალით...  
ცა იფერება... განთიადი თანდათანაობს  
და წელსაბამი ბეწვის ხიდივით სიკვდილ-სიცოცხლის  
ზღვარზე ქანაობს...



ჯიჰეი

თასმას ჩამოართმევს, მოამარყუეებს...

მოამარყუეებს... უკვე მზადაა: სიგრძე კარგი აქვს,  
სისქეც — საყოფად,

მზადაა ყულფი — ამა ქვეყნიდან

იმ ქვეყანაში თავგასაყოფად.

აქ გაეყრება წუთისოფლის ზიამტკბილობას,

საგულდაგულოდ მიამაგრა თასმა ჯებირებს...

აქ აღასრულებს თავის პირობას,

თუ ზეციერი შეაძლებინებს!

თუმცა რატომ დუმს? — საოცარია!..

ვინ ემზადება სიკვდილისთვის ასე უთქმელად?!

— ასე უთქმელად მონადირის ფაცერკოდებში

შეიფრთხილებს ალბათ ღურაჯი,

თუ დაინახა როგორ გაება მისი სატრფო და

გულის მურაზი...

კოპარუ ხედავს: საქმობს ჯიჰეი,

საქმობს ჯიჰეი, თასმას თვითონ სკვნის...

ძალებს ბედისას დაუთრგუნიათ...

ხედავს კოპარუ... თავბრუ ეხვევა

და ეკვეთება სასო სრულიად...

### კოპარუ

ო, თქვენ არ გინდათ ჩემთან სიკვდილი?

და თქვენ აპირებთ მარტო დამტოვოთ?

მაშ, რაღა დაგვრჩა — წუთებია განშორებამდე...

მხოლოდ წუთები... ჩვენ კი არ ვითმნეთ,

მიგვიჩქარია... მიგვიჩქარია —

ახლოს მოდექით, გემუდარებით, ახლოს მოდექით,

ვიდრე ჟამია!..

### მთხრობელი

ხელი ჩაჰჭიდეს ერთიმეორეს.

მაშ, გაგთავდები ერთი მოქნევით...  
ერთი დარტყმა და... მიღმა მიმაქცევს ჩემი ბოლო და  
შესართავისი...  
თქვენ კი... მარტოკამ უნდა იწვალოთ...  
უნდა იწვალოთ... ტანში მაყრუოლებს და გაფიქრება  
მზარავს ამისი.

### მთხრობელი

მიბრუნდება და... სასომიხდელი  
ნაჩუმათევი ცრემლით ქვითინებს.

მაგრამ ჯიჰეი ისევ ამშვიდებს:

### ჯიჰეი

ნეტავ, რად სტირი, რისთვის ვალაღებ!  
მაინც გვაბრუნებს ბედისწერა თავის ნებაზე...  
რა ბედენაა — ხანჯლით მოკვდები, თუ გათავდები  
სახრჩობელაზე?  
მესმის, გული კრთის, — ზურვილები წარბხვეტება,  
მაგრამ ჩვენამდე ნებას უფლისას სხვაც რაოდენი  
წარუხვეტია ?..  
აბა, ვის ძალუძს განრიდება ბოლო წუთების,  
ან გარდავლენა განგებისა ვისი ხვედრია?  
მაშ, უდრტვინველად აღვასრულოთ ჩვენი პირობა,  
უკვე ყამი ხმობს, მოციქულიც მოდგა უკუნით...  
გარდაცვალების უშფოთველი სიამტკბილობა  
არ გავანელოთ უადგილო მოთქმა-ზღუქუნით.  
შეხედე:  
როგორც სხივმოსილი ბუდას ხატება,  
მიცურავს მთვარე დასალიერზე,  
ცათა წიაღებს ექათქათება.

ჰოი, სახეზაო ცხოველმყოფელო!..

ხედავ, — მაღლიდან გულმოწყალებ დაგვცქერს ციერად,  
მთვარე ეშვება სამოთხის ბაღში, ფშვენს სხივნათელი  
დასალიერი...

როსმე ჩვენც ბედი აგრერიგად აგვაციაგებს:  
დავლახავთ გზებს და, — მიღმიეთის ბნელი რიგებით—  
ძრწოლვით ჩაუფვლით უცხო წიაღებს და სამოთხისკენ  
მივიდრიკებით...

ჰა, მიიწვერა დისკო ნათელი!...

თუ რამ ფიქრი გაქვს, გევედრები, დროზე მითხარი:  
გულმა გულს უთხრას გულისნადები,  
სულს —

მოეკითხოს მოსაკითხავი!

### კოჭარუ

არაფერი მიდევს გულში, არც სულსა აქვს მოსაკითხავი რამე; თქვენ-  
ნი სული კი, ალბათ, შვილებზე ფიქრითაა შეძრული.

### ჯიჰეი

ვაი, რომ კვლავ გამახსენე ისინი და კვლავ ამატირე იმათი ცოდვით!

ეჰა, შვილებო!..

აზრად არც მოსდით ალბათ პატარებს,

როგორ უკვდებათ მამა მშობელი...

თითქოს წინ მიდგას მათი სახეზა —

ასე სათნო და ცხოველმყოფელი!..

რა უშფოთველად ჩაგძინებიათ, ჩემო ბარტყებო!

ო, რა მშვიდად ფშვენთ!.. ნეტავ, შემეძლოს წუთით  
მოსვლა და თვალის შევლება!

ღმერთი გიძლოდეთ!..

### მთხრობელი

— გულსაკლავად იტყვის ჯიჰეი  
და პირისახე დაეცრემლება.

მაგრამ უეცრად:

თითქოს მიჯნურთა უსაზომო მოთქმა-გოდებას  
ხმა შეესართა მოძახილივით  
და ზიბნელეში გუნდი ყორანთა მალლა აფრინდა  
ცივი ხივილით.

აფრინდნენ ყორნები,  
აფრინდნენ... აფრინდნენ...

ზეცა ჩამოაქურუხეს,  
ჩამოქუფრეს მთა-ბარი,  
მაგრამ მგლოვიარე ცათა წიაღებში  
ვერ მოიძიეს თავშესაფარი.

და შეძრწუნებულ შეყვარებულებს  
ფრთების ტყლაშუნით მოეახლა ყვავი ბებერი:  
ხმა ჩამესმაო უკუნეთიდან — უბედურების  
მაუწყებელი...

მიჯნურებს ზარავთ მათი ყრანტალი...  
როგორ ჩხავიან!.. იქნებ, გაცლა სჯობს, მაგრამ ხმაურში  
უჭირთ გაგნება...

მალლა წრედ ბრუნავს ყვავთა ბოინი  
და ღრუბელივით მოიგრაგნება.

მძიმედ აიღო თავი ჯიჰეიმ:

### ჯ ი ჰ ე ი

ო, უსმინე, როგორ ჩხავიან, როგორ ყრანტალებენ. იქნებ, ჯოჯო-  
ხეთში მიგვაცილებენ? ან, იქნებ, მის კარიბჭეზე გვეგებებიან?..  
გამიგონია: როცა კაცი კუმანოს ავგაროზს უკანა გვერდზე აღთქმას  
მიაწერს, მთის ტაძრებში სამი ყორანი კვდებაო ერთდროულად.

ჩვენ კი...

გახსოვს აღთქმათა ბარათები ყოველთვიურად —  
ცნობამიხდილი მიჯნურების შესაწირველი:  
თითქოს სამყაროს პირვანდელი ხილვისთანავე

ხელსკანკალით დაწერილი სიტყვა პირველი.  
ან ახალი წლის გათენება გემახსოვრება:  
სიტყვის წიაღში გამოძკრთალი ცრემლი ჭიოტა...  
ყრუ ზმანებებში გახვეული ჩვენი ცხოვრება  
ჯერეთუხვეწი ამარტივით გამოსჭვიოდა...

გემახსოვრება სალმობანი ამა სულისა...

აღთქმა და ფიცი, ოცნებები, ღელვა იმდენი,  
იქ კი... ყორნები ხმობდნენ დილამდე:  
„უამი გარდახდა იმჟამინდელი, აწ კი უამია, —  
გაუჩინარდე!

გაუჩინარდე, სიზმარივით გაუჩინარდე!..“

ჩვენ კი... აღთქმებით შევიწირეთ ყვავი რამდენი,  
ახლა კი... ახლა — ჟრუანტელი მივლის ციებად:  
იქნებ, ესენი გლოვენ ძმათათვის და მოქცეულან  
შურისძიებად?

რას ყრანტალებენ „ყარე-ყარეო“,  
ყარე-ყარეო ცრემლი ვერანი?  
ან საზღაური ვისი ბრალთა, ვის ურისხდება  
წერამწერალი?

მე მირისხდება...  
ბედისწერაც ამას დამძახის, —  
ავისმაუწყედ დამყრანტალებს ყვავი ბებერი...  
მე დავისჯები...  
ვაგლახ, ამიტომ

შენც მოგეგება უმკაცრესი მოსაგებელი...  
შენც მოგეგება... მომიტევე!.. გემუდარები!...

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

„მომიტევეო“, — ცრემლით აღმოთქვა  
და მოიზიდა ქალი თავისკენ.

## კოჭარუ

ო, არა, არა!  
ჩემი ბრალია,  
მე მირისხდება წერამწერალი!

## მთხრობელი

მიეყრდნობიან მიჯნურები ერთიმეორეს  
და არც კი ესმით, ქარნიავი როგორ ვალალებს,  
როგორ უყინავთ დაწვისთავებზე  
თბილი ცრემლებით ნალტობ დალალებს.  
იქ კი... ტაძარში, გუგუნებენ სამრეკლოები,  
აკრთობთ მლოცველებს ღვთაებათა შეუვალობა  
და ნათლიერის ჰანგად მოისმის ღვთისმოსავეების  
წყნარი გალობა:

„სამო განძო უფლისაო,  
ბუდას სამო საუნჯეო,  
ძენ!  
-გევედრებით მძალავს ემტრო,  
უძლურს შემწედ დაურჩეო,  
ძენ!

კვლავ გევედრებით, მოწყალეა გარდამოსახო,  
„ნამუ სამბაო“, საუკუნო მადლით ცხებულო!<sup>76</sup>  
მოეც კლიტენი საუნჯეთანი, ბუდავ, — სამჯერად  
დაუნჯებულო!“

ამ გალობაში მიინქრევა მწუხრი ღამისა,  
ბედისწერამ კი... შეიწირა შესაწირველი:  
განქარდა ღამე ცრემლიანი პაემანისა,  
შეყვარებულთა შეუღლების ღამე პირველი.

## ჯიშეი

შეხე: ცისკარი!..  
ლოცულობენ დაიჩიოში,

უკანასკნელად მოვისმინოთ მოთქმა ზარების...  
ბოლო წუთია... აგერ, მაცნე დგას, —  
დრო მოახლოვდა გარდაცვალების.

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

გულში ჩაიკრა ქალი ჯიჰეიმ:

### ჯ ი ჰ ე ი

რატომ ქვითინებ, ჩემო კარგო, რატომ ქვითინებ,  
გაფრენილ წუთებს რანაირად დაედევნები?  
დაეთხოვები მალე საწუთროს, შეგეყინება პირზე  
ცრემლები...

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

კოჰარუ შედგა...  
უხმოდ შეიქცა,  
ლაწვისთავები მოიწურა ცივი თითებით:

### კ ო ჰ ა რ უ

მორჩა, მშვიდად ვარ... უხმოდ გარდავალთ,  
ერთუროს უცრემლოდ გავერიდებით!..

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

და შემობრუნდა...  
შემობრუნდა და ჩუმად შესცინა... უმზერს ჯიჰეის,  
უღიმის წყნარად...  
ჯიჰეი ხედავს კოჰარუს სახეს — შუქში განფენილს  
მარმარის დარად...  
მთლად გათოშილა საცოდავი!  
როგორ კანკალებს,  
დილის სუსხში თრთის სიყვარული ღამენათევი

და დასთამაშებს დამზრალ სახეზე იმქვეყნიური  
ცივი ნათელი...

ჯიპეი უმზერს...

უმზერს ჯიპეი, ტირის ჯიპეი და ენისლება ცრემლით  
თვალები...

ხელსაც მოედო თრთოლვა სახმილის  
და აღარ იცის — როგორ უწვდინოს, სად განუწონოს  
წვერი მახვილის...

### ჯ ი პ ე ი

ხელები მითრთის...

### კ ო ჰ ა რ უ

ო, ძალა მოიკრიბეთ! მოიკრიბეთ მხნეობა!.. მშვიდად, მშვიდად!  
ჩქარა!.. ჩქარა!

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

აჩქარებს ქალი...

ისე აჩქარებს,

ჩვენც უნებლიეთ ცეცხლი გვედება...

ეს რა ძალა სცემს ქალის ძარღვებში, რა შემართული  
სულისკვეთება!

გაღმა, ტაძარში ლოცვა გრძელდება,

მოალივლივებს საგალობლებს წყნარი ზეფიროს,

რომ მიღმიერი ჩქამი ზარისა სულს სასოებად

გარდმოეფინოს...

აღბათ, ეს ლოცვა იწროებას მათი გზებისას

ნათლით მორთავს და მოამდებლობებს...

შესხმა მოისმის ამიტაბასი,

თუმცა, ვინ იცის, —

იქნებ, მათ სულსაც ავედრებენ ცათა სფეროებს?..



და ჰა, წუთიც და...

ნათლიერის სიმყუდროვეში  
ანაზდეულად აღიმართა ხელი უფლისა.  
ამოიწვადა ხმალი ჭიპეიმ, — უნდა გასრულდეს ბედთან  
თამაში!..

უნდა გასრულდეს... ელავს მახვილი —  
ბასრი მახვილი ამიტაბასი...  
„ვაი, ავაჰმე!“ — ამოიგმინა,  
დასვა მიწაზე სატრფო სულისა,  
ცერად აძგერა ხმალი ძუძუში, წვერი უწვდინა  
ორლესულისა...

თუმცა შეტოკდა მისი მარჯვენი.  
ძრწოლვით უკუდგა, მაგრამ ამოდ: აწ გვიანია ხანჯლის  
გაგდება:

კოპართუ  
უკუგადაწვება სულთამლაფავი...  
ხელს გადაიქნევს, კისერს გადიგდებს და საწყალობლად  
აცხცხცხდება...

ერთი... მეორე... მესამე წუთი...  
ჭიპეი უმზერს...

მაგრამ კვლავ სუნთქავს, საოცარია, —  
ჟამი კვლავ ჟამობს ჟამგადასულის,  
თუმცა ჭიპეიმ ყელში აძგერა,  
გადაუსერა არხი სასულის.  
ო, შემზარავი მსჯავრი კარმისა!  
აღზევებული ბედის ზვაობა!..  
მაინც ვერ ასცდა სატანჯველი  
ბოლო სამანთან,  
დიდხანს გრძელდება სულთმობრძაობა...

მაგრამ ასეთი საზღაური რისთვის მოაგეს,  
რად მოუვლინეს სატანჯველი ესევეითარი?  
ჭიპეი უმზერს მომაკვდავის სულთმობრძაობას  
და მასთან ერთად იტანჯება.

მაგრამ ჯიპეი ძალას მოიკრებს...

მოიკრებს ძალას, ფიცხლად წამოსწევს, ისევ ხმლის  
პირზე შუქი იალებს,

მახვილს მოიქნევს, ჩასცემს ვაღამდე,

ქალის გულგვამში დაატრიალებს.

კოპართუ კვდება,

მიდის სიცოცხლე,

მიდის,

ყრუდ მიდის,

მიექანება,

თითქოს ქარს მიაქვს გამთენიისას უამგადასული  
ღამის ზმანება...

მორჩა, გასრულდა უკუნთამდე...

ჯიპეიმ ფრთხილად დაასვენა მისი ცხეღარი:

თავით ჩრდილოეთს, —

ასე ითხოვს ნება უფლისა,

ამას ბრძანებენ უფლებანი მეუფეთანი.<sup>77</sup>

პირი უქცია დასავლეთისკენ,

სადაც მზეა და სხივნათელი ტაძრის ნიშები,

უფრო იქით კი — ვანი ნეტართა

და წმინდანების საბრძანისები.

თვალკრემლიანმა მოახურა თხელი მანტია,

წამოაფარა აბრეშუმის პირსაბურველი...

ისევ ნაზად ფშვენს გულისპირიდან მისი ნაცნობი

ამბრის სურნელი...

მერმე უკუდგა... მიდის, იჩქარის,

აჰა, თოქს მისწვდა... თვალსაწიერთან ცივად

გაბრწყინდა ქვეყნის სამანი...

მოისადაგა ყულფი კისერზე,

ყელზე მოირგო თასმა-ქამარი.

შემოიჭირა... უკვე ინათა,

ღეთისმოსავეების ლალადისი მიწყდა გადაღმა.

უკანასკნელად აგუგუნდნენ საგუმბათონი,

უკანასკნელად

წართქვა ქადაგმა:

— უსჯულოა თუ სჯულისმიერი, უნათლოა თუ  
ნათელცხებული:

ნათელი იგი რწმენისაი ყველამ მოიღოს!

ხოლო უფალმან მშვიდობაი მოსცეს ყოველთა,  
ყოველთა ზედა მოწყალება გარდამოიღოს!

— გარდამოიღოს!

ყოველთა ზედა სასოება გარდამოიღოს!

— გარდამოიღოს!

ყოველთა ზედა სიხარული გარდამოიღოს!

— გარდამოიღოს!

უკანასკნელად გაიჭრიალეს სამრეკლოებმა:

— ამამიცუ-კამიო,

მოწყალება ჰყავიო,

ძენ!

შეისმინე ღვთისმოსავთა

სათქმელ-საესავიო,

ძენ!

და... ჭიჭეიმაც უკანასკნელად აღმოუტევა ლოცვა  
სულისა:

„დაე, მოვბრუნდეთ ობოლ ლოტოსად!

ამოგყვავილდეთ, ამოვლორძინდეთ, ისევ ვიხილოთ ცა  
და ქვეყანა!

დიდება ბუდას!“ —

წართქვა ღალადით

და ფერდობიდან გადმოექანა.

გადმოეკიდა,

თოკზე ქანაობს, — თითქოს ატოკებს ქარი აყიროს,

ქანაობს სულიც... უნდა განუდგეს,—სხეულს განუდგეს,  
გაენაპიროს...

აჰა, დაშლიან მისნი კავშირნი!..

დროზე დაშლიან... საბედნიეროდ, დიდხანს არ გაატანს  
უღვთო წვალება:

მიცურავს სული, მიდის სიცოცხლე,  
ცათა წიაღში მიიჩქმალება...

დილაადრიან,  
როცა ციური ბადის კუნძულზე  
კვლავინდებურად გადმოვიდნენ მეზადურები, —  
ნახეს ჯიჰეი,  
ნახეს კოჰარუ,  
უკვე შერწყმოდნენ ზესთა კრებულებს,  
შემოხვეოდათ ბადე სიკვდილის — ბედისწერასთან  
შეუღლებულებს.

### მ ე თ ე ვ ზ ე ე ბ ი

— აქეთ იჩქარეთ!  
— ჰეი, აქეთკენ!  
— ახლოს მოდექით!.. ღმერთო, დაგვიხსენს!... მტვერში  
აგღია ორი ცხედარი!..

### მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

... და იმავე წამს ქალაქს აუწყეს  
შეყვარებულთა ნამოქმედარი.

აუწყეს ქალაქს... ჯანლი ჩამოწვა,  
ვით ავბედითი მაცნე უკუნთა,  
ხოლო ამბავი — გარეუბნამდე მეხის ხმასავით  
გადაგუგუნდა...

ასე მოექცა ბედის ბადეში ორი მიჯნური,  
შარავანდელი მიიფერფლა ორი მთიების...

ასე მობრუნდა რისხვა უფლისა,  
ხმა უმაღლესი შურისძიების.

ასე გარდახდნენ... ასე ივლიან...  
ასე მდუმარედ ჩაუვლიან უცხო ხვეულებს,  
რომ გადალახონ გარდასახვის გრძელი რიგები  
და ნირვანაში გაედვიძოთ  
ბუდადქცეულებს.

ჩვენ კი... ეამია, გავასრულოთ ესე ამბავი,  
თორემ, ხომ ხედავთ, უკვე ღამდება,  
მზის ანარეკლი მიუყვება ცათა დასავალს  
და მსმენელების ცრემლი აცილებს ამ სამწუხარო  
თავგადასავალს....

დასასრული

## შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი

1. სიყვარულის უბანი სონეძაკი — გაშენდა ოსაკაში, XVIII საუკუნის დასაწყისში.

2. „დამელოდეთ ხიდის ბოლოში“... — ხალხური სიმღერა: აგებულია ბგერათა თავისებურ თამაშზე და შინაარსობრივ ახსნას არ ექვემდებარება.

3. სიჯიმი — პატარა მდინარე, სონეძაკისა და სიყვარულის ძველ უბან ღოჯიას შუა მოედინება. თარგმანში ნიშნავს „პატარა ნიჟარას“; აქედან გამომდინარეობს სიტყვათა თამაში, დაფუძნებული ანდაზაზე: „ზღვა ნიჟართ არ ამოიხაპება“.

4. სიამისენი — იაპონური ეროვნული საკრავი, სამსიმიანი გიტარის მსგავსი.

5. „მომბის“ ზეიმი — „მხიარული სახლის“ საზეიმო დღეები, როცა სტუმრები გულუხვად ასაჩუქრებდნენ ჰეტერებს. ძველ წყაროებში „მომბი“ მეათე თვის მეექვსე დღედ არის მოხსენიებული. პიესის პირველი მოქმედება სწორედ მეათე თვის დასაწყისს ემთხვევა.

6. „...კიოს რომ ნახავ, კიო კი არა, თვით კაგეკიო წარმოგიდგება“ — პაროდირებულია „ნოს“ თეატრის პიესა „კაგეკიო“, რომელიც ეკუთვნის ცნობილ დრამატურგ ძემის (კანძე მოტოკიო, 1363—1443). პიესაში მოთხრობილია, — როგორ დაედევნა გმირი ტაირა კაგეკიო (XII ს.) თავის მოწინააღმდეგე მიჰონოიას, მაგრამ ეს უკანასკნელი დაუსხლტა და კაგეკიოს მისი მუზარადილა შერჩა ხელში.

7. „ალუბლის ხიდი“, „ქლიავის ხიდი“ — ქ. ოსაკას ხიდების სახელწოდებაა.

8. „...დაავადო თურმე გარეუბნის აბანოები“... — აბანოს მომსახურე ქალები, ჩვეულებრივ, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ და ჰეტერების უმდაბლესი ფენის წარმომადგენლები იყვნენ.



9. „...მაგრამ ვის უხმობს შორით გუგული“... — მღუმარებაში გუგულის შორეული ძახილი იაპონური პოეზიის ერთ-ერთ რეცელებული თემაა.

10. ბონზა, ბოძუ — ბუდაელი ბერი.

11. „...და იტამიც ხომ ტკივილს გვიქვია, რა მესატკივარ-მეიტამებ...“ — სიტყვათა თამაში, დაფუძნებული „იტამის“ იაპონურ მნიშვნელობაზე (იტამი — ტკივილი).

12. ნამაიდა-ბოძუ — ბერად გადაცმული მოხეტიალე მომღერალი. „ნამაიდა“ შეკვეცილი ფორმაა სიტყვებისა „ნამუ ამიდა“ (უფალო შეგვიწყალე). ნამაიდა-ბოძუ ამასხარაებზე ბუდისტურ ლოცვებს, მათ კილოზე მღეროდა მოდურ ლექსებსა და ჭიორურის ნაწყვეტებს.

13. კოკსინგა — ჩიკამაცუს ცნობილი ისტორიული დრამის „კოკსინგას ბრძოლების“ (1715) მთავარი გმირი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩინეთში XVII საუკუნეში და მინის ძველთაძველი სამეფო გვარის აღდგენისათვის ებრძოდა მანჯურის დინასტიას. ნამაიდა-ბოძუ მღერის ნაწყვეტს ამ დრამიდან — ოდნავი სახეცვლილებით.

14. ჰან კაი — იაპონიზირებული სახელი ჩინელი გმირისა (II საუკუნე წ.წ.-მდე), რომელიც დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა.

15. ასაჰინა იოსიჰიდე — მეომარი, რომელიც 1213 წელს კანტლერ ჰოჯიოს აუჯანყდა და შელეწა კამაქურას სასახლის სამხრეთის კიშკარი.

16. უროკო, საროკო — კოკსინგას მტერთა გამოგონილი სახელები, რომლებმაც მინის დინასტიას უღალატეს.

17. „...რომ შეაჩეროს რონინი მთვარის და ელვასავეით აიჭრას მზისკენ...“ — „ნოს“ თეატრის პიესაში — „მაცუიამას სარკე“ ნათქვამია: „არ არსებობს კედელი, მთვარის და მზის შეჩერება რომ შეეძლოს“.

18. „...აჰა, ვანკიუ ჩამოგლეჯილი“ — ნაწყვეტი დრამატურგ კინო კაიონის (1663—1742) პოპულარული პიესიდან — „ვანკიუ სუე-ნო მაცუიამა“ (1708). ვანკიუ (ვანძია კუმონი) — მდიდარი ვაჭრის ვაჟიშვილი, რომელსაც მემკვიდრეობის უფლება აჰყარეს — ჰეტერა მაცუიამას სიყვარულით გავიწყებული დაძრწის და ამოად დაეძებს თავის მიჯნურს.

19. „...ე-ი-ე-ი-ე-ი-ე!.. ახლა ვახსენოთ ლამაზი ფუსა და ტოკუბეი“... — ასე იწყება ჩიკამაცუს დრამის „ტამბა-ნო იოსაკუს“ (1712). ეპილოგი. დრამაში მოთხრობილია მღვებ ტოკუბეისა და ჰეტერა ფუსას უბედური სიყვარულისა და მათი თვითმკვლელობის ამბავი. ამ ნაწყვეტში მეტაფო-



რების მთელი ჯაჭვია, რომლებიც სამღებრო საქმიანობის თავისებურებებში  
 მიგანიშნებენ.

- 20. რ ი — სიგრძის საზომი, უდრის 3,93 კმ-ს.
- 21. რ ი ტ ო ტ ე ნ ი — ჩიკამაცუს დრამის „კოკინგას ბრძოლების“ უარყოფითი პერსონაჟი .
- 22. კ ა მ ე (კან) — მსხვილი ლითონის ფული. წონის ერთეულიცაა, უდრის 3,75 კგ-ს.
- 23. „ო რ ი მ ა ხ ვ ი ლ ი თ ა ღ ჭ უ რ ვ ი ლ ი“... — სამურაები, ჩვეულებრივ, ორ მახვილს ატარებდნენ. გრძელი მახვილი საომრად სჭირდებოდათ, ხოლო მოკლე, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ თავის მოსაკლავად გამოეყენებინათ.
- 24. „... რ ბ ის ჯ ი ჰ ვ ე ი - ჰ ა ნ ა გ ა მ ი“... — ძველ იაპონიაში ცხვირსახოციები (ტუალეტის ქაღალდი — ჰანაგამი) ქაღალდისაგან მზადდებოდა.
- 25. ა მ ი გ ა ს ა — ვეება წნული ქუდი, რომელიც პირისახესაც ფარავდა. სტუმარს შეეძლო მიეღო ასეთი ქუდი სიყვარულის უბნის შესასვლელში.
- 26. ა მ ი ტ ა ბ ა (იაპონურად ამიდა) — ერთ-ერთი ბუდისტური ღვთაება, მეტად პოპულარული იაპონიაში.
- 27. ნ ა კ ა მ ა ჩ ი — სიყვარულის უბნის, ძოჯიმას მთავარი ქუჩა.
- 28. „... ჩ ე მ ი ბ ა ტ ო ნ ის ც ი ხ ის გ ა ლ ა ე ნ ი დ ა ნ“... — სამურაები, მომსახურე აზნაურები, ემსახურებოდნენ თავიანთ ფეოდალ სიუზერენს — თავადს. სიყვარულის უბანში სამურაებსა და მოქალაქეებს ერთნაირი უფლებები ჰქონდათ. ტაპეის სიტყვებში გამოსტკევის შეგნება ფულის ძალისა, რომელიც იმდროინდელ მზარდ სასაქონლო მეურნეობაში ვაჭარ-მოქალაქეს რეალურ უპირატესობას ანიჭებდა საზოგადოებაში.
- 29. „... წ მ ი დ ა ღ ა მ ე თ ა ა თ ე უ ლ ი“, „ა თ ი წ მ ი დ ა ღ ა მ ე“ — წლის მეათე თვის დღეები, 6-დან 15-მდე. ამ დღეებში ჯიოდოს (ბუდისტური სექტა) ტაძრებში იკითხებოდა საგანგებო ლოცვები. არსებობდა რწმენა: „ვინც წმიდა ღამეთა ათეულში აღესრულება, ბუდად გადაიქცევა“.
- 30. „ტ ე მ ა — ერთ-ერთი ქ. ოსაკას სამი უბნიდან. აქ მღებარეობს ტაძარი ტემა ტენჯინისა, — ასე დაერქვა სიკვდილის შემდეგ სუგავარა-ნო მიჩიძანეს (845—903), რომელიც დიდი სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი და მეცნიერი იყო. განდევნეს კუნძულ კიუსიუზე, დაძაიპუში, სადაც გარდაიცვალა კიდევ. სიკვდილის შემდეგ ღმერთად შერაცხეს და ღღემდე ქ. ოსაკას მფარველ ღვთაებად ითვლება.“
- 31. წ მ ი ნ დ ა ზ ო ნ ა რ ი — სარიტუალო დანიშნულების ჩალის ბაწარი (სიმენავა), წესისამებრ, სინტროსტური ტაძრის შესასვლელში ჰკიდებენ.





32. უმედა, ქიტანო — სონეძაქის უბნის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე ადგილები; იმხანად ნაკლებდასახლებული იყო.

33. ჰაჩიმიანი — მეომართა მფარველი, იაბონური ეროვნული რელიგიის — სინტოს ერთ-ერთი პოპულარული ღვთაება.

34. „... თითქოს ხეს მოსწყდა მარცხიანი მაიმუნი ვით...“ — იაბონური ხალხური ანდაზა ამბობს: „მაიმუნი რომ მაიმუნია, ისიც კი ვარდება ხიდან“.

35. „მელაძუა“ — იაბონური ხალხური რწმენით, მელასა და მაჩვს ძალუძთ მშვენიერ ქალწულად გარდასახვა.

36. სეკი-ნო მაგოროკუ — მახვილთა წრთობის ცნობილი ოსტატი, ცხოვრობდა მე-16 საუკუნეში. ამავე სახელით იხსენიებოდა რამდენიმე მისი მიმდევარიც.

37. „... და თავს ვიწონებ ოინბაზობით, ვით მასხარეზის პროცესიაში...“ — ქ. ოსაკას რამდენიმე ტაძარი საკულტო დღესასწაულებში ტაკიმასხარათა წარმოდგენებს მართავდა. სამუტრაებად გადაცმული მოქალაქენი მონაწილეობდნენ ეგრეთწოდებულ მეომართა ლაშქრობაში.

38. „... და ნაჩქარევად ამოიღებს გულისჯიბიდან მომცრო ბოხჩაში მიგულეებულ ჯადო-ბარათებს...“ — ასეთ ბოხჩაში ინახავდნენ ქალაღისა თუ ხის ავეგაროზებს. ტაძრის ბეჭედდასმული ავეგაროზები თითქოს სნეულებათა და სხვადასხვა უბედურებისაგან, იცავდა ადამიანს, „წერილობითი ალთქმანი“ დაწერილი იყო საგანგებო ქალაღლზე, რომელიც ტაძრებში იყიდებოდა. ეს ავეგაროზები წმინდად ითვლებოდა, აკრძალული იყო მათი დახევა ან გადაღება, მხოლოდ ცეცხლში შეიძლებოდა დაეწვათ; ალთქმის დამდეგი იფიცებდა ღმერთებს და არსთაგამრიგეს მოუწოდებდა, — ზეციური რისხვა დაეტეხა მისთვის, თუ თავის პირობას უღალატებდა.

39. ამამიციუ-კამი — ტემა ტენჯინის პოეტური სახელწოდება. იხ. 30-ე შენიშვნა.

40. კოტაცუ — იატაკში ჩატანებული კერია, რომელსაც ხის ნახშირით ახურებენ, ზედ ცხურს დაადგამენ და საბანს გადაათარებენ. ზამთარში მთელი ოჯახი მიუჭდება კოტაცუს და საბანქვეშ ითბობს ფეხებს.

41. „... ფუს ფუსებს ოსან, შირმებს აყუდებს...“ — იგულისხმება ორკარიანი დაბალი შირმები, რომელთაც საწოლის თავთან დგამენ გამჭოლი ქარისაგან დასაცავად.

42. ბუ — ფულის ძველებური ერთეული.



43. „...კუმანოს ტაძრის წმინდა ქალღმერთი...“ — ტაძრებში აღთქმისათვის საგანგებო ქალღმერთს ამზადებდნენ. ქალღმერთს გვერდზე ტაძრის სახელთა იეროგლიფები იყო ჩამოწერილი. ეს იეროგლიფები სანსკრიტული დამწერლობის ყაიდაზე სრულდებოდა და თავისი ფორმით ყორანთა გუნდს წააგავდა. ყორანები კუმანოს ტაძრის ღვთაებათა მოციქულებად მიაჩნდათ. თვითონ აღთქმა კი ქალღმერთს უკანა გვერდზე იწერებოდა. ლეგენდის მიხედვით, ყოველთვის, როცა კი ქალღმერთზე აღთქმის ტექსტს გადაიტანდნენ, მთის ტაძრებში სამი ყორანი კვდებოდა ერთდროულად.

44. ბრამა, ინდრა, ოთხი თავადი, ბუდა, ბოდისატეა — ინდური ღვთაებები, რომლებსაც მოგვიანებით იაპონელებიც აღიარებდნენ.

45. „...ტახის მეორე დღეს...“ — ტახი — ძველი ჩინურ-იაპონური კალენდრის ერთ-ერთი ციკლური ნიშანი. „ტახის დღე“ მეათე თვის შუა რიცხვებს ემთხვეოდა. ეს იყო „კერიის პირველი ანთების“ ბედნიერი დღესასწაული და ოჯახში შესაბამისი ცერემონიით აღინიშნებოდა.

46. „...მოქსის საფენებს იღებს ტანზე...“ — მკურნალობის მეთოდი იაპონურ ხალხურ მედიცინაში. მოქსა — ბალახია ერთგვარი.

47. „...ახლავე თუ შევიდას ორმოცდაათი მომმე არ გავიდე ახალ ვერცხლზე...“ — ფულის ღირებულება იაპონიაში მისი მოჭრის თარიღით განისაზღვრებოდა.

48. ჰაბუტაე — ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი.

49. „...ახლაც ყვებიან, მოგესენებათ, მის სავალალო ნამოქმედევზე...“ — არსებობს მეთევზე ურასიმას ძველთაძველი ლეგენდა: ერთხელ ურასიმა ღრმად შესულა ზღვაში, ზღვათა მეფის სასახლეს მისდგომია და მისი ქალიშვილი შეურთავს ცოლად. სამი წლის შემდეგ მშობლიური სოფელი მონატრებია; ცოლს სკივრი მიუცია მისთვის და გაუფრთხილებია, არ გახსნაო. ამასობაში დედამიწაზე მთელი ასწლეულები გასულიყო. ურასიმას მაინც გაუხსნია სკივრი. სკივრიდან თეთრი კვამლი ამოფრქვეულა, მეთევზე უცებ დაუბერებია და მოუკლავს.

50. „...არ დაგავიწყდეს დილაადრიან კუვიაიამას აბის მიცემაც...“ — ხალხის რწმენით, კუვიაიამას აბები ბავშვებს ყოველგვარი დაავადებისაგან კურნავდა. როგორც ვარაუდობენ, ამ წამლის რეცეპტი მე-16 საუკუნეში კორეიდან გამოუტანია ვინმე ღვთისმსახურ კუვიაიამას.

51. „...აგერ, საცაა გასრულდება ხარის საათი...“ — დრო ღამის სამი საათიდან ოთხის ნახევრამდე.

52. „...მთვარით ტკბობის ეამს...“ — იგულისხმება სახალხო დღესასწაული, რომელიც აგვისტოში, მთვარის აგვისების ღამეს იმართებოდა.

53. ბონზა — აქ, შესაძლოა, მასხარა იგულისხმებოდეს.
54. დონო — თავზიანი მიმართვის ფორმა შუა საუკუნეების იაპონიაში.
55. ჰარაკირი — მუცლის გამოფატერა; თვითმკვლელობის მეთოდი შუა საუკუნეების იაპონიაში.
56. კაცურაკი — ამავე სახელწოდების შთის ღვთაება. თავისი სიმახინჯის გამო ღლის სინათლეს ერიდებოდა და მხოლოდ ღამით გამოდიოდა გარეთ.
57. ბუ — აქ: სიგრძის ერთეული, უდრის 3,03 მილიმეტრს.
58. კონოე — ერთგვარი კალიგრაფია, კონოე ნობუტადას (1565—1614) მიერ შემოღებული.
59. „... ყრმა მსახიობთა თავსაბურავი...“ — ხელისუფალთა ბრძანებით, კაბუკის თეატრის ახალგაზრდა მსახიობ ვაეებს თმა შუბლს ზემოთ, საქორჩეზე უნდა მოეპარსათ. შიშველი შუბლის დასაფარავად, საქორჩეზე წითელ ქელს იხურავდნენ, რაც შემდეგ მოსახლეობაშიც გავრცელდა.
60. საკიამუნი — ძველი ინდოელი ფილოსოფოსი, ბუდისტური მოძღვრების ფუძემდებელი.
61. კარმა — ბუდისტური მოძღვრება ბედისწერის შესახებ, რომლის მიხედვითაც ყოველი ადამიანი თავისი მოქმედებით განსაზღვრავს. საკუთარ ბედს ამქვეყნადაც და მომავალ დაბადებებშიც.
62. „... დაიტაცებენ ფერად ქაღალდებს...“ — შუა საუკუნეების იაპონიაში თიხის ან ხის დაფებზე იბეჭდებოდა ერთგვარი ფურცლები, რომლებზედაც დასურათბატებული იყო ესა თუ ის მნიშვნელოვანი მოვლენა: მიწისძვრა, აჩანყება, სიკვდილით დასჯა და სხვ.; ამ ფურცლებს ქუჩა-ქუჩა ჰყიდდნენ მოხეტიალე მომღერლები.
63. „... სუგავარანო მიჩიძანე შეჩერებულა...“ — თქმულების მიხედვით, შორეულ გადასახლებაში გამგზავრების წინ სუგავარანო მიჩიძანემ თავის ბაღში ლექსით მიმართა აყვავებულ ქლიავის ხეს და სთხოვა, გაზაფხულზე ისევ აყვავებულიყო, არ გამხმარიყო პატრონის დარდით. როცა იგი გაემგზავრა, ქლიავის ხეც მასთან გადასახლდა ცუკუსის (კიუსიუს) კუნძულზე, ხოლო ალუბლის ხე ერთ ღამეში გახმა დარდისაგან. მეორე ლექსით პოეტმა თურმე ფიჭვის ხეს უსაყვედურა — მხოლოდ შენ დარჩიო გულგრილი ჩემი გაძევებისადმი, რის შემდეგაც ფიჭვიც მასთან გადაფრენილა. სწორედ ამ ლეგენდას იყენებს ჩიკამაცუ მიჩიუკის დასაწყისში.
64. ტენჯინის ხიდი — ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ხიდი ქ. ოსაკაში. ამ ხიდის გაღმა მდგარა ჯიპეის სახლი.



65. „... და ჰუსიმიდან ზანტი ზმორებით შემობრუნდები  
 დება ღამის ბორანი...“ — ღამის ბორანი დილაუთენია მოადგენილი  
 ხოლმე ნაპირს.

66. „... ჩვენ გადავივლით დანის პირებზე, სადაც სამ-  
 მაგად ძლიერია ჩქერთა დინება...“ — იაონელთა უძველესი  
 რწმენით, საიქიო და სააქაო ერთმანეთისაგან სამი სხვადასხვა სიღრმის მდინარით  
 იმიჯნებოდა. ყველაზე ღრმა მდინარეზე ალესილი დანები იყო გადებული, რომ-  
 ლეზედაც ცოდვილ სულებს უნდა გადაევლოთ.

67. ლოტოსის სუტრა — ბუდისტური წმინდა წიგნი, რომლის ერთი  
 ნაწილი ეძღვნება ქალღმერთ ქანონს („ქანონ-სამა“). ინდოეთში, ზაფხულის  
 წვიმიანობისას, ღვთისმოსავეები განმარტობით კითხულობდნენ და იწერდნენ  
 სუტრებს; ეს ბუდისტური ჩვეულება მოგვიანებით იაპონიაშიც გავრცელდა.

68. „... უკან დაგვრჩება სანახები „ქიობასისა“... —  
 „ქიო“ იაპონურად „წმინდა წიგნს“ ნიშნავს, ასევე სუტრასაც; „ზასი“ კი ხილად  
 ითარგმნება.

69. „... ხიდი ნარისა“ — უკანასკნელი, მეთორმეტე ხიდი მდინარე  
 ნამაძუიზე. „ნარი“ სიტყვასიტყვით „გარდასახვას“, „გარდაქმნას“ ნიშნავს.

70. ნოდას ყურე — კუნძულ ამიჯიმას ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

71. „... გასათვლელია ასრვა მარცვალს...“ — უდაელთა კრილოსანი ასრვა მარცვალს შეიცავს.

72. დაიჩიოს ტაძარი — ბუდისტური სექტის, ჯიოდოს სამლოცველო; ღვთაება ამიტაბას სახელობაზე აგებული.

73. „... მეზადურების ცივი კუნძული...“ — ამიჯიმაზე მეთევ-  
 ზეები ბინადრობდნენ. მათი სახლების წინ, ჩვეულებრივ, ბადეები იყო ხოლმე  
 გამოფენილი. აქედან წარმოდგება კუნძულის სახელწოდებაც (ამიჯიმა — „ბადე-  
 თა კუნძული“).

74. „... მიწა, წყალი, ცეცხლი და ქარი...“ — ბუდისტურა მოძღვრების მიხედვით, ყოველი არსი ამ ოთხი ელემენტისაგან არის შექმნილი.

75. სუსუკი — მაღალი, ბუსუსა ბალახი; ვაციწვერას წაგავს.

76. „ნამუ სამბო!“ — დაახლოებით: „უფალო, შემიწყალო!“

77. „... თავით ჩრდილოეთს...“ — დაკრძალვის ბუდისტური წესი.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა — ჯ. აჯიაშვილისა . . . . .	5
პირველი მოქმედება — (სიყვარულის უბანი სონეძაქი) . . . . .	13
I სურათი . . . . .	13
II სურათი . . . . .	43
მეორე მოქმედება . . . . .	73
ჯიპეის სახლი . . . . .	73
მესამე მოქმედება . . . . .	117
I სურათი — (სიყვარულის უბანი სონეძაქი) . . . . .	117
მიჩიუკი — (გამოთხოვება თორმეტ ხილთან) . . . . .	137
II სურათი — (ციურ ბადეთა კუნძულზე) . . . . .	153
შენიშვნები . . . . .	173

ს. ბ. 2497

რედაქტორი **ც. ჩხაიძე**  
მხატვარი **ზ. ფორჩხიძე**  
მხატვრული რედაქტორი **შ. დოლიძე**  
ტექნიკური რედაქტორი **მ. გოგოლაძე**  
კონტრ.-კორექტორი **მ. ლალაძე**  
კორექტორი **მ. ინანიშვილი**  
გამომშვეები **გ. ჩილუნაძე**

გადაეცა ასაწყობად 15.01.90. ხელმოწერილია დასაბეჭ-  
დად 30.12.90, ქალაქის ზომა  $60 \times 84\frac{1}{16}$ , გარნიტური ვე-  
ნა, ბეჭდვა მაღალი, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,69, საბ.  
ქალაქი № 1, საღებავგატარება 11,4, სააღრიცხვო-საგამომ-  
ცემლო თაბახი 6,86, ტირაჟი 10.000, შეკ. № 341.

ფასი 80 კაპ.

**Чикамацу Мондзаемон**  
**САМОУБИЙСТВО ВЛЮБЛЕННЫХ НА ОСТРОВЕ**  
**НЕБЕСНЫХ СЕТЕЙ**

(На грузинском языке)

Художник **З. Порчхидзе**

Детюниздат Республики Грузия

«Накадули», Тбилиси, 1991

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, კონსტანტინე გამსახურ-  
დიას გამზ. № 28.

Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Константино  
Гамсахурдиа № 28

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის  
დეპარტამენტის № 4 სტამბა

380060, ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას პრ. № 29,

Типография № 4 Департамент по печати республики Грузия.  
380060 г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, № 29.



1/2



მ 835

იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის მონძაემონ ჩიკამა-  
ცუს ნაწარმოებში „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ  
ბადეთა კუნძულზე“ მოქმედება ვითარდება მე-17 საუკუნის  
იაპონიის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე.

70404—43

M \_\_\_\_\_ 84—113

M 603 (08)—91

ISBN 5—525—00437—2

